№6 2011

მასწავლებელი

მასწავლებლის
სახლი

მე დავიბადე
მასწავლებლად

მასწავლებლის პროფესიის
ახლებური ხედვა

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“ ბანკის
კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ, ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
გმირ კურსანტთა ქ. №1

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში, ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 96 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის

კითხვის ეფექტური მეთოდები
სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი

მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო



ჟურნალი „მასწავლებელი“

რედაქტორისგან

სანამ რედაქტორის წერილის წერას შევუდგებოდი, ბუნებრივია, დავფიქრდი იმაზე, თუ რა უნდა მეთქვა თქვენთვის. დავფიქრდი და წარმოვიდგინე: მე რომ მასწავლებელი ვიყო, წავიკითხავდი თუ არა ამ ჟურნალს? ან რატომ წავიკითხავდი მას?

ვიხსენებ: როგორ მახსოვდა ყველა ის რიცხვი, როცა ლიტერატურული ჟურნალები გამოდიოდა და როგორი მღელვარებით ველოდი მათ. მინდა, მასწავლებელიც ასე ელოდებოდეს თავის პროფესიულ ჟურნალს.

ჩავყევი ამ ნომრის სარჩევს და ვიფიქრე: რატომაც არა?!

აქ წაიკითხავთ: რას წარმოადგენს თქვენი, ანუ მასწავლებლის სახლი და რაში დაგეხმარებათ ის. გაიცნობთ წარმატებულ სკოლას და მის დირექტორს, რომელიც წარმატების საიდუმლოს გაგიმხელთ. სკოლის დირექტორები წაიკითხავენ ექსპერტის რჩევას იმაზე, თუ როგორ უნდა წარმართონ მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა. მასწავლებლები ახლებურად დაინახავენ მასწავლებლის პროფესიას. გაიგებთ, რა მისცა სკოლას და მასწავლებელს და უპირველესად, მოსწავლეს ბუკების გამოყენებამ გაკვეთილზე; როგორ უნდა მოუწყოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ფიზიკური გარემო; კომუნიკაციის რა ხერხები უნდა გამოიყენოთ გაკვეთილზე; როგორ უნდა ასწავლოთ ლიტერატურა და რა უნდა ასწავლოთ ლიტერატურიდან; როგორ უნდა გამოიყენოთ დისკუსია, როგორც თანამშრომლობის მეთოდი; როგორ უნდა შეძლოთ გეომეტრიისა და ალგებრის ინტეგრაცია სასკოლო მათემატიკის კურსში; როგორ უნდა ასწავლოთ ბავშვებს ქართული ტრადიციები. ამ ნომერშივე ნახავთ რჩევებს კონფერენციის მოწყობის თაობაზე, გაეცნობით დიდ განმანათლებელს, შეიტყობთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოსაზრებებს და ეს არ არის ყველაფერი, რასაც აქ წაიკითხავთ.

როდესაც სარჩევის კითხვა დავასრულე, გავიფიქრე, რომ მართლაც წავიკითხავდი ამ ჟურნალს. არა, ეს არ გახლავთ მხოლოდ რედაქტორის ახირება, ან თავდაჯერება. ახლა ამ ყველაფერს მასწავლებლის თვალით ვკითხულობ.

ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ თქვენც წაიკითხავთ და გამოგვეხმაურებით. ახალი წელი დგება და მინდა, თითოეულ მასწავლებელს ახალი იმედი და სიხარული ვუსურვო. ისევ და ისევ გეპატიჟებით თქვენს სახლში, ანუ მასწავლებლის სახლში.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N5(17),2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** მაია მენაბდე.

ნომერზე მუშაობდნენ: თეო ნეფარიძე, მანანა რატიანი, ანა ჯანელიძე, მერაბ ლაბაძე, ქეთო ნინიძე, მალხაზ ხარბედია, ნინო გორდეზიანი, სოფო ლობჟანიძე, ზაქარია გიუნაშვილი, ლევან ახვლედიანი, თამარ კაციტაძე, ირმა კახურაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



33

მასწავლებლის სახლი

თამარ კაციტაძე

5 | სახლი, სადაც ყველაფერი მასწავლებლებისთვის კეთდება

მასწავლებლის სახლის მთავარი დანიშნულება პედაგოგთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებაა, მაგრამ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის გია მამულაშვილის განმარტებით, ცოდნის მიღებასთან ერთად, ეს შენობა პედაგოგისთვის უნდა იყოს შეხვედრისა და დასვენების ადგილიც.

რეგიონი

ნატო ინგოროყვა

10 | მე დავიბადე მასწავლებლად

– ძნელია დირექტორობა, ძალიან ძნელი, მაგრამ თუ ადამიანს საქმე აინტერესებს და უყვარს, მაინც იქ ტრიალებს, სადაც სიძნელეებია. დირექტორობა მომესურვებოდა-მეთქი, – ვერ გეტყვით, მაგრამ ისევ ვიმეორებ: მასწავლებლობა ჩემი ცხოვრების საქმეა, სკოლა – ჩემი მეორე სახლი.

პრობლემა

ქეთო ნინიძე

51 | ლიტერატურული კანონი საგანმანათლებლო პოლიტიკის ჭრილში

ნაციონალური ლიტერატურა მსოფლიოს არაერთი ქვეყნის საგანმანათლებლო პრაქტიკაში დედაენის სწავლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სხვადასხვა გამოცდილებაში პრიორიტეტულია ენის საკომუნიკაციო ფუნქცია ან მისი როლი კოლექტიური იდენტობის ფორმირების პროცესში.

ექსპერტი

თეო ნეფარიძე

13 | სკოლის დირექტორი და მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა

სკოლის ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან პირველ ადგილზე, უმეტესწილად, სკოლის ძლიერ ლიდერს ასახელებენ. მკვლევართა დიდი ნაწილი ცალსახად თვლის, რომ სკოლის ეფექტურობას სწორედ სკოლის დირექტორი განსაზღვრავს.

მერაბ ლაბაძე

17 | მასწავლებლის პროფესიის ახლებური ხედვა

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის განათლების სისტემებში, 21-ე საუკუნის გამოწვევების საპასუხოდ, მასწავლებელთა როლის გადაფასება ხდება. სწავლების ახლებური მეთოდებისა და საშუალებების ფლობა ხშირად მოიხსენიება, როგორც თანამედროვე მასწავლებლის უნარებისა და კომპეტენციების განუყოფელი ნაწილი.

მრგვალი მაგიდა

ირმა კახურაშვილი

21 | ბუკები და სწავლება

რამდენად წარმატებით ხორციელდება ნეტბუკების პროგრამა საქართველოს სკოლებში და როგორია პირველი შედეგები? – ამის შესახებ საკუთარი აზრი მასწავლებლის სახლში „მრგვალ მაგიდასთან“ შეკრებილმა დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა და მათმა ტრენერებმა გაგვიზიარეს.

ჩვენი პროგრამები

ბელა ჩეკურიშვილი

27 | ჩემი სამშობლო არის იქ, სადაც ვცხოვრობ, ანუ საქართველო

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის სოფლების არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლას ითვალისწინებს და ამასთანავე, ბაკალავრებისა და დოქტორანტების დასაქმებას და ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში ჩართვას გულისხმობს.

შინაარსი

27

რჩევები

ნინო გორდეზიანი

33 | კომუნიკაცია სასწავლო პროცესში

კომუნიკაცია მასწავლებელს სასწავლო პროცესის უკეთესად წარმართვაში ეხმარება. სტატიაში შევეცდებით, გაგაცნოთ საკლასო ოთახში კომუნიკაციის კომპონენტების ეფექტურად გამოყენების საშუალებები, ინფორმაციის გადაცემის მნიშვნელობა და მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების გზები.

სოფო ლობჟანიძე

37 | დისკუსია – თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგები – რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ ამ თემის გავლის შემდეგ. სწავლის შედეგებით განისაზღვრება როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმატიც.

მალხაზ ხარბედია

43 | როგორ მოვაწყოთ მარანი

როგორ ავაშენოთ (ან უფრო მარტივად, როგორ მოვაწყოთ) მარანი სკოლის ან ქალაქის პირობებში? სად შევიძინოთ ვენახი? თუკი ვენახი არა გვაქვს, ვისგან ჯობია ყურძენი ვიყიდოთ? რომელი ღვინო დავწუროთ? რა მეთოდით სჯობს ღვინის დაყენება? – ამ კითხვებზე პასუხს მალხაზ ხარბედიას სტატიაში იპოვით.

მანანა რატიანი

47 | რჩევები კონფერენციის ორგანიზებისთვის

საგანმანათლებლო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა მასწავლებელს პროფესიულ ზრდაში ეხმარება. მას საშუალება ეძლევა, უფრო მეტი გაიგოს სხვათა გამოცდილებების, მიღწევების, იდეებისა და კვლევების შესახებ.

17

მოსაზრება

ანა ჯანელიძე

29 | საკლასო ოთახის გარემო დაწყებით საფეხურზე

ფიზიკური გარემოს ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება აკადემიურ მიღწევებს: სათანადო აღჭურვილობა აუმჯობესებს სკოლის გარემოს ხარისხს; სკოლის გარემოს ხარისხი ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის თანამშრომლების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე;

ზაქარია გიუნაშვილი

40 | გეომეტრიისა და ალგებრის ინტეგრაცია სასკოლო მათემატიკის კურსში

მათემატიკის სხვადასხვა მიმართულების ინტეგრაცია და მათ შორის კავშირების წარმოჩენა სასკოლო მათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამგვარი ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსწავლის მიერ მათემატიკის, როგორც ერთიანი სისტემის გააზრებას, სხვადასხვა მიმართულების საკითხების უკეთ გაგებას და ავითარებს მის შემოქმედებით უნარ-ჩვევებს.

განათლების ისტორია

ლევან ახვლედიანი

54 | დიდი განმანათლებლები – იბნ ხალდუნი

ერთ-ერთი მოაზროვნე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ადამიანთმცოდნეობისა და საზოგადებათმცოდნეობის შესწავლის საქმეში, გახლავთ შუა საუკუნეების ისტორიკოსი, სოციოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე, თეოლოგი და სამართალმცოდნე აბუ ზაიდ აბდ არ-რაჰმან იბნ მუჰამად იბნ ხალდუნი.

საქართველოს სახელმწიფოსთვის განათლება, ისევ პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია. ეს ცხადად სჩანს მთავრობის ათპუნქტიან გეგმაში, რომელშიც მკვეთრად არის განსაზღვრული თუ რა უნდა გაკეთდეს ამ მხრივ სამომავლოდ.

განათლების სისტემაში ამჟამად რეფორმა 42 მიმართულებით მიმდინარეობს. ბუნებრივია, ამ ფორმატში ყველას ვერ განვიხილავთ, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას:

ახალი წლიდან იზრდება განათლების სისტემის ბიუჯეტი. გაზრდილი ბიუჯეტი ნიშნავს სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის ხელფასის გაზრდას და ნიშნავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ამჟამად საქართველოში 14 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. ძალიან ბევრ სკოლაში სრულდება სარეაბილიტაციო სამუშაოები და შევეცდებით, მაისიდან რაც შეიძლება მეტ სკოლაში დავახვედროთ მოსწავლეს და მასწავლებელს კომფორტული გარემო.

საქართველოს 100-ზე მეტ სკოლაში გაიხსნება „მომავლის კლასები“, რომელიც აღჭურვილი იქნება 21-ე საუკუნის უახლოესი ტექნოლოგიებით.

ახალი წლიდან დავიწყებთ და წლის ბოლომდე საქართველოს ყველა სკოლაში, განვაახლებთ და შევიტანთ 23 ათას ცალ ახალ კომპიუტერს. სკოლებს დავურიგებთ სპეციალურ აპარატურას, რომელიც გააუმჯობესებს მათთვის ინტერნეტთან წვდომას. ასევე 600 ცალი აინშტაინის ლაბორატორიები გადაეცემა სკოლებს.

ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სერტიფიცირებულ მასწავლებელს ლაბორატორიული გამოცდის ანუ ექსპერიმენტის დამატებითი ტესტის ჩაბარების შემთხვევაში 75 ლარით გაეზრდება ხელფასი.

ძალიან წარმატებული პროექტია „მასწავლებლის სახლი“. უზარმაზარი აღმოჩნდა მასწავლებელთა ინტერესი აიმაღლოს კვალიფიკაცია და სახელმწიფო მათ ყველანაირად დაუდგება მხარში.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით 7-12 კლასის მოსწავლეებს ექნებათ ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და თითოეულის ღირებულება არ აღემატება 10 ლარს.

ჩვენ ვმუშაობთ და ვნერგავთ ელექტრონული სწავლების ახალ საშუალებებს: იქნება ეს ელექტრონული სასკოლო ჟურნალები თუ საათები განაწილების ახალი პროგრამა მასწავლებლებისთვის. საათების განაწილების ახალ პროგრამას არ აქვს ახლობლობის და ნეპოტიზმის თვისებები, ამიტომ ის მარადიული პრობლემა, რაც მასწავლებლებში საათების განაწილებას უკავშირდებოდა, აღარ დადგება დღის წესრიგში.

> მომავლის განსაზღვრაში მასწავლებლის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია. მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წლის დადგომა და გისურვოთ მეტი წარმატება და გამარჯვება ჩვენი ქვეყნის და თითეული ჩვენგანის საკეთილდღეოდ.

მთავრობის ათპუნქტიანი გეგმის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, დასაქმების პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს. ამ მხრივ, განათლებას და მის ბაზაზე მიღებულ უნარებს, მოგეხსენებათ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მომავლის განსაზღვრაში მასწავლებლის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია. მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წლის დადგომა და გისურვოთ მეტი წარმატება და გამარჯვება ჩვენი ქვეყნის და თითეული ჩვენგანის საკეთილდღეოდ.

სახლი, სადაც ყველაფერი მასწავლებლებისთვის კეთდება

თანამედროვე, ევროპული სტანდარტებით, თუმცა არასტანდარტული არქიტექტურით აგებული შენობა, სადაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიდო ბინა, თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის №1-ში, 5 ოქტომბერს გაიხსნა. მას მასწავლებლის სახლი ეწოდა. იდეა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშკინს ეკუთვნის, სახლის შექმნა კი პედაგოგთა მუდმივი პროფესიული განვითარების აუცილებლობამ განაპირობა.

თამარ კაციტაძე

„მასწავლებლის სახლში შემოსული პედაგოგები ნამდვილად ვგრძნობთ, რომ ეს ჩვენი სახლია. გარემო, რომელიც აქ გვხვდება, საშუალებას გვაძლევს, თავი ვიგრძნოთ ისე, როგორც საკუთრ სახლში. ეს არის ადგილი, სადაც შეგვიძლია ჩვენს პროფესიულ ზრდას შევუწყოთ ხელი“, – ეს 161-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ნათია ნაფეტვარიძის დამოკიდებულებაა მასწავლებლის სახლისადმი.

იმისათვის, რომ პედაგოგებმა მასწავლებლის სახლში შესვლისთანავე საკუთარ გარემოში იგრძნონ თავი, უამრავი დეტალია გათვალისწინებული. შენობაში შესულ მასწავლებელს თანამშრომლები ხვდებიან და საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში ეხმარებიან. პირველ სართულზევეა ბავშვის ოთახი, უამრავი სათამაშოთი და გასართობით. ცოდნის ამაღლების მსურველ მასწავლებელს, ვისაც ბავშვის დატოვების საშუალება არ აქვს, ეს პრობლემა მოხსნილი აქვს – შეუძლია შვილი წამოიყვანოს. შენობის ოთხი სართული მთლიანად ეთმობა თანამშრომლებისა და ტრენინგების ოთახებს. სემინარებისა და ტრენინგებისთვის გათვლილი 10 ოთახი თანამედროვე, კომფორტული ავეჯითა და კომპიუტერებით არის უზრუნველყოფილი. აქვეა საქართველოში ერთადერთი, მსოფლიო დონის ფიზიკის ლაბორატორია და აგრეთვე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ნებისმიერ მასწავლებელს ამ ლაბორატორიებში როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად დაეხმარებიან. მეოთხე სართულზეა ბრიფინგრუმი და საკონფერენციო ოთახი, საიდანაც იმართება ონლაინ ლექციები. დიდი, 250-კაციანი საკონფერენციო დარბაზი კი მეხუთე სართულზეა.

მართალია, მასწავლებლის სახლის მთავარი დანიშნულება პედაგოგთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებაა, მაგრამ მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის **გია მამულაშვილის** განმარტებით, ცოდნის მიღებასთან ერთად, ეს შენობა პედაგოგისთვის უნდა იყოს შეხვედრისა და დასვენების ადგილიც. სწორედ ამ მიზნით, მეხუთე სართულზე გაკეთებულია ცოცხალი, უნიკალური ჯიშის ხეებით გაფორმებული ტერასა და პატარა კაფე. აქ მასწავლებლებს შეუძლიათ ჩაი ან ყავა მიირთვან და მოსაზრებები გაუზიარონ ერთმანეთს.

მასწავლებლის სახლის კიდევ ერთი სიმდიდრეა ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია მასწავლებლების დამხმარე სახელმძღვანელოები. აქ ნახავთ არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოენოვან სახელმძღვანელოებსაც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით.

„ მასწავლებლის სახლში შემოსული პედაგოგები ნამდვილად ვგრძნობთ, რომ ეს ჩვენი სახლია. გარემო, რომელიც აქ გვხვდება, საშუალებას გვაძლევს, თავი ვიგრძნოთ ისე, როგორც საკუთრ სახლში. ეს არის ადგილი, სადაც შეგვიძლია ჩვენს პროფესიულ ზრდას შევუწყოთ ხელი“, – ეს 161-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ნათია ნაფეტვარიძის დამოკიდებულებაა მასწავლებლის სახლისადმი. “

ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, აქ მოეწყობა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, მათ შორის სემინარები და ტრენინგებიც. რაც მთავარია, პედაგოგებს ამ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერებით სარგებლობა შეუძლიათ დღისა და ღამის ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში. მასწავლებლის სახლი ღამითაც არ იკეტება. შენობის არასტანდარტულ ნაწილში – მეშვიდე და მერვე სართულზეა ცენტრის ხელმძღვანელის და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სამუშაო კაბინეტები.

„მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პედაგოგთა პროფესიულ მომზადებას მასწავლებლის სახლის დაარსებამდეც ახორციელებდა. მასწავლებლის სახლმა კი უფრო მეტი საშუალება მოგვცა: პერმანენტულად მიმდინარეობს ტრენინგები, როგორ საგნების მიმართულებით, ასევე პროფესიულ უნარებში. ამასთან, მასწავლებლის სახლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ ჩატარდეს კონფერენციები, სამოდელო გაკვეთილები, მასტერკლასები. გვაქვს უცხოელ კოლეგებთან ონლაინ კონფერენციების მოწყობის შესაძლებლობა, შეგვიძლია პირდაპირი ჩართვებით გავიზიაროთ მათი გამოცდილება და ა.შ. ამასთან, გვინდოდა, შეგვექმნა კომფორტული გარემო მასწავლებლებისთვის, რათა მათ, რაც შეიძლება, დიდი დრო გაატარონ მასწავლებლის სახლში“, – ამბობს გია მამულაშვილი.

გია მამულაშვილი

> „მასწავლებლის სახლის მუშაობის სპეციფიკაში გარკვევა მასწავლებლებისთვის საკმაოდ გამარტივებულია. ყოველთვე კეთდება სამუშაო კალენდარი იმ ტრენინგებისა თუ სემინარების მითითებით, რომლებიც ყოველდღიურად ტარდება.“

თეა კვინტრაძე

მასწავლებლის სახლის მუშაობის სპეციფიკაში გარკვევა მასწავლებლებისთვის საკმაოდ გამარტივებულია. ყოველთვე კეთდება სამუშაო კალენდარი იმ ტრენინგებისა თუ სემინარების მითითებით, რომლებიც ყოველდღიურად ტარდება. სწავლების დრო პედაგოგთა ინტერესის გათვალისწინებით არის შერჩეული. ამიტომ ტრენინგები და სემინარები იწყება დღის მეორე ნახევარში, ანუ სამუშაო საათების შემდეგ. ეს ინფორმაცია გამოქვეყნებულია ცენტრის ვებ-გვერდზე www.tpdc.ge (მომდევნო თვის კალენდარი წინა თვის ბოლო რიცხვებში ქვეყნდება). ცოდნის ამაღლების მსურველ პედაგოგებს შეუძლიათ ნახონ ინფორმაცია, შეარჩიონ მათთვის სასურველი ტრენინგი და გაიარონ რეგისტრაცია. ეს პროცედურა შესაძლებელია მოხდეს როგორც მასწავლებლის სახლში მისვლით, ასევე ცხელი ხაზის დახმარებით, რომლის ნომრებიცაა: 577 640 166; 577 640 167; 577640168. უახლოეს მომავალში ამოქმედდება ონლაინ რეგისტრაციაც. პედაგოგი ვებ-გვერდის დახმარებით შეძლებს სასურველი ტრენინგის არჩევას და დარეგისტრირებას.

საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის მასწავლებლის სახლში კვალიფიკაციის ამაღლება უფასოა, კერძო სკოლების მასწავლებლებისთვის კი დაწესებულია გადასახადი, თუმცა, როგორც ცენტრის საფინანსო სამსახურის უფროსი ლევან საბაური გვიხსნის, რამდენიმე საგნის არჩევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფასდაკლებაც. „არა მხოლოდ სკოლის მასწავლებლებისთვის, არამედ სკოლის ადმინისტრაციის სხვა წევრებისთვისაც არის გათვალისწინებული სემინარები და ტრენინგები – მათ შორის სკოლის ბუღალტრებისთვისაც“, – ამბობს ცენტრის საფინანსო სამსახურის უფროსი ლევან საბაური.

ტრენინგები და სემინარები

მასწავლებლის სახლი, ძირითადად, ორი მიმართულებით მუშაობს: ეს არის პედაგოგთა მომზადება სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის და მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად ტრენინგები ტარდება როგორც საგნობრივი მიმართულებით, ასევე პროფესიულ უნარებში. პროფესიული უნარები, ძირითადად, მოიცავს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მართვასა და შეფასებას. ამისთვის პედაგოგებს სთავაზობენ ისეთი სახის ტრენინგებს, როგორიც არის: კომუნიკაციის პროცესი სწავლების დროს, კლასის მართვის პრინციპები და მოსწავლეთა მოტივაციის

ამაღლება. გარდა ამისა, ტრენინგები გათვალისწინებულია მასწავლებლის, დირექტორისა და მოსწავლის ქცევის კოდექსების შესასწავლად. თითოეულ ამ საკითხს მინიმუმ ორდღიანი და მაქსიმუმ ექვსდღიანი სემინარი ეთმობა. ერთდღიანი ტრენინგებია გათვალისწინებული იმისათვის, რომ პედაგოგებს ასწავლონ, თუ როგორ დაძლიონ რესურსების ნაკლებობა და როგორ გახადონ გაკვეთილი ბუნებრივად საინტერესო, როგორ დაგეგმონ კლასგარეშე აქტივობები და სტრატეგიები და ა.შ. პედაგოგი პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარების გარეშე სერტიფიკატს ვერ მიიღებს, ამიტომ მასწავლებლის სახლში განსაკუთრებული მეთოდია დანერგილი: პირველი სამი დღე მასწავლებლებს ინფორმაციას აწვდიან მინი ლექციების სახით, შემდეგ მათ ეძლევათ სამ-ოთხდღიანი შუალედი, რა დროსაც უნდა შეასრულონ საშინაო დავალებები და იმუშაონ საკუთარ თავზე, ბოლოს კი პედაგოგებს ლექტორები მოუსმენენ და წარმოქმნილ პრობლემებს გააანალიზებენ. ტრენინგ-ჯგუფებში დაახლოებით 15-20 პედაგოგია.

„მასწავლებლების მხრიდან დაინტერესება ყველა საგანში ძალიან დიდია. დღეში ზოგჯერ 400-მდე პედაგოგი ესწრება სხვადასხვა ტრენინგს. მაგალითად, დაწყებითი კლასების პედაგოგები ესწრებიან მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის ტრენინგებს, ისმენენ სემინარს პროფესიულ უნარებში, კლასის მართვაში და ა.შ. მართალია, მასწავლებლები სასწავლო ეროვნულ გეგმას უნდა მიჰყვებოდნენ, მაგრამ ჩვენ მათ დამატებით ინფორმაციასაც ვაწვდით. როდესაც ტრენინგ-მოდულს ვიწყებთ, მასწავლებელს ვაკეთებინებთ ტესტს იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ რა ცოდნით მოვიდა იგი და სად აქვს პრობლემები. ტრენინგის დასრულების შემდეგ კვლავ ვაკეთებთ პოსტ-ტესტს, რათა ვნახოთ შედეგი“, – ამბობს სერტიფიცირების და ტრენინგების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გორდეზიანი.

თეონა კუპატაძე

> სერტიფიცირებულ მასწავლებელს შეუძლია 8 წელიწადში გადააბაროს გამოცდა და ხელახლა მიიღოს სერტიფიკატი. მას აგრეთვე შეუძლია პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა თვითონ შეადგინოს, დააგროვოს კრედიტ ქულები და ამ გზით შეინარჩუნოს მასწავლებლის პროფესია.

სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის უკვე დაიწყო სქემაში ჩართვის პროცედურა. სერტიფიცირებულ მასწავლებელს შეუძლია 8 წელიწადში გადააბაროს გამოცდა და ხელახლა მიიღოს სერტიფიკატი. მას აგრეთვე შეუძლია პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა თვითონ შეადგინოს, დააგროვოს კრედიტ ქულები და ამ გზით შეინარჩუნოს მასწავლებლის პროფესია. მეორე გზის არჩევის შემთხვევაში, პედაგოგმა სპეციალურ გეგმაში ზუსტად უნდა გაწეროს ის ღონისძიებები, რომლებსაც გეგმავს შვიდი-რვა წლის განმავლობაში.

„ამ გეგმაში ჩართვა, ჩემი აზრით, ძალიან კარგია. მასწავლებელს განსაზღვრული აქვს, რა ტრენინგი უნდა მოისმინოს. მას შეუძლია თვითონაც დაწეროს რაიმე დამხმარე მასალა, იყოს სახელმძღვანელოს ავტორი, დაგეგმოს ან მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ჯამდება კრედიტ-ქულების სახით და ამ გზით იგი ინარჩუნებს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს. ამ გეგმის განხორციელებაში მასწავლებლის სახლი ძალიან დიდ როლს ასრულებს და პედაგოგს ბოლომდე ეხმარება მიზნის მიღწევაში. გარდა ამისა, მასწავლებლის სახლში სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის არსებობს ინგლისურისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები“, – ამბობს ცენტრის დირექტორის მოადგილე თეონა კუპატაძე.

სკოლის მასწავლებლების გარდა, მასწავლებლის სახლის მიზნობრივ ჯგუფში შედიან პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლები და საჯარო სკოლების დირექტორები, რომლებისთვისაც სპეციალური ტრენინგები ტარდება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ სკოლის დირექტორებმა სასერტიფიკაციო მომზადება გაიარეს, განათლების სამინისტრომ წელსაც საჭიროდ მიიჩნია ანალოგიური პროცესის ჩატარება. ამისათვის განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციები, ანუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს დირექტორი. ეს არის ფინანსური მართვა, სამართლებრივი ანგარიშვალებულებითი სისტემა, ადამიანური რესურსების მართვა, სასწავლო პროცესის შეფასება, სტრატეგიები სწავლის პროცესთან მიმართებაში და ა.შ. სწორედ ამ მიმართულებით მოხდა წინასწარ შერჩეული კანდიდატების მომზადება. სერტიფიცირების პროცესი დირექტორობის

„ ტრენინგებისა და სემინარების გარდა, მაწავლებლის სახლში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები – როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი. ეწყობა სამოდელო გაკვეთილები, რომლებსაც პედაგოგებთან ერთად მოსწავლეები და მათი მშობლებიც ესწრებიან. “

ლევან საბაური

კანდიდატთა დიდმა ნაწილმა წარმატებით გაიარა, რის შემდეგაც ისინი გასაუბრებაზე წარსდგნენ სამინისტროსა და ცენტრის ერთობლივი კომისიის წინაშე. კანდიდატებმა შერჩეული თემის ხუთწუთიანი პრეზენტაციები გამართეს. სწორედ ამ გზით მოხდა სკოლებში დირექტორის თანამდებობაზე მათი დანიშვნა. თუმცა დირექტორების გადამზადება ამით არ დასრულებულა. ამჟამად მასწავლებლის სახლი სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარებისთვის ადამიანის რესურსების მართვაში ატარებს ტრენინგებს.

მასწავლებლის სახლის პროექტები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ეკუთვნის განათლების სისტემის ბოლო პერიოდის თითქმის ყველა გახმაურებული პროექტი. მათ შორის არის „მაძიებლობისა და მენტორობის პროგრამა“, რომელიც ემსახურება ახალგაზრდა პედაგოგების პროფესიაში ჩართვას. აღნიშნული პროგრამა ეხმარება დამწყებ პედაგოგს, რათა მან ერთი წელი იმუშაოს მენტორი მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. ეს საკმარისი სტაჟია იმისთვის, რომ ის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირდეს. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მაძიებელი მასწავლებლობის უფლებას მოიპოვებს. 2010 წელს პროგრამაში ჩართული იყო 210 მაძიებელი და 84 მენტორი, 2011 წელს კი ცენტრში 1600 აპლიკაცია შევიდა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამების სამსახურის უფროსის ნინო რევიშვილის თქმით, ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია. „მაძიებლობის პროგრამა ჯერჯერობით 10 ქალაქში ხორციელდება. წელს დაემატა ოზურგეთი, რუსთავი და ფოთი. სპეციალური პროგრამაა შემუშავებული ეთნიკური უმცირესობების მასწავლებლებისათვის – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, – ამბობს ნინო რევიშვილი. მისივე თქმით, ამ პროგრამის გავლის შემდეგ საკმაოდ კვალიფიციური მასწავლებლები იგზავნებიან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში. ამ მიმართულებით უკვე 60 მასწავლებელია ცენტრის მიერ მომზადებული და დასაქმებული.

26-მდე ახალგაზრდა პედაგოგია დასაქმებული პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის” ფარგლებშიც. ამ პროგრამის მიზანია იმ სკოლების უზრუნველყოფა, რომლებიც თვეების განმავლობაში მასწავლებლების გარეშე იყვნენ.

და ბოლოს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ყველაზე გახმაურებული პროექტია „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად”, რომლის ფარგლებშიც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოდიან ინგლისური ენის მოხალისე მასწავლებლები.

მასწავლებლის სახლი მუდმივად ზრუნავს პედაგოგებისთვის სახელმძღვანელოების შემუშავებაზეც, რათა მათ სწავლების პროცესი გაუადვილდეთ. სწორედ ამ მიზნით ცენტრში იყენებენ როგორც ბეჭდურ, ასევე ვიდეო რესურსებს. უკვე მომზადებულია სასწავლო ფილმი „წიგნის კითხვის ეფექტური მეთოდები”.

მასწავლებლის სახლის მრავალფეროვნება

ტრენინგებისა და სემინარების გარდა, მაწავლებლის სახლში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები – როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი. ეწყობა სამოდელო გაკვეთილები, რომლებსაც პედაგოგებთან ერთად მოსწავლეები და მათი მშობლებიც ესწრებიან. მასწავლებლის სახლში ჩამოყალიბდა „მასწავლებლის წიგნის კლუბი“. პედაგოგები წერენ პუბლიკაციებს და სტატიებს აკადემიური ჟურნალებისათვის და ასევე, მუშაობენ მნიშვნელოვანი რესურსების თარგმნაზეც. თუ მათი ნამუშევრები შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს, შესაძლებელია ცენტრის მხარდაჭერით მათი გამოცემაც.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ მიზნით შარშან, ორკვირიანი ვიზიტით, ინგლისში, ნოტინგემის კოლეჯში ქართველ მასწავლებელთა ორი ჯგუფი გაიგზავნა – პირველ ეტაპზე ინგლისურისა და

ნინო რევიშვილი

ნინო გორდეზიანი

მათემატიკის პედაგოგები, ხოლო შემდეგ – ინგლისურის და ბიოლოგიის მასწავლებლები. ფიზიკის მასწავლებლები იყვნენ CERN-ში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ზუსტ მეცნიერებებში ქართველ პედაგოგებს გარკვეული პრობლემები აქვთ. სხვათა შორის, მასწავლებლის სახლის დახმარებით, CERN-ში მოღვაწე ქართველმა პროფესორებმა პედაგოგებს ონლაინ რეჟიმშიც წაუკითხეს ლექციები. მომავალში ბევრი ასეთი ღონისძიებაა დაგეგმილი.

„გარდა იმისა, რომ მასწავლებლის სახლი ღონისძიებებს გეგმავს, გვინდა, პედაგოგები თავადაც მოვიდნენ საკუთარი წინადადებებით, იდეებითა თუ სურვილებით. პირდაპირ გვითხრან, რა უნდათ და რაში სჭირდებათ ჩვენი დახმარება. ჩვენთვისაც და მასწავლებლებისთვისაც უფრო საინტერესოა იმ თემებზე მუშაობა, რომლებსაც თვითონ დაგვიკვეთენ. გვინდა, რომ მასწავლებელი ამ შენობაში სტუმარი კი არა, მასპინძელი იყოს. აქ არიან ადამიანები, რომლებიც მას ყველა პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებიან. ასეთივე სურვილი გვაქვს მოსწავლეებთან მიმართებაშიც, რადგან ჩვენი საბოლოო პროდუქტი სწორედ მოსწავლეები არიან“, – ამბობს ცენტრის დირექტორის მოადგილე თეა კვინტრაძე.

სამომავლო გეგმები

როგორც მასწავლებლის სახლის წარმომადგენლები ამბობენ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამუშაო გეგმა მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოთხოვნებიდან და სურვილებიდან გამომდინარე იგება. გარდა ფიქსირებული სემინარებისა, სწორედ ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე დაიგეგმება მომავალი წლის ტრენინგებიც.

„მასწავლებლებს მეთოდურ დახმარებას მომავალშიც გავუწევთ. მათ დავეხმარებით თანამედროვე სწავლების მეთოდების შესწავლაში. აქცენტებს გავაკეთებთ იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც მეტად საყურადღებოა. ცენტრში შევიმუშავეთ ცხრა გზავნილი მასწავლებლებისთვის: „მე ვზრუნავ განათლებაზე“, „მე უნდა ვიყო სამართლიანი“, „მე უნდა ვიყო ღია სიახლეებისთვის“, „მე უნდა ვიყო შემოქმედებითი“, „მე უნდა ვიყო ტოლერანტი“, „მე უნდა ვიყო თვითკრიტიკული“, „სკოლა ჩემი სახლია“, „მე ვასწავლი და ვსწავლობ“ და „ვაშენებ სამოქალაქო საზოგადოებას“. სწორედ ამ მიმართულებებით გავამახვილებთ ყურადღებას – სემინარების, დისკუსიების, შეხვედრების, მრგვალი მაგიდის თუ კონფერენციების სახით, აქცენტები ყოველთვის ამ მიმართულებით გაკეთდება“, – ამბობს ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი.

უკვე ცნობილია მომავალი წლის ორი მნიშვნელოვანი სიახლე. პირველი – მასწავლებლის სახლი ამოქმედდება ქუთაისში. მართალია, ის არ იქნება თბილისის მასწავლებლის სახლივით გრანდიოზული, მაგრამ იქ მოეწყობა ტრენინგების ოთახი და ბიბლიოთეკა, სადაც მასწავლებლები მიიღებენ მათთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. მეორე – დაინერგება დისტანციური სწავლება. ის მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ მასწავლებლის სახლში მოსვლის დრო ან საშუალება, საჭირო ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში მოისმენენ. თუმცა ეს არ იქნება ტრენინგების სრული კურსი.

და ბოლოს, რჩევა პედაგოგებს, თუ რატომ უნდა მოვიდნენ მასწავლებლის სახლში: აქ ყველა მასწავლებლისთვის პროფესიული გადამზადება და საგნობრივი ტრენინგი უფასოა. მასწავლებლების გადამზადების ეროვნული ცენტრი თანამშრომლობს გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრთან, ანუ ყველა იმ სტრუქტურასთან, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აერთიანებს. ამიტომ ისინი მოქმედებენ შეთანხმებულად და ყველაზე უკეთ იციან, თუ რა სჭირდება მასწავლებელს. მასწავლებლის სახლში არიან მაღალკვალიფიციური, სერტიფიცირებული ტრენერები. მათ ჰყავთ მაღალკვალიფიციური კონსულტანტები, რომლებმაც მრავალი ეტაპი გაიარეს ცენტრში მოსვლამდე და რომლებსაც შეუძლიათ ესაუბრონ მასწავლებლებს იმ საკითხებზე, რაც მათ აინტერესებთ.

მე დავიბადე მასწავლებლად

ნატო ინგოროყვა

ახალციხის მე-5 საჯარო სკოლა. დირექტორი: ქალბატონი ჟენია მერაბიშვილი. ბრენდირებული. მან 9 ვარსკვლავი მოიპოვა. უკვე სამ საუკუნეს ითვლის. ისტორიაც საინტერესო აქვს და აწმყოც. სკოლაში 1280 მოსწავლეა. სკოლაში 4 მენტორ-მასწავლებელია, 6 – ორივე საგანში სერტიფიცირებული, 12-მა კი თითო საგანში ჩააბარა გამოცდა. წელს მასწავლებლები აპირებენ, ყველა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გავიდნენ. გასულ სასწავლო წელს სკოლა 112-მა მოსწავლემ დაამთავრა. აქედან 85 მოსწავლე სტუდენტი გახდა.

„ძნელია დირექტორობა, ძალიან ძნელი, მაგრამ თუ ადამიანს საქმე აინტერესებს და უყვარს, მაინც იქ ტრიალებს, სადაც სიძნელეებია. მასწავლებლობა ჩემი ცხოვრების საქმეა, სკოლა – ჩემი მეორე სახლი.“

– სტუმარი ღვთისაა, – მეუბნება და ღიმილით მხვდება.

– ჟურნალი „მასწავლებელი“ გაწუხებთ.

– ძალიან სასიამოვნოა. ჩემთვის სამაგიდო წიგნივითაა.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ აქ ყველაფერი მოვლილია, საინტერესო და მიმზიდველი გარემოა.

სკოლაში ჩასვლის მიზეზს ვუხსნი.

– ქალბატონო ჟენია, ბევრს მიყვებოდნენ თქვენს სკოლაზე და მინდოდა, ყველაფერი ჩემი თვალით მენახა და შემდეგ სხვებისთვის გამეზიარებინა თქვენი წარმატების საიდუმლო.

– ვისაუბროთ, – სიამოვნებით მთანხმდება. თანდათან ვწმუნდები, რომ ეს ყველაფერი საჩვენებელად გაკეთებული კი არ არის, არამედ შრომისა და გარჯის, მოსწავლეებისა და საქმის სიყვარულის ნაყოფია.

– მოდით, თავიდან დავიწყოთ. რა იყო მანამ, სანამ სკოლის დირექტორი გახდებოდით? რა გზა გაიარეთ დირექტორობამდე?

– დავამთავრე გორის ბარათაშვილის სახელობის ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. იმ დროს მასწავლებლებს სხვადასხვა რაიონში ანაწილებდნენ და მეც, განაწილებით, აბასთუმნის სკოლაში მოვხვდი. იქ ვასწავლიდი ფიზიკას, მათემატიკასა და ასტრონომიას. შემდეგ ჩემი მეუღლე ახალციხეში გადმოიყვანეს და მეც აქ დავმკვიდრდი. 47 წელია, მასწავლებელი ვარ. აქედან 7 წელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. ახლა უკვე გამოცდის ჩაბარების შედეგად ვარ დირექტორი ისევ 7 წლით და ვეცდები, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენო სკოლისთვის.

– ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ძნელია მასწავლებლობა. მეც გამომიცდია და ვაღიარებ. როგორ ახერხებთ, იყოთ კარგი მასწავლებელი? რატომ ამბობენ თქვენი მოსწავლეები ყოველთვის: „ჟენია მასწავლებლის გაკვეთილს ვერ გავაცდენთ“?

– არასდროს ვყოფილვარ მიკერძოებული სკოლაში. ობიექტურობა და სამართლიანობა იყო ჩემი უპირველესი საზრუნავი. როგორი „რთულიც“ არ უნდა იყოს ბავშვი, თუ მასწავლებელი ეცდება, მასში რაციონალურ მარცვალს იპოვის და ხელს შეუწყობს მის განვითარებას. ეს ალღოა, რომელიც აუცილებლად სჭირდება მასწავლებელს. მე ბევრი, ასე ვთქვათ, „რთული“ მოსწავლე მახსენდება, რომლებთანაც სწორად მიდგომამ და თანამშრომლობამ წარმოუდგენელი შედეგი გამოიღო.

ჟენია მერაბიშვილი

არასდროს ვითვალისწინებ მოსწავლის შეფასებისას მის სოციალურ მდგომარეობას. როცა რომელიმე კოლეგა მეტყოდა: ცოდია, ობოლია, დედა არ ჰყავსო, მე ვპასუხობდი: სწორედ იმიტომაც უნდა ისწავლოს ყველაზე კარგად, რომ ცოდნით შეძლოს თავის გატანა-მეთქი.

ობიექტურობა ძალიან მნიშვნელოვანია შეფასებისას. ვინც არ უნდა იყოს შესაფასებელი – შენი, შენი კოლეგის თუ სხვისი შვილი – ყველას თანაბარი ყურადღება უნდა დაუთმო და ყველასთვის თანაბარი შეღავათები უნდა გქონდეს.

ჩემი სიმკაცრის გამო მქონდა განცდა, რომ ესა თუ ის ბავშვი, რომელიც, ასე ვთქვათ, „დავსაჯე“ ჩემი ობიექტურობით, ცხოვრებაში სადმე თუ შემხვდებოდა, სალამსაც არ მეტყოდა. თუმცა პირიქით ხდება: მადლობას მეუბნებიან და ამბობენ, ნეტავ ყველას ასე „დავესაჯეთ“, უფრო მეტს მოვინდომებდითო.

ყოველთვის – მაშინაც კი, როცა მწირი იყო შესაძლებლობა – ვეძებდი სწავლების ახალ მეთოდებს, ბევრ ვმუშაობდი საკუთარ თავზე. მეუღლე და ოჯახიც ხელს მიწყობდა. ვცდილობდი, ვყოფილიყავი საინტერესო მასწავლებელი და ფიზიკის სიყვარული არაერთი მოსწავლისთვის ჩამინერგავს. ასე ნელ-ნელა ვხდებოდი, როგორც თქვენ ამბობთ, „წარმატებული მასწავლებელი“.

– თქვენ ფიზიკის მასწავლებელი ხართ. რატომ გახდით მასწავლებელი?

– მეც მიფიქრია ამაზე. თუმცა პასუხი ყოველთვის ვიცოდი. მე დაბადებული ვარ მასწავლებლად. ბავშვობაში, ჯერ კიდევ დედ-მამასთან ცხოვრების პერიოდში, სკამებზე დავდებდი სხვადასხვა ნივთებს და ჩემს წარმოდგენაში მათ გაკვეთილებს ვუტარებდი. ეს იყო ყველაზე კარგი თამაში, რომელიც მიყვარდა და მსიამოვნებდა.

დღეს სკოლის გარეშე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება. ოჯახური გარემო და შვილები მაძლევენ იმის საშუალებას, დავისვენო და მხოლოდ საოჯახო საქმეებით დავკავდე, მაგრამ სხვაგვარად ცხოვრება არ შემიძლია. დღეს დილით ძლიერი ქარი რომ ამოვარდა და აცივდა, 5 საათიდან ფეხზე ვარ და სკოლაში გათბობის ამბავს ვაწესრიგებდი, რათა ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის თბილი საკლასო ოთახები დამეხვედრებინა.

– თქვენ ბრძანდებით სერტიფიცირებული დირექტორი, სკოლას ნამდვილად ეტყობა კარგი მენეჯერის ხელი. რა არის კარგი დირექტორობის საიდუმლო?

– ბუნებრივია, არ არსებობს ადამიანი, ვისაც დარდი არა აქვს. სკოლის კარს რომ შემოვა-

„არასდროს ვყოფილვარ მიკერძოებული სკოლაში. ობიექტურობა და სამართლიანობა იყო ჩემი უპირველესი საზრუნავი. როგორი „რთულიც“ არ უნდა იყოს ბავშვი, თუ მასწავლებელი ეცდება, მასში რაციონალურ მარცვალს იპოვის და ხელს შეუწყობს მის განვითარებას.“

ღებ, ყველაფერს პირადულს კარის იქით ვტოვებ. ეს გახლავთ მნიშვნელოვანი, რაც ადამიანმა სკოლაში შესვლისას უნდა შეძლოს. აქ მხოლოდ ჩემი საქმე, მოსწავლეები და მასწავ-ლებლები მახსოვს. ვფიქრობ თითოეულ პედაგოგზე, რომელსაც რაიმე პრობლემა აქვს და ვცდილობ, დავეხმარო. შეიძლება მასწავლებელმა დააგვიანოს კიდეც გაკვეთილ-ზე, მაგრამ სანამ საყვედურს ეტყოდე, სჯობს, ჰკითხო, რაიმე ხომ არ უჭირს. ხომ შეიძლება, მიზეზი მართლაც ობიექტური იყოს.

მე ძალიან კარგი მასწავლებლები მყავს. ვიცი თითოეული მათგანის სიხარული და ტკივილი. როცა საჭიროებას არ ვხედავ, არასდროს ვარ მკაცრი, მაგრამ ყველა მოსწავლემ და მასწავლებელმა იცის, რომ არაფერი დამრჩება შეუმჩნეველი და შესაბამის ზომებსაც მივიღებ.

სიტყვის შესრულება მიყვარს. რასაც ვპირდები მასწავლებლებს და მოსწავლეებს, ყოველთვის ვუსრულებ. აუცილებელია, ხელმძღვანელს ენდობოდნენ და მისი სჯეროდეთ.

როცა იცი, რას აკეთებ და როგორ უნდა გააკეთო, შედეგსაც მალე იღებ. ბავშვს ვერაფერს გამოაპარებ, ვერ მოატყუებ. მან ყოველთვის იცის, რა შეგიძლია.

– მაინც რით არის განსაკუთრებული თქვენი სკოლის სასწავლო პროცესი?

– ჩვენ მივყვებით რეფორმებს და თანამედროვე გამოწვევებს ვპასუხობთ. წარმატებულად და საინტერესოდ მუშაობენ საგნობრივი კათედრები. თვითშეფასებისა და შეფასების კრიტერიუმებზე, ჯგუფურ მუშაობაზე, სასწავლო პროცესში ისტ-ის გამოყენებასა და სხვადასხვა ინოვაციურ მეთოდზე ორიენტირებული სწავლებაა.

ტარდება უამრავი სკოლისგარეშე ღონისძიება. მოსწავლეებს აქედანვე ვაჩვევთ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას. მათ იციან, როგორ უნდა მოაწყონ პრეზენტაცია, ექსკურსია, მოიპოვონ და გაავრცელონ ინფორმაცია და ა.შ.

მასწავლებლები მუდმივად იმაღლებენ პროფესიული განვითარების დონეს და მონაწილეობას იღებენ სემინარებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. წელს ჩემი მასწავლებლები, ამ მიზნით, იყვნენ ლონდონში, CERN-სა და პოლონეთში. მირჩევნია, მასწავლებელი წავიდეს, ახალი გამოცდილებით დაბრუნდეს და შემდეგ ის თავის კოლეგებს გაუზიაროს, სკოლაში კი ინოვაციური მიდგომები დავნერგოთ.

სკოლაში ხელშეკრულებით მყავს ფსიქოლოგი და ის ძალიან გვეხმარება ბავშვებთან მუშაობის პროცესში. ბევრი პრობლემა თანამშრომლობით მოვაგვარეთ.

– გეთანხმებით, მასწავლებლის პროფესია ყოველდღიურად განახლებულ ცოდნას მოითხოვს. სწორედ ამ პროცესის ხელშეწყობად ავაშენეთ მასწავლებლის სახლი. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენ და თქვენს სკოლას გეპატიჟებით ჩვენთან. აქვე ჩაგეკითხებით: დღეს თავიდან რომ იწყებდეთ, ისევ სკოლაში მოხვიდოდით, ისევ დირექტორობას ისურვებდით?

– ძნელია დირექტორობა, ძალიან ძნელი, მაგრამ თუ ადამიანს საქმე აინტერესებს და უყვარს, მაინც იქ ტრიალებს, სადაც სიძნელეებია. დირექტორობა მომესურვებოდა-მეთქი, – ვერ გეტყვით, მაგრამ ისევ ვიმეორებ: მასწავლებლობა ჩემი ცხოვრების საქმეა, სკოლა – ჩემი მეორე სახლი.

ქალბატონი ჟენია იმდენად სასიამოვნო მოსაუბრეა, ისეთი გულწრფელობით გიყვებათ ყველა ისტორიას, ისე დაუზარლად განახებთ საკლასო ოთახებს, ეზოს, შეშას, რომელიც ზამთრისთვის მოუმარაგებია, სპორტულ დარბაზს, კაბინეტს პანდუსებით – სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, ცეკვისთვის – დარბაზს სარკეებით და მასწავლებლებისა და მოსწავლეების ნამუშევრებს, დიპლომებს, სიგელებს, სკოლის მუზეუმს, წკრიალა სასადილო ოთახს და ყველაფერს, რაც მართლაც წარმატებული სკოლისთვის არის საჭირო... სურვილი გიჩნდებათ, ეს ყველაფერი დანარჩენ მასწავლებლებსა და დირექტორებსაც გაუზიაროთ. გვეპატიჟება კიდეც, კიდევ ერთხელ ჩამობრძანდითო. ნებისმიერი შეხვედრისთვის აქვს დიდი და კეთილმოწყობილი საკონფერენციო დარბაზი, კეთილგანწყობილი ღიმილი და უტყუარი ფრაზა: „სტუმარი ღვთისაა“.

სკოლის დირექტორი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო პოლიტიკა

თეო ნეფარიძე

სკოლის ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან პირველ ადგილზე, უმეტესწილად, სკოლის ძლიერ ლიდერს ასახელებენ. მკვლევართა დიდი ნაწილი ცალსახად თვლის, რომ სკოლის ეფექტურობას სწორედ სკოლის დირექტორი განსაზღვრავს. მას პირდაპირ უკავშირდება წარმატებული სკოლის დანარჩენი მახასიათებლები (სწავლების მაღალი ხარისხი, უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგები, მშობელთა აქტიური ჩართულობა, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა). თუმცა ვფიქრობ, რომ ვერც ერთ ზემოაღნიშნულ ასპექტში სკოლის დირექტორი წარმატებას ვერ მიაღწევს, თუკი მის მიერ შემუშავებული პოლიტიკა და მისი ცალკეული ქმედებები მოსწავლეებზე არ იქნება ორიენტირებული.

სკოლის სტრატეგიული მართვისა და მდგრადი განვითარებისთვის სკოლის ხელმძღვანელმა პირმა სასკოლო პოლიტიკა და შინაგანაწესი უნდა შეიმუშაოს მოსწავლეთა ჩართულობით და მათი საჭიროებების, მოსაზრებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ცოცხალი დოკუმენტის სახით არსებული სასკოლო პოლიტიკა და განაწესი სკოლის დირექტორის, მასწავლებლებისა და მშობლების თანამშრომლობითი მუშაობის შედეგს და ერთობლივი ქმედებების განხორციელების საშუალებას წარმოადგენს.

სანამ ვიმსჯელებდეთ მოსწავლეების საჭიროებების ტიპებსა და მათი გათვალისწინების სტრატეგიებზე სასკოლო პოლიტიკისა და შინაგანაწესის ფარლებში, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მოსწავლეთა საჭიროებები შეიძლება განსხვავდებოდეს სკოლის განვითარების დონის მიხედვით. სკოლის განვითარების დონეზეა დამოკიდებული საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობებიც. მოსწავლეთა საჭიროებები, პირობითად, სამ დონედ შეგვიძლია დავყოთ: ადმინისტრაციული, პროგრამული და სპეციალიზებული. ადმინისტრაციულ საჭიროებებში ისეთი პირველადი მოთხოვნები შედის, როგორიცაა მოსწავლეთა უსაფრთხოება, ჰიგიენის ნორმების დაცვა სკოლაში, მოსწავლეთა ჯანდაცვა, ბიუჯეტის განაწილება, მოსწავლეთა ქცევის ნორმების დაცვა, ინფრასტრუქტურის მართვა და გაუმჯობესება. პროგრამულ საჭიროებებში ერთიანდება მაღალი აკადემიური შედეგების მიღება, მაღალკვალიფიციური მასწავლებლების ხელმისაწვდომობა, საინტერესო და სახალისო სასწავლო პროცესი, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დადებითი დამოკიდებულება, მოსწავლეთა სამართლიანი შეფასება, მოსწავლეთა

> სკოლის სტრატეგიული მართვისა და მდგრადი განვითარებისთვის სკოლის ხელმძღვანელმა პირმა სასკოლო პოლიტიკა და შინაგანაწესი უნდა შეიმუშაოს მოსწავლეთა ჩართულობით და მათი საჭიროებების, მოსაზრებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მოსწავლე, როგორც სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტი, ჩართული უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებაში. მისი მონაწილეობით შემუშავებული პოლიტიკის დანერგვისას კი მოსწავლე უფრო.

მხარდაჭერის სისტემისა და წამახალისებელი ინიციატივების არსებობა. სპეციალიზებული საჭიროებები კი მოიცავს მოსწავლეთა ინდივიდუალური თუ ჯგუფური სირთულეებისა და პრობლემების გამოვლენას და მათი გადაჭრის გზების შემუშავებას აკადემიურ პროცესში თუ არასაგაკვეთილო პროგრამების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ საჭიროებების ამგვარი დიფერენცირება სკოლის მართვის სამ ძირითად კომპონენტთან იგივდება. სკოლის მართვის ტრადიციული, ადმინისტრაციული მოდელი ლოჯისტიკურ, ფინანსურ და ორგანიზაციულ მენეჯმენტს მოიცავს. პროგრამული ხელმძღვანელობის მოდელის ძირითადი შემადგენელი ელემენტებია: სასკოლო მიზნების ჩამოყალიბება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მასწავლებელთა განვითარება, სწავლების შეფასება და გაუმჯობესების გეგმის შემუშავება, საჭირო რესურსების მოძიება და მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მასწავლებელ-მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბება, მშობლებსა და თემთან თანამშრომლობა. მოსწავლეთა სპეციალიზებული საჭიროებები შეიძლება დავაკავშიროთ მმართველობის ტრანსფორმაციულ მოდელთან, რომელიც სკოლაში ნებისმიერ დონეზე არსებული პრობლემის თანამედროვე და ინოვაციური გზით გადაჭრას მოითხოვს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის“ თანახმად, სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია „საჯარო სკოლის განვითარებაზე, სასწავლო პროცესის მართვაზე, პროფესიულ განვითარებაზე, ანგარიშვალდებულების სისტემაზე, მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე“. აღნიშნული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები სკოლის მართვის სამივე მოდელს/კომპონენტს მოიცავს და შესაბამისად, მოსწავლეთა საჭიროებების სამივე დონეს უკავშირდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ სკოლის ეფექტურობას, უმთავრესად, მისი დირექტორი განაპირობებს. ზემოაღწერილი სკოლის მართვის გავრცელებული მოდელები და საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორის სტანდარტიც იმაზე მიუთითებს, რომ სკოლის ეფექტურობა დირექტორის უშუალო პასუხისმგებლობაა.

1980-იან წლებში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში საჯარო სკოლების დირექტორები, უმეტესად, ადმინისტრაციული მენეჯერის ფუნქციებს ასრულებდნენ. გამოკითხვების შედეგებში გამოჩნდა, რომ დირექტორის მიერ შესრულებულ დავალებებს შორის პროგრამულ საჭიროებებს მხოლოდ 11% ეკავა, დღის სამუშაო დროის 62..2% კი ორგანიზაციული და ფინანსური მართვის საკითხებს ეთმობოდა. სავარაუდოდ, დღეს, საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორთა შორის იდენტური გამოკითხვა მსგავს შედეგებს მოგვცემდა.

თანამედროვე მკვლევართა ნაწილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთი ადამიანის მიერ სკოლის მართვის ადმინისტრაციული, პროგრამული და სპეციალიზებული მოდელების განხორციელება შეუძლებელია. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ვინაიდან პირველადი ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური საჭიროებების უგულებელყოფა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, პროგრამული მოთხოვნები ხშირად პრიორიტეტულად რჩება, თუმცა მეორე ადგილზე ინაცვლებს. საქართველოს საჯარო სკოლებში, სადაც ერთდროულად

ინერგება ადმინისტრაციული და პროგრამული სიახლეები, მით უფრო რთული ხდება სკოლის ლიდერის მოვალეობის ეფექტურად შესრულება. თუკი განვითარებულ ქვეყნებში დირექტორი წინასწარ გაწერილი პროცედურების მიხედვით ახორციელებს ვალდებულებებს და მხოლოდ რამდენიმე ახალ მიმართულებას, ინიციატივას თუ ცვლილებას უყრის საფუძველს, საქართველოს სკოლებში დირექტორს მოითხოვება, იყოს ცვლილებებისა და რეფორმების წამომწყებიც, პროცესის ფასილიტატორიც, რესურსების მომპოვებელიც და პრობლემების გადამჭრელიც.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზის შედეგად, ცხადი ხდება, რომ სკოლის დირექტორი ერთნაირი წარმატებით ვერ შეძლებს მოსწავლეების პირველადი, ადმინისტრაციული და მეორადი, პროგრამული საჭიროებების დაკმაყოფილებას სისტემური მიდგომის დანერგვის გარეშე. პირველ რიგში, აუცილებელია, ნათლად შემუშავებული წესების/განაწესის დანერგვა ადმინისტრაციულ დონეზე, რათა პროგრამულ მხარეზე ზრუნვის მეტი შესაძლებლობა გაჩნდეს. პროგრამული მართვის მოდელი კი რეკომენდებულია, იყოს დეცენტრალიზებული ფორმალურ და არაფორმალურ დონეებზე, რაც გულისხმობს ლიდერთა გუნდების, კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების შედგენას დირექტორის, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და მოწვეული სპეციალისტების შემადგენლობით.

ქვემოთ განვიხილავთ სამ ძირითად ფუნქციას, რომლებიც მოსწავლეების პროგრამულ საჭიროებებს და შესაბამისად, პროგრამული პოლიტიკის განვითარების ასპექტებს აერთიანებს:

1. მიზნების ჩამოყალიბება და პოლიტიკის შემუშავება;
2. პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და ორგანიზება;
3. გადაწყვეტილებების მიღება.

სკოლის მიზნები შეიძლება შეიცვალოს და განახლდეს იმის მიხედვით, თუ განვითარების რა ეტაპზეა სკოლა, რა აკადემიურ შედეგებს აჩვენებენ მოსწავლეები და კურსდამთავრებულები და რა საჭიროებები ან ინტერესები აქვთ მოსწავლეებს. მაგალითად, თუ სკოლაში წერა-კითხვის ცოდნის ამაღლების საჭიროებაა, სკოლის მიზანი იქნება ინსტრუქციის ისეთი მოდელის შერჩევა და დანერგვა, რომელიც აღნიშნული პრობლემის მოგვარების ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. თუ სკოლაში მრავალდონიანი კლასებია, სკოლამ შესაძლოა, მიზნად დაისახოს მასწავლებელთა გადამზადება მრავალდონიანი კლასების სწავლების მეთოდებში, ან კლასების გადანაწილება დონეების მიხედვით. თუ სკოლა მცირე ან პირიქით, მაღალკონტინგენტიანია, პროგრამული მიზანი შეიძლება გახდეს მასწავლებელთა დატრენინგება ისეთ სასწავლო მეთოდებსა და ტექნიკებში, როგორიცაა ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები, კოოპერაციული სწავლების ფორმები, შემსწავლელთა სწავლის სტილი და სპეციალური საჭიროებები.

პროგრამული პოლიტიკის განხორციელების კოორდინირებისა და ორგანიზების ფუნქციის ფარგლებში, დირექტორს ყველაზე მნიშვნელოვანი – **კომუნიკატორის** როლი ეკისრება. კვლევებით დასტურდება, რომ ადამიანი ცხოვრების 70-80%-ს (ძილის პერიოდის გამოკლებით) სხვებთან კომუნიკაციაში ატარებს. ამავეს თუ გადავიტანთ სამუშაო დროზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რვასაათიანი სამუშაოს ექვს საათს მაინც კომუნიკაციას ვუთმობთ. დირექტორის მხრიდან მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან კომუნიკაცია არა მხოლოდ საჭიროებათა მოკვლევისა და თანამშრომლობითი მუშაობის პროცესში უნდა მიმდინარეობდეს, არამედ ისიც განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა გაჟღერდეს, თუ როგორ გაითვალისწინეს მათი საჭიროებები.

პროგრამულ საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის კიდევ ერთი არსებითი ნაწილია სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რაც დიდ ადამიანურ რესურსს და დროს მოითხოვს. სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით შესაძლებელია მულტი-დისციპლინური ჯგუფების შექმნა, რომლებიც ფორმატული და შეჯამებითი მეთოდების გამოყენებით დააკვირდებიან და შეაფასებენ სასწავლო პროცესს. სწავლების ხარისხის შეფასების პროცესში მოსწავლეები სხვადასხვა ფორმით

ჩაერთვებიან, იქნება ეს შეფასებითი კითხვარების შევსება, სასწავლო მასალების ანალიზი და შეფასება, შეძენილი ცოდნის დემონსტრირება თუ რეალურ ცხოვრებაში გამოყენების მაგალითების გაზიარება. შეფასების პროცესში დირექტორისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პროცესის **ხელშემწყობი** რესურსის როლსა და **ზედამხედველის** როლს შორის ბალანსის შენარჩუნება.

მოსწავლეთა საჭიროებებზე დაფუძნებული სასკოლო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი დამხმარე მექანიზმია მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც სკოლა მოსწავლეს შესთავაზებს დამხმარე სერვისებს ადმინისტრაციული თუ პროგრამული საჭიროებების დასაკმაყოფილებად.

მესამე ფუნქცია – გადაწყვეტილებების მიღება სკოლის მართვის ყველა სფეროს მოიცავს და ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მონაწილეობა.

პირველ რიგში, მოსწავლე, როგორც სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტი, ჩართული უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებაში. სასკოლო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში მას შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება, მონაცემთა შეგროვება, შედარებების გაკეთება და ა.შ. მისი მონაწილეობით შემუშავებული პოლიტიკის დანერგვისას კი მოსწავლე უფრო მეტ ინიციატივას გამოიჩენს.

და ბოლოს, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემისა და პროცედურების გარდა, მნიშვნელოვანია, სკოლა დაეხმაროს მოსწავლეებს სკოლის გარეთ აკადემიურ და პროფესიულ ურთიერთობებში. ამ მიზნით სკოლამ შეიძლება სოციალური თუ პროფესიული კონტაქტები დაამყაროს და პროექტები განახორციელოს სხვა სკოლებთან, ორგანიზაციებთან, ასოციაციებსა და კავშირებთან – იქნება ეს საქართველოში თუ საზღვარგარეთ არსებული საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოვანესია სკოლის ხელმძღვანელი პირის როლი თითოეული მოსწავლის პიროვნული, აკადემიური თუ პროფესიული განვითარების საქმეში. ამ ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის კი აუცილებელია პოლიტიკის ფორმირების პროცესის სწორად წარმართვა დეცენტრალიზებული მენეჯმენტის და სკოლისა თუ სკოლასთან დაკავშირებული სუბიექტების (პირველ რიგში, მოსწავლეების) აქტიური ჩართულობით.

მასწავლებლის პროფესიის ახლებური ხედვა

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის განათლების სისტემებში, 21-ე საუკუნის გამოწვევების საპასუხოდ, მასწავლებელთა როლის გადაფასება ხდება. სწავლების ახლებური მეთოდებისა და საშუალებების ფლობა ხშირად მოიხსენიება, როგორც თანამედროვე მასწავლებლის უნარებისა და კომპეტენციების განუყოფელი ნაწილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი როლისა და ფუნქციების გათავისებაც. თუ რა ძირითადი მახასიათებლები აქვს ამ ახლებურ მეთოდებს და მასწავლებელთა როლს ახალ სასწავლო გარემოში, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

მერაბ ლაბაძე

სწავლების აქტიურ მეთოდებსა და მასწავლებელზე, როგორც მათ გამტარებელზე საუბარი შემეცნებითი მეცნიერებების ბოლოდროინდელმა მიღწევებმა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ განაპირობა. კონსტრუქტივიზმის თეორია სულ უფრო მეტად გამოიყენება, როგორც თანამედროვე სასწავლო გარემოსადმი ყველაზე უკეთ მისადაგებული. კონსტრუქტივიზმის მოკლე განმარტების მიხედვით, მოსწავლე ახდენს ახალი ცოდნის კონსტრუირებას არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

სწავლების აქტიური მეთოდები გარკვეულწილად უპირისპირდება მე-19 საუკუნის ბოლოდან გავრცელებული მასობრივი საბაზო განათლების სისტემებში დანერგილ, ცოდნის გადაცემის სალექციო მეთოდებს. ამ მეთოდებში აქცენტი სწორედ ცოდნის გადაცემაზე კეთდება, მოსწავლის აქტიური ჩართულობის გარეშე. ამ მეთოდს დღესაც ხშირად იყენებენ და სავარაუდოდ, ის ყოველთვის იპოვის გამოყენების არეალს, თუნდაც შეზღუდული დროის პირობებში, ან უმცროსი ასაკის ბავშვებში.

სალექციო, ინსტრუქციული სტილისათვის დამახასიათებელია ცალმხრივი კომუნიკაცია, გამზადებული პასუხების გახმოვანება მასწავლებლის მიერ, დისკუსიის არარსებობა, მასწავლებლის, როგორც საუკეთესო ექსპერტის როლის ხაზგასმა და სხვ.

აღნიშნულის საპირისპიროდ, აქტიური მეთოდისთვის დამახასიათებელია მასწავლებლის, როგორც პროცესის ხელშემწყობის – ფასილიტატორის როლის ხაზგასმა. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ცოდნის შეძენა-კონსტრუირებაში. ის ხელს უწყობს კითხვების დასმასა და დისკუსიას, გეგმავს ხალისიან, ინტერაქტიულ სასწავლო აქტივობებს, ახდენს მოსწავლეთა მოტივირებას, რათა მათ პრაქტიკულად აჩვენონ/გამოავლინონ მიღებული ცოდნა, გამოთქვან ვარაუდები და გააკეთონ საკუთარი დასკვნები. სწავლების აქტიური მეთოდები ცნობილია და გამოიყენება ქართველი მასწავლებლების მიერაც. მათ შორის აღსანიშნავია ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, გონებრივი იერიში, საპროექტო სწავლება, გასვლითი გაკვეთილი, კვლევითი პროექტი, ექსპერიმენტი, დემონსტრაცია და სხვ.

ეს თავისთავად გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას ცოდნის შეძენის პროცესში. შესაბამისად, გამოკვეთილია მოსწავლის ახალი როლებიც.

> საჭიროა, მასწავლებელს ჰქონდეს სიახლის მიმართ ღიაობა და მზაობა, გახდეს მოსწავლზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის ხელშემწყობი.

ელექტრონული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა 21-ე საუკუნის ე.წ. „ციფრული მკვიდრების“ თაობის ახლებური მოთხოვნილებები და გამოიწვია მასწავლებლის ფუნქციის ცვლილებები.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობამ და პირადი მოხმარების ციფრული მოწყობილობების სწრაფმა განვითარებამ მასწავლებლის, როგორც ინსტრუქტორის როლი საგრძნობლად შეასუსტა, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სულაც არ ნიშნავს მასწავლებლის პროფესიის გაქრობას. პროგრესი მოითხოვს მასწავლებლის როლისა და ფუნქციების ახლებურად ჩამოყალიბებას. სხვადასხვა ხასიათის კვლევებმა ცხადყო ასეთი ხელახალი განსაზღვრის წინაპირობებიც. მაგალითად, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) თანდათან განდევნის ისეთ ტრადიციულ საშუალებებს, როგორიცაა დაფა და ცარცი. მალე ყველა მოსწავლისთვის იქნება ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსები.

> „ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სულაც არ ნიშნავს მასწავლებლის პროფესიის გაქრობას. პროგრესი მოითხოვს მასწავლებლის როლისა და ფუნქციების ახლებურად ჩამოყალიბებას.“

ტრადიციულ შეფასებასთან შედარებით, შეფასების ციფრული სისტემები (ტესტები) გაცილებით მრავალფეროვანი და ინფორმაციულია.

აღსანიშნავია, რომ ამ სიახლეების ათვისება თუ გათავისება როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ მომზადებასაც მოითხოვს.

ქვემოთ მოყვანილია მასწავლებლის ახალი როლებისა და ფუნქციების მაგალითები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციაში განიხილება. ეს როლები შესაძლოა ნაცნობიც იყოს ბევრი მასწავლებლისათვის, თუმცა მათი ფართომასშტაბიანი დანერგვა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

მასწავლებელთა ახალი როლები

21-ე საუკუნის სწავლებაში აქცენტი კეთდება არა ინფორმაციის მოპოვებასა და წარმოდგენაზე, არამედ მის გაანალიზებასა და აღნიშნულის საფუძველზე ცოდნის შექმნაზე. ახალ სასწავლო გარემოში მასწავლებლები სულ უფრო ნაკლებად არიან ცოდნის გადამცემები და სულ უფრო მეტად – ცოდნის შექმნის ხელშემწყობები, გამოცდილი ტრენერები და ახალი სასწავლო რესურსების შემქმნელები.

ახალი მოთხოვნები იუნესკოს შეფასებით, თანამედროვე მასწავლებელს მოეთხოვება, იყოს:

- ფასილიტატორი, ანუ ხელშემწყობი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, სწორად შეაფასოს ამა თუ იმ ინფორმაციული რესურსის სასწავლო ღირებულება და ხარისხი;
- სიახლისადმი ღია, ანალიტიკური უნარის მქონე, დამოუკიდებელი პროფესიონალი;
- აქტიური კოოპერაციის უნარის მქონე;
- შუამავალი მოსწავლეებს, მათ სასწავლო მოთხოვნილებებსა და იმ გარემოს შორის, სადაც მათ საჭირო ცოდნის შეძენა შეუძლიათ.
- ნასწავლის გააზრებისა და ცოდნის გაძლიერების უზრუნველმყოფი.

თანამედროვე მასწავლებლის არსენალში უნდა იყოს ისეთი კომპეტენციები, როგორიცაა: კრეატიულობა, მოქნილობა, საპროექტო მუშაობის უნარები, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული უნარები, თანამშრომლობითი ჩვევები.

ისტ უნარები

მზარდ ისტ სასწავლო გარემოში მასწავლებელსაც მოეთხოვება, ჰქონდეს ტექნიკური საშუალებების, პროგრამებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის საჭირო უნარები. მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- კომპიუტერისა და მისი საბაზო სამომხმარებლო პროგრამების გამოყენება;
- კომპიუტერისა და სხვა ციფრული მოწყობილობის სწავლების პროცესში გამოყენების შესაძლებლობის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამების (სოფტის) შეფასება;
- ეფექტიანი პრეზენტაციების შექმნა;
- ინტერნეტში ძიების დახვეწილი მეთოდების ცოდნა;

- ისტ საშუალებების ინტეგრაცია მოსწავლეთა დავალებებსა თუ აქტივობებში სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- მულტიმედიური და ვებ-ფორმატის (ჰიპერტექსტური) მასალების შექმნა სწავლების პროცესის მხარდასაჭერად;
- ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ეთიკისა და თანასწორობის პრინციპების ცოდნა;
- საკუთარი ცოდნის განახლება ტექნოლოგიების ცვლილებასთან ერთად.

აღნიშნული კომპეტენციები და უნარები გარკვეულწილად ასახულია ისტ მასწავლებლის სტანდარტში და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც სხვა საგნების მასწავლებლის ისტ კომპეტენციებს ეხება.

პროფესიული განვითარება და უნარები

მასწავლებელთა გადამზადების თვალსაზრისით, ბოლო პერიოდის კვლევებმა განსაკუთრებით გამოკვეთა მასწავლებლის ცოდნის განახლებისა და ახალი უნარების ათვისების აუცილებლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა პედაგოგიკა, კურიკულუმის განვითარება, მხარდაჭერის სისტემები, სასწავლო გეგმასთან ინტეგრაციის სტრატეგიები.

ახალ პედაგოგიურ უნარებში ხშირად მოიაზრებენ გამოკითხვის ახლებური სტრატეგიების ფლობას, რომლებიც ხელს უწყობს დისკუსიებს, საკითხის სიღრმისეულ კვლევას და ანალიზს.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს ეფექტიანი სასწავლო გეგმის ჩამოყალიბება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ნასწავლის მნიშვნელობის აღქმა, ახალი ცოდნის ინტეგრირება არსებულ ხედვაში და მისი გამოხატვა.

ამავე დროს მნიშვნელოვანია ტექნოლოგიის აღქმა, როგორც სწავლების ხელშემწყობი საშუალებისა და არა მარტო ცალკე შესასწავლი საგნის. თანამედროვე ხედვასა და სასწავლო გეგმებში ისტ საშუალებები ინტეგრირებულია თითქმის ყველა საგნის სწავლებაში და სასწავლო ამოცანების ეფექტიანად გადაწყვეტას უწყობს ხელს.

ცალკეული ელექტრონული პროგრამების გამოყენების უნარები თავისთავად არ განაპირობებს ახალი ცოდნის შეძენას. მასწავლებელს უნდა შეეძლოს კომპლექსური და დახვეწილი სასწავლო პროექტების დაგეგმვა და მართვა, მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით. ასეთი პროექტები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სტანდარტებთან.

სისტემურ დონეზე ახლებური მეთოდების დასანერგად და ახალი როლის ასათვისებლად მასწავლებელს სჭირდება სხვადასხვა დონის მხარდაჭერა, როგორც პროფესიული განვითარების კუთხით, ასევე ტექნიკური უნარების გაძლიერებისა და ცოდნის რეგულარულად განახლების მხრივ.

მასწავლებელთა ახალ როლებში გამოყოფენ სწავლების პროცესის დიზაინერსაც. ასეთი მასწავლებელი აქტიურად იაზრებს ყველა საჭირო რესურსსა თუ საშუალებას ტექნოლოგიებით გამდიდრებული ან სწავლების აქტიური მეთოდებით გაჯერებული გაკვეთილის ჩასატარებლად.

ასევე ხშირია საუბარი მასწავლებელთა გაზრდილ თანამშრომლობაზე, რომელსაც უფრო დაწვრილებით შევეხებით.

კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობა

საკმაო ყურადღება ეთმობა თანამედროვე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში კოლეგებთან კომუნიკაციისა, მათთან ერთად სწავლისა და ცოდნის გაზიარების უნარებს. მასწავლებელთა პროფესიული ქსელები ადრეც არსებობდა, მაგრამ ინტერნეტის და სოციალური ქსელების განვითარებასთან ერთად დიდწილად გაიზარდა როგორც ქსელური კომუნიკაციის, ასევე საკუთარი გამოცდილებისა თუ რესურსების გაზიარების საშუალებებიც. წარმატებული მასწავლებლები ხშირად ქმნიან ბლოგებს, სადაც სასწავლო მასალებთან ერთად საკუთარ გამოცდილებასა და შეხედულებებს უზიარებენ კოლეგებს. თანამედროვე საგანმანათლებლო პორტალების მნიშვნელოვანი მახასიათებელია მასწავლებელთა ქსელური ურთიერთობის შესაძლებლობა. აქ მათ საშუალება ეძლევათ, ატვირთონ საკუთარი მასალები, კომენტარი გააკეთონ სხვადასხვა სასწავლო რესურსზე, შეაფასონ ესა თუ ის სიახლე, დაგეგმონ ჯგუფური აქტივობა და სხვ.

კოლეგებთან ურთიერთობა, სასწავლო საკითხებზე ერთობლივად მუშაობა სკოლის დონეზეც უწყობს ხელს ახალი მეთოდების უკეთ დაუფლებასა და ინოვაციების დანერგვას. ბუნებრივია, ამ პროცესებს საკუთარი ლიდერებიც ჰყავთ, რომელთაც კოლეგებთან წარმატებული ურთიერთობისათვის და

> ”ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი, რომელსაც თანამედროვე მასწავლებელი ირგებს, არის მოსწავლე. მასწავლებელი მუდმივად სწავლობს, გეგმავს პროფესიულ განვითარებას, ეძებს ცოდნის შეძენის ახალ საშუალებებს და ახალ ცოდნას კოლეგებსა და მოსწავლეებს უზიარებს.“

დაკვალიანებისათვის გარკვეული თვისებები აქვთ. კერძოდ, თანამშრომლობითი ურთიერთობის ლიდერი უნდა იყოს:

რესურსების მიმწოდებელი

მასწავლებელი ეხმარება კოლეგებს სწავლების რესურსების გაზიარებით. ეს შეიძლება იყოს ვებ-გვერდი, ინსტრუქციული მასალები, საკითხავი მასალა, და სხვ., ასევე ისეთი პროფესიული რესურსები, როგორიცაა სტატიები, წიგნები, გაკვეთილის გეგმები და შეფასების მეთოდები. მნიშვნელოვანია კოლეგების დაკვალიანება ინფორმაციის მასივებიდან ღირებული და საჭირო ნაწილის ამოკრებაში და მონაცემთა სწორ ანალიზში.

სწავლების სპეციალისტი

სწავლების სპეციალისტი ეხმარება კოლეგებს, დანერგონ სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები. ეს ხშირად გულისხმობს სწავლებისა და გაკვეთილების დაგეგმვის გამრავალფეროვნებას ახალი მეთოდების დანერგვით.

კურიკულუმის სპეციალისტი

სასწავლო გეგმის, მისი სხვადასხვა კომპონენტის ურთიერთკავშირის, სტანდარტების ცოდნა და სწავლებისა თუ შეფასების პროცესში მათი გამოყენების უნარი აუცილებელი წინაპირობაა სასწავლო შედეგების მისაღწევად. ამ საკითხებზე კოლეგებთან ურთიერთობით ხდება საერთო ხედვის, სწავლების გეგმისა და ეფექტიანი შეფასების სისტემების ჩამოყალიბება.

გაკვეთილზე მხარდამჭერი

გაკვეთილებზე მხარდამჭერები ეხმარებიან მასწავლებლებს ახალი იდეების დანერგვაში, ზოგჯერ ატარებენ საჩვენებელ გაკვეთილს, ატარებენ ერთობლივ გაკვეთილს, აკვირდებიან კოლეგას და უზიარებენ კომენტარებს. ასეთი როლი ქართველი მასწავლებლებისათვისაც ცნობილია და ხშირად გამოიყენება სკოლებში. თანამედროვე კვლევები მოწმობს, რომ კოლეგებთან ამ ტიპის კონსულტაციებით იზრდება მასწავლებელთა თავდაჯერებულობა და აქტიურობა სასწავლო ამოცანების გადაჭრაში.

სწავლების ფასილიტატორი

პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხელშეწყობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლია. კოლეგების სწავლებას ბევრი დადებითი მხარე აქვს. მასწავლებლის შემთხვევაში, პროფესიული განვითარება უფრო ეფექტიანი ხდება და მიმართულია კონკრეტული ხარვეზების აღმოფხვრისაკენ. სწორედ ასეთი ურთიერთობის ერთგვარ განვრცობას წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული ქსელები.

მენტორი

მენტორობა საპასუხისმგებლო და კომპლექსური როლია. მაგალითისა და საჭირო რჩევის მიცემა ახალბედა მასწავლებლისათვის მნიშვნელოვნად განაპირობებს მის წარმატებულ პროფესიონალად გადაქცევას. მენტორ-მასწავლებელთა ინსტიტუტი საქართველოშიც ინერგება.

სიახლისა და ცვლილების კატალიზატორი

ლიდერი მასწავლებელი უნდა იყოს ცვლილების კატალიზატორი. ასეთი მასწავლებელი ყოველთვის ინტერესით ეკიდება სიახლეს, ხალისიანად ნერგავს ინოვაციებს და მუდმივად პოულობს პროფესიული ზრდის საშუალებებს.

მასწავლებელი, როგორც მოსწავლე

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი, რომელსაც თანამედროვე მასწავლებელი ირგებს, არის მოსწავლე. მასწავლებელი მუდმივად სწავლობს, გეგმავს პროფესიულ განვითარებას, ეძებს ცოდნის შეძენის ახალ საშუალებებს და ახალ ცოდნას კოლეგებსა და მოსწავლეებს უზიარებს.

წარმოდგენილი როლებისა და ფუნქციების გამოყენება და ათვისება შესაძლებელია ინტეგრირებულადაც. ცოდნის შეძენა კომპლექსური პროცესია და მასწავლებლის მრავალმხრივ მომზადებას გულისხმობს.

სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება და მასწავლებლის ახლებური როლები აქტიური და მოაზროვნე მოსწავლის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რომელსაც შეუძლია ისწავლოს ხალისიანად, მიზანმიმართულად, ჯგუფური მუშაობით ან ინდივიდუალურად. მას უნდა შეეძლოს მრავალმხრივი კვლევა და ანალიზი, მიღებული ინფორმაციის დამუშავება და მის საფუძველზე ღირებული ცოდნის შექმნა.

პროფესიული განვითარების მიმართ აქტიური პოზიციის არსებობისას მასწავლებელს შეუძლია გაიღრმავოს ახლებური სასწავლო მეთოდების გამოყენების უნარები და გაითავისოს ინოვაციური როლები. ამისათვის შესაძლებელია ინტერნეტში შესაბამისი რესურსების მოძიება, წარმატებულ და გამოცდილ კოლეგებთან დისკუსია თუ გამოცდილების გაზიარება. საჭიროა, მასწავლებელს ჰქონდეს სიახლის მიმართ ღიაობა და მზაობა, გახდეს მოსწავლზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის ხელშემწყობი.

ნეტბუკები სასკოლო ცხოვრებაში

ირმა კახურაშვილი

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ 2011 წლის სექტემბერში ყველა პირველკლასელი საჩუქრად მიიღებდა კომპიუტერს, რომელშიც 30-ზე მეტი სპეციალური პროგრამა იქნებოდა ჩატვირთული. პრეზიდენტმა დანაპირები შეასრულა – კომპიუტერები ქართულ კომპანია „ალგორითმში“ დამზადდა და „ინტელის“ საოპერაციო სისტემითა და ქართულენოვანი საგანმანათლებლო პაკეტით აღიჭურვა. 50 ათასამდე კომპიუტერის შესაძენად სახელმწიფომ 32 მილიონი ლარი გამოყო. განათლების სისტემაში მომხდარმა ასეთმა რევოლუციურმა ცვლილებამ კითხვებიც გააჩინა: როგორ გამოიყენებენ მასწავლებლები ახალ ტექნოლოგიებს? შეცვლიან თუ არა ნეტბუკები სტანდარტულ სახელმძღვანელოებს?

რამდენად წარმატებით ხორციელდება ნეტბუკების პროგრამა საქართველოს სკოლებში და როგორია პირველი შედეგები? – ამის შესახებ საკუთარი აზრი მასწავლებლის სახლში „მრგვალ მაგიდასთან“ შეკრებილმა დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა და მათმა ტრენერებმა გაგვიზიარეს.

ნატო ინგოროყვა: საქართველოს განათლების სამინისტრომ თანამედროვე ტექნოლოგიების ასათვისებლად მასწავლებლების გადამზადება მოკლე დროში მოახერხა. დაწყებითი კლასებისა და ცალკეულ საგანთა პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგები, შეისწავლეს კომპიუტერში ჩატვირთული პროგრამები. განათლების სპეციალისტთა ვარაუდით, ნეტბუკის დახმარებით ბავშვებს ცოდნა და კრიტიკული აზროვნების უნარი გაუღრმავდებათ, სწავლა კი მეტად სახალისო და საინტერესო გახდება. კომპიუტერი წიგნს არ ჩაენაცვლება. ის მხოლოდ სწავლების დამატებით ინსტრუმენტად იქცევა. საინტერესო იქნება, მოვისმინოთ: როგორ დაიწყო ეს ყველაფერი და რა რეალობა გვაქვს დღეს?

ეკა ჯელაძე: ბუკების პროგრამა შარშან დაიწყო. 2011 წელს ყველა პირველკლასელმა სახელმწიფოსგან საჩუქრად ნეტბუკი მიიღო. პროგრამის საპილოტე ეტაპი თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და ზუგდიდის სკოლებში განხორციელდა. გადასაწყვეტი იყო ორი ძირითადი პრობლემა: პირველი – სკოლაში ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართვა და მეორე – ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მასწავლებლების უნარების განვითარება.

ვიმუშავეთ ტრენინგ მოდულზე, უმოკლეს ვადებში მასწავლებლების საბაზისო უნარების განვითარებაზე. 35-საათიანი კურსის გავლის შემდეგ მასწავლებლებს უნდა შეძლებოდათ, დაეგეგმათ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილი, გამოეყენებინათ ტექნოლოგიები სხვადასხვა რესურსის მომზადებისას, ჩაეტარებინათ გაკვეთილი და შეფასებაც ტექნოლოგიების საშუალებით მოეხდინათ. მასწავლებლებს ბუკები უნდა გამოეყენებინათ მშობლებთან კომუნიკაციისთვისაც.

მოგეხსენებათ, რომ ბუკები „ინტელის“ ბაზაზეა შექმნილი და მათი სასწავლო კურსი და სახელმძღვანელოები უკვე პილოტირებულია სხვადასხვა სკოლაში. სწორედ ამ სახელმძღვანელოსა და სასწავლო კურსზე დაფუძნებით შევადგინეთ ქართულ რეალობაზე მორგებული სასწავლო კურსი. შევარჩიეთ ტრენერები, რომლებსაც გარკვეული გამოცდილება ჰქონდათ და შეეძლოთ მასწავლებლებისინ

მრგვალი მაგიდის მონაწილეები:

ეკა ჯელაძე – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ისტ ტრენინგების კოორდინატორი*

დიანა მიქაძე – *ტრენერი*

ირინა მარკოზაშვილი – *ტრენერი*

ნანა ედიშერაშვილი – *ტრენერი*

ნინო მღებრიშვილი – *ტრენერი*

თინათინ წიკლაური – *108-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

ეკა პირტახია – *100-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

ნინო ჯანხოთელი – *52-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

ციური ასიტაშვილი – *111-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

შეხვედრას უძღვებოდა **ნატო ინგოროყვა** – ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი.

ეკა ჯელაძე

> მოკლე დროში იმაზე მეტი გაკეთდა, რასაც ველოდით. პედაგოგებმა შეძლეს ბუკის სტრუქტურაში გარკვევა; მიხვდნენ მის არსს – თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ ის გაკვეთილზე, რითი უნდა გაამდიდრონ სწავლების პროცესი. ეს უკვე დიდი მიღწევაა.

თვის აეხსნათ ტექნიკური დეტალები. სულ 34 ტრენერი შევარჩიეთ. ისინი მთელი საქართველოს მასშტაბით მუშაობდნენ. 21 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით გადავამზადეთ 3565 მასწავლებელი – პირველი კლასის ყველა დამრიგებელი და ისინი, ვინც ქართულსა და მათემატიკას ასწავლიან, მაგრამ არ არიან დამრიგებლები.

ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ტექნოლოგიების საშუალებით მასწავლებელს უნდა შეძლებოდა გეგმისა და სასწავლო პროექტის შედგენა.

ასევე, სერტიფიკატი გადაეცათ იმ მასწავლებლებს, რომლებმაც ჩვენი მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილეს. ეს კი, დაახლოებით, 98%-მა შეძლო.

გვაქვს სამომავლო გეგმები და გვინდა, რომ მასწავლებლებთან თანამშრომლობა და სწავლა-სწავლების პროცესი შემდგომშიც განვაგრძოთ.

ნატო ინგოროყვა: საინტერესოა, მასწავლებელს, რომელიც ბუკის ღილაკებს ხელს აჭერს, აქვს თუ არა იმედი, რომ ყველაფერი გამართულია? რამდენად მაღალია სანდოობა ბუკის მიმართ?

ირინა მარგველაშვილი: მოკლე დროში იმაზე მეტი გაკეთდა, რასაც ველოდით. პედაგოგებმა შეძლეს ბუკის სტრუქტურაში გარკვევა; მიხვდნენ მის არსს – თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ ის გაკვეთილზე, რითი უნდა გაამდიდრონ სწავლების პროცესი. ეს უკვე დიდი მიღწევაა.

თინათინ წიკლაური: ვფიქრობ, რომ ყველაფერი მასწავლებლის მონდომებასა და მოქნილობაზეა დამოკიდებული. ბუკში მოცემულია ისეთი სახის სათამაშო-გასართობი პროგრამები, რომლებიც ბავშვს ძალდაუტანებლად უმტკიცებს ცოდნას. გარდა ამისა, თუ მასწავლებელი კონკრეტულ მიზანს დაისახავს გაკვეთილზე და მოისურვებს, რომ ბავშვს, ვთქვათ, სივრცითი ან ფერების აღქმის უნარ-ჩვევა განუვითაროს, ის ამას არაჩვეულებრივად მოახერხებს. სხვა შემთხვევაში ბუკი დანიშნულებას დაკარგავს და გასართობ ყუთად იქცევა. ბუკი რომ ნამდვილად ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს, ეს უკვე ვნახეთ და გამოვცადეთ. მისი დახმარებით ბავშვები თავად ართმევენ თავს იმ საკითხებს, რომელთა მოსაგვარებლად დამატებითი დრო დამჭირდებოდა. მაგალითად, სიტყვის შედგენაზე, ციფრებისა და რიცხვების ცნობაზე მუშაობისას ბუკი ძალიან ეფექტურია. მოგეხსენებათ, გაკვეთილი 35-წუთიანია და ერთდროულად 30 ბავშვზე ახდენ დაკვირვებას. ბუკი შეფასების კარგი საშუალებაცაა. გვეხმარება ისიც, რომ ახალი თაობის ბავშვები ტექნოლოგიებთან კარგად არიან ადაპტირებულები.

ნატო ინგოროყვა: ცხადია, ბავშვები ინფორმაციულ ცოდნას დამოუკიდებლადაც იღებენ, მაგრამ მასწავლებელი საჭიროა იმისათვის, რომ ამ ცოდნას სისტემური ხასიათი მიეცეს.

ნინო ჯანხოთელი: თავიდან მასწავლებლები ცოტა დაბნეულები ვიყავით, მაგრამ ახლა, ყოველდღიურად, რაღაც ახალს ვნერგავთ პრაქტიკაში. ბუკი ინტეგრირებულია სხვადასხვა საგანთან. მაგალითად, მასში ჩადებულია უცხო სიტყვათა ლექსიკონი. ასევე, ბუკი ძალიან დამეხმარა ფერთა შეზავების გაკვეთილზე – ამ პროცესში ბავშვები ინტერესით იყვნენ ჩართულნი. თუმცა წინააღმდეგი ვარ, რომ 35 წუთი მთლიანად დაეთმოს ბუკს. ის სასწავლო პროცესში ერთ-ერთი და არა ერთადერთი ინსტრუმენტია.

ნატო ინგოროყვა: ევროპულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ბუკმა სოციალური უთანასწორობის პრობლემა მოხსნა. ქართულ ბუკებში სახელმძღვანელოები არის?

ნინო მღებრიშვილი: არ არის. თუმცა მე მყავს ერთი

თინათინ წიკლაური

მოსწავლე, რომელმაც ვერ შეიძინა სახელმძღვანელოები, ამის გამო წიგნების გვერდების ასლებს იღებს ან კომპიუტერში ვუტვირთავთ მასალას.

მაია ჟღენტი: თამაშ-თამაშით სულ 6 ასო-ბგერა გავიარეთ, მაგრამ ბავშვებს უკვე ორსიტყვიანი წინადადების აწყობა შეუძლიათ. ასევე, სკოლაში თვალსაჩინოებების დეფიციტია. ეს პრობლემა ბუკმა შეავსო. მანვე გაზარდა ზოგადი აკადემიური მოსწრებაც.

ნინო მღებრიშვილი: ძალიან ბევრს ჰქონდა შიში, რომ ბუკების გამო ბავშვი წიგნს მოწყდებოდა. საზოგადოების დიდ ნაწილს არ სურს, რომ ახალი თაობა მთლიანად მიეჯაჭვოს კომპიუტერს,

მაგრამ ეს პროცესი გარდაუვალია. როგორც გრაგნილებიდან დაბეჭდილ ფურცლებზე გადავედით, რამდენიმე წლის მერე მივალთ ელექტრონულ წიგნამდე.

დიანა მიქაძე: ამ ასაკის ბავშვები, ვისაც სკოლამდე კომპიუტერთან შეხება ჰქონდა, ძირითადად, თამაშობდა.

> ათას ინსტრუმენტს ვიყენებთ, რათა მოსწავლეს სწავლის მოტივაცია ავუმაღლოთ. მთავარია, ბავშვი ცოდნის დაგროვებისთვის განვაწყოთ. სანამ სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებდეთ, აღვნიშნავ, რომ მასწავლებელს მუდმივად სჭირდება ცოდნის განახლება, მეტი ინფორმაცია და ინსტრუმენტები, რათა სწავლების პროცესში ბუკი უფრო ეფექტურად გამოიყენოს.

ეკა პირტახია

ბევრი თამაში აგრესიული იყო. ბუკში განსხვავებული ტიპის თამაშებია ჩატვირთული. ამიტომ ბავშვებმა სხვა, დადებითი კუთხით დაინახეს ბუკის შესაძლებლობები. სასიამოვნო სანახავია, როგორი ინტერესით უზიარებენ ბავშვები ერთმანეთს სიახლეებს.

ნატო ინგოროყვა: თქვენი საუბარი რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ ბუკი ეხმარება მასწავლებელს დროის ეფექტურად განაწილებაში, შეფასებასა და თვითშეფასებაში, ამაღლებს მოსწავლის ჩართულობას გაკვეთილზე, უვითარებს მას პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ძლევს სოციალურ უთანასწორობას. ბუკი აგრეთვე კარგია, როგორც თვალსაჩინოება და როგორც რესურსი.

ნინო მღებრიშვილი: პირველკლასელი მოსწავლე ხშირად ვერ იმახსოვრებს, რომელ გვერდზე რა გაკვეთილი აქვს, რასაც შემდეგ მშობლები მასწავლებლებთან აზუსტებენ. ბუკის დახმარებით, მშობლებს გვერდების ჩამონათვალს „ვორდში“ ვუტვირთავთ. იქვე მივუთითებთ თემატურ რესურსებსაც. ბუკი გვიადვილებს მშობლებთან ურთიერთობას.

მასწავლებელმა შეიძლება მათემატიკის ღილაკს დააჭიროს თითი და ვერც წარმოიდგინოს, რა კავშირი აქვს მათემატიკას ხელოვნებასთან. ვიწრო სპეციალობის მქონე ყველა პედაგოგს ვურჩევდი, რომ სხვა პროგრამებსაც გაცნობოდა. ეს ძალიან საინტერესოა. ყველა საგანი ერთმანეთზეა დამოკიდებული.

ვისურვებდი მწვრთნელებთან ხშირ კონსულტაციებს. ასევე, ვისურვებდი, რომ ბუკებს გაუმჯობესებული მეხსიერება ჰქონდეთ, რათა უფრო წარმატებულად და შეუზღუდავად გავაგრძელოთ მუშაობა და „ფლეშებზე“ გადაწერილი ფაილების იმედად არ ვიყოთ.

ნატო ინგოროყვა: რა სჭირდება მასწავლებელს იმისათვის, რომ ამ ინსტრუმენტთან მიმართებაში თავი უფრო დაცულად იგრძნოს?

ნინო მღებრიშვილი: მასწავლებელს უფრო ძლიერი ლეპტოპი სჭირდება, სადაც მთლიანი ინფორმაცია მოიყრის თავს. საქმე ისაა, რომ შეიძლება გარკვეული მასალა „ვორდის“ ფაილში გადაიყვანო, შეინახო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გადაიტვირთოს მეხსიერება. ინფორმაცია „ფლეშზე“ გადაგვაქვს, მაგრამ თუ მას ვირუსი გაუჩნდა, პრობლე-

ნინო მღებრიშვილი

„გვინდა, გავაკეთოთ კონკურსი მასწავლებლებისთვის თემაზე – რამდენად კრეატიულად იყენებენ ისინი სასწავლო პროცესში ბუკებს. ყველაზე შემოქმედებითი მასწავლებელი ფულადი პრემიით დაჯილდოვდება. კრეატიულ მასწავლებლებს სხვადასხვა საინტერესო პროექტში ჩავრთავთ.“

მები წარმოიქმნება. ასევე, არსებობს ვირუსები, რომლებიც მოსწავლის ბუკებში ფაილების გადიდებას იწვევს და მეხსიერება ბოლომდე ივსება.

ნატო ინგოროყვა: ათას ინსტრუმენტს ვიყენებთ, რათა მოსწავლეს სწავლის მოტივაცია ავუმაღლოთ. მთავარია, ბავშვი ცოდნის დაგროვებისთვის განვაწყოთ. სანამ სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებდეთ, აღვნიშნავ, რომ მასწავლებელს მუდმივად სჭირდება ცოდნის განახლება, მეტი ინფორმაცია და ინსტრუმენტები, რათა სწავლების პროცესში

ბუკი უფრო ეფექტურად გამოიყენოს.

სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ პირველი შედეგებით კმაყოფილები ხართ, რომ ბუკი ბავშვსაც ეხმარება და მასწავლებელსაც. მიხარია, რომ ამ პროცესში სამინისტროს მხრიდან ჩადებული შრომა, ენერგია და რესურსი თქვენს მოლოდინს ამართლებს.

ეკა ჯელაძე: როცა ვსაუბრობდით, ყველა მასწავლებელი იხსენებდა ბუკში ჩადებულ რესურსს – თამაშებს, ინტერნეტ-რესურსს და სხვ. ტრენინგის დაგეგმვისას ჩვენ აქცენტს ვაკეთებდით არა მხოლოდ შექმნილი კურსის გამოყენებაზე, არამედ იმაზე, რომ მასწავლებლები თვითონ ყოფილიყვნენ რესურსების შემქმნელები, ვთქვათ, ისეთი მარტივი ინსტრუმენტებით, როგორიცაა „ვორდი“, „პოინტი“... შემდეგ ეტაპებზე ვისურვებდი, რომ მასწავლებლები უფრო შემქმნელები ყოფილიყვნენ, ვიდრე რესურსების გამომყენებლები. სამომავლოდ მასწავლებლებთან სწორედ ამ თემაზე ვიმუშავებთ.

მასწავლებლებმა უკვე ნახეს, რა პრობლემების წინაშე დგანან, რაში სჭირდებათ დახმარება. ამიტომ გადავწყვიტეთ, ტრენერმა მასწავლებელთან უშუალოდ საკლასო ოთახში იმუშაოს. ეს არ იქნება მონიტორინგი. ეს იქნება მასწავლებლის მხარდამჭერი მექანიზმი. ტრენერი მასთან ერთად დაგეგმავს სასწავლო პროცესს; როგორც დამხმარე მასწავლებელი მასთან ერთად ჩაატარებს გაკვეთილს და შეაფასებს ამ პროცესს. ასე თვალნათლივ დავინახავთ, როგორ იზრდება ბუკების გამოყენების ეფექტურობა სასწავლო პროცესში. მასწავლებლების საჭიროებებიდან გამომდინარე, დაიგეგმება ხანმოკლე სემინარებიც.

გვინდა, გავაკეთოთ კონკურსი მასწავლებლებისთვის თემაზე – რამდენად კრეატიულად იყენებენ ისინი სასწავლო პროცესში ბუკებს. ყველაზე შემოქმედებითი მასწავლებელი ფულადი პრემიით დაჯილდოვდება. კრეატიულ მასწავლებლებს სხვადასხვა საინტერესო პროექტში ჩავრთავთ. საუკეთესო მასწავლებელსა და ტრენერს კი საერთაშორისო კონფერენციაზე გავუშვებთ – ამის გამოცდილება უკვე გვაქვს. გვინდა, ერთი მხრივ, მოტივაცია გავუზარდოთ მასწავლებლებს და მეორე მხრივ, განსაკუთრებულად დაინტერესებულ მასწავლებლებს მივცეთ შესაძლებლობა, ნახონ, როგორ იყენებენ ბუკებს განვითარებულ ქვეყნებში.

ნატო ინგოროყვა: სიამოვნებით მოვისმენთ მასწავლებლებისგან ახალ შემოთავაზებებს. მასწავლებლის სახლი იმიტომაც არსებობს, რომ ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ – ეს ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება. ხშირად გაგვიზიარეთ თქვენი აზრი და გამოცდილება.

ლიტერატურული კანონი საგანმანათლებლო პოლიტიკის ჭრილში

ქეთო ნინიძე

ნაციონალური ლიტერატურა მსოფლიოს არაერთი ქვეყნის საგანმანათლებლო პრაქტიკაში დედაენის სწავლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სხვადასხვა გამოცდილებაში პრიორიტეტულია ენის საკომუნიკაციო ფუნქცია ან მისი როლი კოლექტიური იდენტობის ფორმირების პროცესში. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის შესავალში აღნიშნულია, რომ „...სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება". ქართულის საგნობრივი კონცეფციიდან ვლინდება, რომ ნაციონალური ლიტერატურის პოლიტიკა და სწავლების ძირითადი სტრატეგიები, უმთავრესად, მიმართულია პიროვნების პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებისკენ. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ლიტერატურის და მწერლის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში შორდება საზოგადოების დამოძღვრის ფუნქციას და „ერის სულიერი წინამძღოლის" მისიას. მეორე მხრივ კი, ეს ფაქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც რეაქცია უახლოეს საბჭოთა წარსულზე, რეჟიმის დომინანტ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებზე, რადგან ლიტერატურის დიდაქტიკური ბუნების შესახებ მსჯელობა იგივდება აღნიშნული სისტემის ბუნდოვან, სტერეოტიპულ ჰუმანიტარულ მიდგომებთან და მის მესვეურთა მენტორულ რიტორიკასთან. სინამდვილეში, რაც უფრო ვუპირისპირდებით კონკრეტულ სისტემას, მით უფრო მეტად ვხდებით მისი ნაწილი, რადგან თავისუფალი მიდგომის შესაძლებლობას ვკარგავთ. ამ შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში ნაციონალური ლიტერატურის კურიკულუმებში მოიაზრება ლიტერატურის საშუალებით როგორც ზოგადსაკაცობრიო იდეალების, ასევე დემოკრატიული ღირებულებების განვითარება. საგნობრივ კონცეფციასა და სახელმძღვანელოებში აირეკლება ის სამოქალაქო ფასეულობები (ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, რასობრივი თანასწორობა, შემწყნარებლობა, კანონის უზენაესობა და სხვ.), რომლებიც თანამედროვე საზოგადოების განვითარებისთვის და მისი თითოეული წევრის მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფასეულობებისა, ლიტერატურის სწავლების სტრატეგიები უნდა იყოს დაკავშირებული სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკასთან – უნდა წარმოაჩენდეს ნაციონალურ ლიტერატურას არა ფრაგმენტულად, არამედ საფუძვლიანად, როგორც დამოუკიდებელსა და თვითმყოფადს და ამასთანავე, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს. შესაბამისად, საგნობრივი კონცეფცია უნდა სთავაზობდეს პედაგოგებს, ასწავლონ ქართული ლიტერატურა სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში. დღესდღეობით სახელმწიფო სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებს, ამ თვალსაზრისით, სრულ თავისუფლებას ანიჭებს. მათ ნებაზეა დამოკიდებული, დაიცავენ თუ არა ქრონოლოგიურ პრინციპს, რაც, არცთუ უსაფუძვლოდ, არაერთხელ გამხდარა ემოციური განსჯისა და ვნებათაღელვის საგანი.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასკოლო და საუნივერსიტეტო კურიკულუმები ეყრდნობა ლიტერატურულ კანონს, რაც ახლო დგას კულტურული კაპიტალის გაგებასთან და ნაკლებად უკავშირდება ლიტერატურული „კლასიკის" ცნებას. ეს იმ სავალდებულო თუ სასურველი ავტორების ნაწარმოებთა ნუსხაა, რომლებიც სკოლებში ისწავლება, ან დამხმარე ლიტერატურის სახით მოსწავლეებს თავისუფალ დროს საკითხავად

ეძლევათ. კანōნē (საზომი) – ბერძნული სიტყვაა და V საუკუნიდან აღნიშნავს სანიმუშოს[1]. XVIII საუკუნიდან ლიტერატურულ კანონად მიიჩნევა იმ ტექსტების ერთობლიობა, რომლებსაც საზოგადოება ღირებულ ნაწარმოებებად მიიჩნევს. ლიტერატურის კანონიზაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ლიტერატურათმცოდნეები, სასკოლო თუ საუნივერსიტეტო საზოგადოებები და მედიის წარმომადგენლები. სასკოლო პრაქტიკაში კანონის შემუშავება სხვადასხვა მექანიზმის მუშაობაზეა დამოკიდებული. პროფესიულ საზოგადოებებში, ან მოქალაქეებს შორის ტარდება სპეციალური გამოკითხვები და შემუშავდება ერთი ან რამდენიმე ლიტერატურული კანონი. დემოკრატიული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელია რამდენიმე პარალელური კანონის თანაარსებობა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამგვარ კანონებს ადგენენ განსხვავებული საზოგადოებები და უნივერსიტეტები (ჰარვარდის კლასიკა, იელის სტუდიები და სხვ). კანონიკური ნაწარმოების გარშემო, როგორც წესი, არსებობს კრიტიკული ლიტერატურა, ესეები, სამეცნიერო ნაშრომები და სხვ. ლიტერატურული ნაწარმოების კანონიზაციის პროცესი უნდა ემყარებოდეს არა ლიტერატურათმცოდნის გემოვნებას, ან რეჟიმის პოლიტიკურ კონიუნქტურას, არამედ ტექსტის მხატვრულ და კონცეპტუალურ მახასიათებლებს.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მათ გარკვეულ ნაწილში ლიტერატურის კურიკულუმში განსაზღვრულია სავალდებულო ავტორებისა და ნაწარმოებების ნუსხები. მაგალითად, საბერძნეთის სასკოლო პრაქტიკაში სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალს ადგენს პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესურა. ნაციონალური ლიტერატურული კანონის სიაში პრიორიტეტულად მოიაზრება და დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურას. განსაზღვრულია ისიც, რომ ამ ნუსხაში 10% უნდა ეთმობოდეს მსოფლიო ლიტერატურულ კანონს. იტალიაში ამ დოკუმენტის შემუშავების პროცესში თავად სკოლის მასწავლებლები იღებენ მონაწილეობას. ლატვიური გამოცდილება საგანმანათლებლო სისტემის ბენეფიციარებს სთავაზობს არა სავალდებულო, არამედ რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალს. ამ მხრივ საინტერესოა უნგრეთისა და ბავარიის კურიკულუმები, სადაც სახელმძღვანელოს ავტორებს თავისუფლება ენიჭებათ მწერლებისა და მათი ნაწარმოებების არჩევის თვალსაზრისით, თუმცა მათ უნდა დაიცვან ჩარჩო, რომლის მიხედვით განსაზღვრულია, თუ რამდენი ნაწარმოები უნდა შეირჩეს სხვადასხვა ლიტერატურული პერიოდების (უნგრეთი) ან ჟანრების (ბავარია) შესასწავლად.

ლიტერატურული კანონის არსებობას ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები, განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, როდესაც მასში არ აისახება, ერთი მხრივ, უმცირესობების ინტერესები, მეორე მხრივ კი – სკოლის მოსწავლეების ასაკობრივი ინტერესები. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც

„ ლიტერატურული კანონი ორ უმთავრეს საყრდენს ეფუძნება – პოლიტიკურსა და პედაგოგიკურს. როგორც აღვნიშნეთ, გარდა იმისა, რომ მოქნილ, დინამიკურ კანონში უნდა წარმოჩინდეს კულტურაში ჩართული უმცირესობების თანამონაწილეობა, ის, ასევე, მორგებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესებსა და ასაკობრივ მზაობაზე. “

კი 1980-90-იან წლებში გააკრიტიკეს ტრადიციული კანონი, როგორც კონსერვატორული წარმონაქმნი, რომელიც მეტ რეპრეზენტაციულობას საჭიროებდა. პოსტ-კოლონიალისტები და ფემინისტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათი აზრით, ლიტერატურული კანონი, უმთავრესად, თეთრკანიანი მამრობითი სქესის ბურჟუების ლიტერატურულ პროდუქციას წარმოადგენდა. თუმცა როდესაც ვსაუბრობთ ლიტერატურული კანონის დადებით მხარეებზე, უპირველეს ყოვლისა, მოვიაზრებთ, რომ მას იდენტობის ფორმირების, კულტურის გაგებისა და ღირებულებათა განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

ლიტერატურული კანონი ორ უმთავრეს საყრდენს ეფუძნება – პოლიტიკურსა და პედაგოგიკურს. როგორც აღვნიშნეთ, გარდა იმისა, რომ მოქნილ, დინამიკურ კანონში უნდა წარმოჩინდეს კულტურაში ჩართული უმცირესობების თანამონაწილეობა, ის, ასევე, მორგებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესებსა და ასაკობრივ მზაობას. ტექსტები არ უნდა კარგავდეს აქტუალობას და არ უნდა აღიქმებოდეს უსიცოცხლო ძეგლებად. ეს ხელმისაწვდომობა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ნაწარმოებებში ასახული პრობლემები პიროვნულ გამოცდილებასთან დააკავშირონ. ამ მხრივ

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კურიკულუმში გარკვეული ადგილი ეთმობოდეს თანამედროვე ავტორების ლიტერატურულ ნაწარმოებებს – იმ ტექსტების გაგებას, რომლებიც თემატურად და პრობლემურად ახლო დგას მოსწავლეთა თანადროულ სოციო-კულტურულ გარემოსთან.

ქართული ლიტერატურული კანონი, ტრადიციულად, იაკობ ხუცესის შუშანიკის წამებით იწყებოდა და სრულდებოდა მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძისა და მათი თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედებით, უმთავრესად, ნაციონალური ნარატივებით. ლიტერატურული კანონი პირველად გადაიხედა XX საუკუნის ბოლოს, ეროვნული მოძრაობის გააქტიურების პერიოდში (სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს რამდენიმე ნაწარმოები: „კოლხეთის ცისკარი“, „გვადი ბიგვა“ და სხვ.), მეორედ კი – 2000-იანი წლების დასაწყისში, განათლების რეფორმის გატარების დროს.

2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცდა სავალდებულო ნაწარმოებთა ჩამონათვალი, რომელიც უნდა შეადგენდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტების 60%-ს. ამ დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა პროფესიული საზოგადოება – განათლების სფეროს ექსპერტები, ლიტერატურათმცოდნეები, მასწავლებლები. საკითხების საფუძვლიანი განსჯისა და ლიტერატურული ტექსტების ემპირიული მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ახალი პროგრამა მნიშვნელოვნად ეყრდნობა ძველ ლიტერატურულ კანონს, თუმცა საყურადღებოა, რომ მას დაემატა ტექსტები მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურიდან (ჯემალ ქარჩხაძის, ნუგზარ შატაიძის, რევაზ ჭეიშვილის, გურამ დოჩანაშვილისა და სხვათა შემოქმედება). ამ პრეცენდენტმა საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ სამომავლოდ სავალდებულო ლიტერატურის სია კიდევ უფრო „გაახალგაზრდავდეს“.

ქართულის საგნობრივ პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო ლიტერატურის ნუსხის მხოლოდ ერთი ვარიანტი. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს ჩამონათვალი უნდა შეადგენდეს სახელმძღვანელოს ტექსტების მხოლოდ 60%-ს, შესაბამისად, დარჩენილი 40% ავტორების შეხედულებებისა და ლიტერატურული გემოვნების მიხედვით შეივსება. პროფესიულმა საზოგადოებამ სავალდებულო ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტები ისე შეარჩია, რომ არ დარღვეულიყო ისტორიული, სტილისტური, ჟანრობრივი ბალანსი. პროცესში ჩართული ექსპერტები თითოეულ ნაწარმოებს სწორედ ამ პრინციპით არგებდნენ სავალდებულო პროგრამას. ამავეს ვერ ვიტყვით საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურულ კანონზე, რაც, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა რეჟიმის კულტურულ და საგანმანათლებლო კონიუნქტურას. როგორც ნიკო ბერძენიშვილისა და კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებიდან ირკვევა, საქართველოს ისტორიის ახლებურ წაკითხვას საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ სტალინი პირადად ეცნობოდა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს და შესწორებები შეჰქონდა მასში.

1934 წელს მწერალთა საკავშირო ყრილობაზე მალაქია ტოროშელიძის სიტყვაში პირველად გაიჟღერა იმ გზავნილებმა ქართული ნაციონალური ლიტერატურის ღირებულების შესახებ, რომლებმაც ცხადად წარმოაჩინა საბჭოთა კულტურული პოლიტიკის ახალი მიმართულება. საქართველოს ეკისრებოდა მისია, შეექმნა მითი საბჭოთა კავშირის ისტორიის სიძველის შესახებ. ამ პერიოდში სტალინის მეთვალყურეობით ქართული ნაციონალიზმის იდეა ფუნდამენტურად გადამუშავდა.

ქართულ ლიტერატურაში ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური და მოდური გახდა ისტორიული რომანის, სატრფიალო და პატრიოტული ლირიკის ჟანრები. პირველი მათგანი ფეხს უწყობდა რეჟიმის იმ მოწოდებას, წაეხალისებინა ისტორიის ახლებური წაკითხვა და მხატვრული გამონაგონის სინამდვილისგან დაშორება. ავტორის თავისუფალი და ხშირ შემთხვევაში, უპასუხისმგებლო მიდგომა რეალური პერსონებისა და ფაქტების მიმართ ისტორიის ფალსიფიკაციას განაპირობებდა[2]. ლირიკის ზემოაღნიშნული ჟანრები კი ერთგვარი სახელმძღვანელო იყო საბჭოთა მოქალაქეებისთვის კონფორმიზმსა და პათეტიკაში. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, საბჭოთა ლიტერატურული კონიუნქტურა ნაციონალურ და სენტიმენტალურ ნარატივებს შორის მერყეობდა. ეს კი დაკავშირებული იყო ე.წ. „ქართული სუფრისა“ და ლიტერატურული საღამოების საბჭოურ ტრადიციასთან, სადაც პოეზია სადღეგრძელოებისა და დეკლამაციის სახალხო პრაქტიკებისათვის იყო განწირული.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურული კანონი მწერლების, როგორც გარკვეული მითოსური გმირების კანონი უფრო იყო, ვიდრე ტექსტების. დღესდღეობით ცხადი ხდება, რომ ის სტერეოტიპები, რის საშუალებითაც

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეები ახლიდან „კითხულობდნენ“ ქართულ ლიტერატურას, საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. კანონიკური მწერლები რომელიმე ერთი ნიშნით იყვნენ კანონიზებულნი, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი – დედაენის ავტორი, ილია ჭავჭავაძე –



ერის მამა, აკაკი წერეთელი – სახალხო მგოსანი, ვაჟა-ფშაველა – თვითნაბადი სტიქიური ნიჭი და მისთ. ამ სტერეოტიპების მიღმა კი იჩქმალებოდა მწერლების შემოქმედებითი ბიოგრაფიები – იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის განმანათლებლური, ლიბერალური და დემოკრატიული ნააზრევი, ვაჟა-ფშაველას განათლება, მისი ფილოსოფიური

> ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში სახელმძღვანელოების ავტორებმა და მასწავლებლებმა უნდა შემოვიტანოთ მეტი სიცხადე და აქამდე ტაბუდადებული თემების გარშემო წარვმართოთ კვლევები და დისკუსიები.

გატაცებები და მთარგმნელობითი გამოცდილება. სასკოლო სახელმძღვანელოებში ცისფერყანწელებიც წარმოდგენილნი იყვნენ ნაციონალური ნარატივებით. შეგნებულად იყო დავიწყებული მათი მოდერნისტული ტექსტი. ცხადია, არ იწერებოდა სამეცნიერო ნაშრომები, სადაც აისახებოდა აღნიშნულ მწერალთა თემატური, მოტივური და პრობლემური სიახლოვე მსოფლიო ლიტერატურასთან, რაც საშუალებას მისცემდა მასწავლებელს, ქართული მწერლობა გაეაზრებინა მსოფლიოს ლიტერატურული მემკვიდრეობის კონტექსტში.

მნიშვნელოვანია, რომ დღეს ეს ბარიერები დაიძლიოს. ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში სახელმძღვანელოების ავტორებმა და მასწავლებლებმა უნდა შემოვიტანოთ მეტი სიცხადე და აქამდე ტაბუდადებული თემების გარშემო წარვმართოთ კვლევები და დისკუსიები. ქართველი მწერლების, განსაკუთრებით კი, წმინდანად შერაცხილი მწერლების ლიტერატურული ნაწარმოებები უნდა მივიღოთ არა როგორც საკრალური ტექსტი (გარდა აგიოგრაფიული მწერლობისა, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიკული დანიშნულება აქვს), არამედ როგორც გარკვეული სოციო-კულტურული გარემოს თუ პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილი.

პოსტ-მოდერნული პერიოდის მოზარდებისთვის ღიმილისმომგვრელია ის პათეტიკა, რაც ჯერ კიდევ თან ახლავს ლიტერატურის შესახებ მსჯელობას ქართულ სასკოლო პრაქტიკაში. ინფორმაციულ ეპოქაში ქართულის კურიკულუმმაც ფეხი უნდა აუწყოს აქტუალურ ტენდენციებს. მწერლების დემითოლოგიზება, ტექსტების ანალიზისას კონკრეტული მეთოდური ინსტრუმენტების გამოყენება და მთლიანად პროცესის სეკულარიზაცია ხელს შეუწყობს ამ პოლიტიზებული და უცნაური ჰუმანიტარული პრაქტიკების მემკვიდრეობისგან თავის დაღწევას.

ნაციონალური ლიტერატურის ახლებურად წაკითხვა თანამედროვე სკოლაში ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური ლიტერატურის იდეის გარშემო მუდმივ მსჯელობას, დროის სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ გამოწვევებზე პასუხის გაცემას. და ბოლოს, ლიტერატურის სწავლება მოზარდებში მარადიული ზნეობრივი და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას უნდა ისახავდეს მიზნად.

შენიშვნები:

1 ლიტერატურული კანონის შესახებ ვრცლად იხ. ილიას უნივერსიტეტის პროფესორის, ლევან ცაგარელის „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“. ონლაინ წყარო: levantsagareli.files.wordpress.com/2008/04/sesavali-91.doc

2 სტალინის კულტის გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე. საბჭოთა წრსულის კვლევის ლაბორატორია. ზაალ ანდრონიკაშვილი. დისკუსიის მასალები განთავსებულია ვებ-წყაროზე: http://www.scribd.com/doc/53064153/სტალინი-და-ქართული-ნაციონალიზმი

საკლასო ოთახის გარემო დაწყებით საფეხურზე

ორი თვის წინ პოლონეთის პატარა სოფლებში საბავშვო ბაღების სანახავად ჩასულმა სკოლებიც დავათვალიერე. იმ სოფლებში, რომლებშიც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა სიმცირის გამო მიზანშეწონილი არ არის საბავშვო ბაღის არსებობა, სკოლამდელი განათლების ცენტრები სკოლის შენობებშია შექმნილი. ამ ცენტრებში უმცროსი ასაკის ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, მიიღონ მინიმალური სკოლამდელი განათლება. სწორედ იქაური სკოლების დათვალიერებისას მომინდა სკოლის გარემოს შესახებ სტატიის დაწერა.

ანა ჯანელიძე

ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს ის, რომ გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდეს. ამ მხრივ არც სკოლაა გამონაკლისი. სასწავლო გარემო და კომფორტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლისადმი მოსწავლის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

სკოლაში სწავლისათვის სათანადო გარემოს შექმნა მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია. მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ ფიზიკური გარემოს ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება აკადემიურ მიღწევებს: სათანადო აღჭურვილობა აუმჯობესებს სკოლის გარემოს ხარისხს; სკოლის გარემოს ხარისხი ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის თანამშრომლების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე; დამოკიდებულებები მოქმედებს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ქცევაზე; ქცევა ზეგავლენას ახდენს აკადემიურ მიღწევაზე; აკადემიური მიღწევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პიროვნების და ზოგადად, საზოგადოების მომავალს. გარემოს ხარისხს, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ელემენტარული პირობები, მათ შორის, შესაბამისი სივრცის არსებობა, ჰაერის ტემპერატურა, ბუნებრივი განათება, სისუფთავე და სანიტარია. თუმცა აქ ამ პირობებზე არ გავამხვილებ ყურადღებას. ეს ყველაფერი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია იმისათვის, რომ ბავშვები ხალისით სწავლობდნენ საკლასო ოთახში.

სკოლაში სწავლას 5-6 წლის ბავშვები სხვადასხვა გამოცდილებითა და უნარ-ჩვევებით იწყებენ. თითოეული ბავშვის შესაძლებლობები განსაკუთრებულია. პირველ რიგში, ისინი განსხვავდებიან ასაკობრივად, ხოლო ამ ასაკში 3-4 თვიანი სხვაობაც კი შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი იყოს. ზოგიერთს აქვს გარკვეული გამოცდილება საგანმანათლებლო სივრცეში, მაგალითად, საბავშვო ბაღში სიარულისა, სხვებს კი ეს არა აქვთ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევები ამტკიცებს, რომ საბავშვო ბაღში სიარული მჭიდროდ უკავშირდება სასკოლო მზაობას. პირველკლასელები, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიოდნენ, უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ ეგუებიან მოსწავლის ახალ როლს. გარდა ამისა, სკოლაში ბავშვები განსხვავებული ოჯახური გარემოდან მოდიან და თითოეულ მათგანს განსხვავებული ინტერესები, მიდრეკილებები და უნარ-ჩვევები აქვს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი აცნობიერებდეს ამ განსხვავებებს და თითოეული ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომას იყენებდეს. საკლასო ოთახის სათანადოდ მოწყობა კი მასწავლებელს სწორედ ამ კუთხით დაეხმარება.

დაწყებითი კლასები, განსაკუთრებით პირველი 2-3 წელი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს

სწავლისადმი ბავშვის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. რაც უფრო სახალისოა გარემო, მით უფრო ხალისიანი ხდება სწავლა. საქართველოში დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები ხშირად არ განსხვავდება საბაზო ან საშუალო საფეხურის საკლასო ოთახებისგან. ბევრი სკოლის საკლასო ოთახებში ადვილი შესამჩნევია ერთფეროვანი კედლები, უმცროსი ასაკის ბავშვისთვის საინტერესო და საყვარელი ნივთების სიმცირე. ამ მხრივ, რეაბილიტირებული ან ახალი სკოლებიც არ არის გამონაკლისი. მაწავლებლის, სკოლისა და მშობელთა

> მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი აცნობიერებდეს ამ განსხვავებებს და თითოეული ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომას იყენებდეს. საკლასო ოთახის სათანადოდ მოწყობა კი მასწავლებელს სწორედ ამ კუთხით დაეხმარება.

თანამშრომლობით შესაძლებელია საკლასო ოთახში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც დაეხმარება ბავშვებს იმაში, რომ ადვილად შეეგუონ სასკოლო გარემოს, ჩამოუყალიბდეთ სწავლისადმი პოზიტიური მიდგომა, დაძლიონ სწავლის სირთულეები და მეტი ხალისით ისწავლონ.

საკლასო ოთახის სივრცის მოწყობა სრულიად განსხვავდება იმისგან, რაც უმრავლეს შემთხვევაში გვინახავს. პირველ რიგში, თვალში ხასხასა, მხიარული ფერები გვხვდება. საკლასო ოთახში მრავლად არის ფერადი კარადები, თაროები, მოსწავლეთა პირადი უჯრები, მცენარეები, მოსასვენებელი ადგილი და ა.შ. შესაძლოა დავსვათ კითხვა: რაში სჭირდება ეს ყველაფერი ბავშვს, რომელიც ისეთ ფორმალურ გარემოშია, როგორიც სკოლაა, სკოლის ძირითადი ფუნქცია კი ბავშვის სწავლებაა? სასწავლო გარემო, რომელიც პერიოდული დასვენებისა და თამაშის საშუალებას იძლევა, სწავლას, როგორც ძირითად მიზანს, კი არ აკნინებს, არამედ განამტკიცებს. ასეთ შემთხვევაში, სწავლა მოსაწყენი და დამღლელი მოვალეობა არ არის, ის პასუხობს ბავშვის ცნობისმოყვარეობას, ბუნებრივ მოთხოვნილებას – შეიცნოს სამყარო.

სასურველია, დაწყებით კლასებში მოსწავლეს ჰქონდეს პირადი სივრცე – პატარა კარადა, უჯრა, სადაც შეძლებს ისეთი ნივთების შენახვას, რომელთა ყოველდღიურად სახლში ტარება აუცილებლობას არ წარმოადგენს (მაგ., ფუნჯები, საღებავები, კალმები, ნამუშევრები და ა.შ.). ამასთან სასურველია, სწავლის დაწყებისთანავე საკუთარი თაროსთვის (უჯრისთვის) თითოეულმა მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით დაამზადოს „იარლიყი“, რომელზეც მითითებული იქნება მოსწავლის სახელი. როდესაც ბავშვები ცოდნის ამგვარ „გამოყენებით“ შემთხვევებს აწყდებიან, უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წერა-კითხვას, ვიდრე მხოლოდ სწავლისთვის გამიზნული აქტივობების დროს. საკუთარი სივრცის არსებობის შემთხვევაში, ბავშვი ეჩვევა წესრიგს, ის იღებს პასუხისმგებლობას გარკვეულ „ტერიტორიაზე“ და უვლის მას. მიეცით უფლება ბავშვებს, სკოლაში მოიტანონ

საყვარელი წიგნი, სამაგიდო თამაში, შეინახონ ისინი სათანადო ადგილას და გამოიყენონ მხოლოდ თავისუფალ დროს. შესაძლოა, მათ თავდაპირველად გაუჭირდეთ ამ წესის დაცვა. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა უზრუნველყოს ის, რომ ბავშვები წესს იცავდნენ, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ისინი ბუნებრივად დაიცავენ მას. მოსწავლეებს შეუძლიათ მოიტანონ საყვარელი ნამუშევრები, რომლებსაც მასწავლებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოფენს. ასეთ შემთხვევებში, ბავშვს უმტკიცდება სკოლისადმი, საკუთარი კლასისადმი კუთვნილების განცდა. ეს კი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სკოლაში სიარული არ იქცეს ტვირთად და უსიამოვნო მოვალეობად. კლასებში, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა 15-20-ს არ აღემატება, სასურველია იყოს სივრცე, სადაც ბავშვებს შეეძლებათ რბილ საფენზე, ხალიჩაზე დაჯდომა ან წამოგორება. ადრეულ სასკოლო ასაკში ბავშვი მერხთან ჯდომისას ადვილად იღლება. ამიტომ, სასურველია ისეთი პირობების შექმნა, რომ მან შეძლოს სხვადასხვა პოზაში დასვენება. გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას, შესაძლებელია მერხების განლაგების შეცვლა, რათა უკეთ და თავისუფლად შეძლონ მოსწავლეებმა დავალების შესრულება.



საკლასო სივრცის მოწყობის დროს მნიშვნელოვანია მშობლებთან თანამშრომლობა. შეიტყვეთ მათგან ბავშვების ინტერესები, ჩართეთ ისინი კლასის გარემოს გაუმჯობესების პროცესში, მაგალითად, სთხოვეთ, დაგეხმარონ კარადების შეღებვაში და ა.შ. ასეთ დროს მშობელსაც უჩნდება სკოლისადმი კუთვნილების განცდა, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ მან აქტიური, პოზიტიური როლი შეასრულოს სკოლის ცხოვრებაში.

როგორ შეიძლება შევქმნათ ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შემეცნებასა და წიგნიერებას? როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის, რომელთა სასკოლო მზაობა, წიგნიერებამდელი უნარჩვევები სხვადასხვა მიზეზის გამო ჩამოუვარდება სხვებისას. თუკი გარემო და სწავლების მეთოდები პირველი კლასიდანვე მოსწავლის შესაძლებლობებზე იქნება მორგებული, უმრავლეს შემთხვევაში, ის შეძლებს არახელსაყრელი საწყისი პირობების ზეგავლენის გადალახვას. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია მარტივი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დეტალების შეტანა საკლასო ოთახში.

- დაამზადეთ მისაწებებელი ბარათები (იარლიყები) იმ საგნებისა და ავეჯისთვის, რომლებსაც ხშირად იყენებენ ბავშვები. ასეთ ბარათებზე სიტყვებთან ერთად სასურველია, იყოს მიმანიშნებელი სურათებიც, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ ნაწერის აღნიშნულთან დაკავშირება.
- საკლასო ოთახში განათავსეთ მსხვილი ასოებით გამოყვანილი სახალისო ანბანი, კალენდრები, ნიშნები, მიმართულების აღმნიშვნელი ნიშნები, რომელთა ვერბალიზებას ბავშვები ყოველდღიურად ახდენენ. შესაძლოა ისეთი ნივთების განთავსებაც, რომელთა დანიშნულება პირდაპირ არ უკავშირდება სასწავლო მიზნებს, თუმცა ხელს უწყობს ბავშვის წიგნიერებას, მაგალითად: სატელეფონო ცნობარი, კულინარიული წიგნი და ა.შ.
- მოსწავლეთა ინტერესების და მიცემული დავალებების შესაბამისად, მიაწოდეთ მათ საჭირო რესურსები, რათა დამოუკიდებლად ან თქვენი დახმარებით შეძლონ ინფორმაციის მოძიება. ასეთი რესურსებია: წიგნები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, კომპიუტერი და ა.შ. კლასში ბავშვებს

> სწავლისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მიზნობრივად, სასწავლო თემიდან გამომდინარე, შეარჩიოს საკლასო ოთახში განსათავსებელი მასალები.

შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, გაეცნონ როგორც მხატვრულ, ისე სხვა წიგნებს.

სწავლისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მიზნობრივად, სასწავლო თემიდან გამომდინარე, შეარჩიოს საკლასო ოთახში განსათავსებელი მასალები. წერა-კითხვის შესწავლის პროცესში სასურველია, ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა და შესაბამისი რესურსები იმისათვის, რომ ახალი უნარების დაუფლებისას გამოიყენონ სხვადასხვა, მათთვის მეტად სახალისო მასალა: მაგალითად, წერის დროს – კალამი, ფლომასტერი, ფანქარი, პასტელი, კითხვის დროს – ტაქტილური წიგნები, წარწერებიანი კუბურები და ა.შ.

მკვლევრების აზრით, კარგად მოწყობილი საკლასო ოთახის სივრცე გულისხმობს შემდეგ ელემენტებს:

საკლასო ოთახში გამოყოფილია სივრცეები, რომლებსაც თავისი დანიშნულება აქვთ და მოსწავლეებმა იციან, როგორ მოიქცნენ თითოეულ მათგანში. მაგალითად, მოსწავლეთა პირადი სივრცე (ადგილი მერხთან), სივრცე ჯგუფური აქტივობებისთვის, დასასვენებელი ადგილი, მასალების შესანახი სივრცე, საგამოფენო სივრცე და ა.შ.

აკადემიური სწავლების პროცესში და შესაბამისი დავალებების შესრულებისას მოსწავლეთა მერხები რიგობრივად უნდა იყოს განლაგებული, ხოლო ჯგუფებში მუშაობის დროს მერხების ღია წყობაა უმჯობესი, რაც ხელს უწყობს სოციალურ ინტერაქციას.

გაკვეთილის განმავლობაში თითოეული მოსწავლე უნდა ხედავდეს მასწავლებელს და პირიქით, მასწავლებელი – თითოეულ მოსწავლეს.

სასურველია მოსწავლეთა მერხების ისე განლაგება, რომ არ გადაიტვირთოს საერთო სივრცე. აგრეთვე, ასეთ სივრცესთან (მაგ., ნაგვის ყუთთან) ახლოს სასურველია, არ ისხდნენ ის მოსწავლეები, რომლებსაც ადვილად ეფანტებათ ყურადღება.

სასურველია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეების მასწავლებლის მაგიდასთან ახლოს განთავსება. ეს არა მხოლოდ მათი პრობლემების ხშირი მონიტორინგის საშუალებას იძლევა, არამედ – ყოველი წარმატების შემთხვევაში, შექებისა და წახალისების შესაძლებლობასაც.

საკლასო ოთახის სივრცე მოწესრიგებული და კარგად ორგანიზებული უნდა იყოს.

სკოლაში სწავლისათვის აუცილებელი ისეთი პირობები, როგორიცაა კომფორტული მერხი, სკამი, სითბო, სისუფთავე და ა.შ. არ ნიშნავს იმას, რომ თითოეული მოსწავლისთვის სწავლაც ადვილი და „კომფორტული“ იქნება. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ადვილად განხორციელებადი დეტალების საშუალებით, მასწავლებლებს შეუძლიათ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც სწავლისადმი ყველაზე უარყოფითად განწყობილ მოსწავლეებსაც კი სწავლის ხალისი გაუჩნდებათ.

კომუნიკაცია სასწავლო პროცესში

ნინო გორდეზიანი

კომუნიკაცია მასწავლებელს სასწავლო პროცესის უკეთესად წარმართვაში ეხმარება. სტატიაში შევეცდები, გაგაცნოთ საკლასო ოთახში კომუნიკაციის კომპონენტების ეფექტურად გამოყენების საშუალებები, ინფორმაციის გადაცემის მნიშვნელობა და მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების გზები.

მოგეხსენებათ, **კომუნიკაცია** არის ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესი, რომლის მიზანია ინფორმაციის გადაცემა. ინფორმაცია, რომელიც კომუნიკაციის პროცესში გადაიცემა, შეიძლება იყოს **ვერბალური** (სიტყვიერი) და **არავერბალური** (უსიტყვო). ამის მიხედვით, კომუნიკაცია იყოფა **ვერბალურ,** ანუ სიტყვიერ და **არავერბალურ,** ანუ უსიტყვო კომუნიკაციად.

ვერბალური კომუნიკაციისას გაგზავნილ ინფორმაციაში სამ მნიშვნელოვან კომპონენტს გამოყოფენ:

სიტყვიერი, ანუ შინაარსობრივი

ვერბალური კომუნიკაციით გადაცემული სიტყვიერი გზავნილი, ანუ გადაცემული შინაარსი უნდა იყოს:

- ნათელი, კონკრეტული და არაორაზროვანი;
- ეთიკური;
- გრამატიკულად კარგად ორგანიზებული; არ უნდა შეიცავდეს დიალექტიზმებსა და სლენგს;
- თავისუფალი უცხო სიტყვებისგან (რომლის მნიშვნელობა ზოგჯერ მასწავლებელსაც კარგად არ ესმის).

ვოკალური, ანუ ხმის ტონი და ტემბრი

ვერბალური კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რას ვამბობთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვამბობთ. სწორედ ხმა აცოცხლებს სიტყვებს და მას სხვადასხვა ეფექტს ანიჭებს. ვერბალური კომუნიკაციისას ვოკალური კომპონენტის სწორად შერჩევისთვის, მიზანშეწონილია, მასწავლებელმა შემდეგი რჩევები გაითვალისწინოს:

- მასწავლებლის ხმა უნდა იყოს იმდენად ძლიერი, რომ ის ყველა მოსწავლეს ესმოდეს;
- მასწავლებელმა არ უნდა ილაპარაკოს ძალიან სწრაფად;
- მასწავლებლის ტონი უნდა იყოს მტკიცე და დამარწმუნებელი;
- მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს მაღალი ტონალობით საუბარს;
- მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს მონოტონურ საუბარს და მრავალფეროვნება უნდა შეიტანოს ხმაში.

მეტავერბალური (ქვეტექსტი), ანუ რა დაფარული შინაარსი დევს ნათქვამში

მეტავერბალური კომპონენტი მოიცავს ვერბალური კომუნიკაციის იმ ნაწილს, რომელიც ცხადად არ არის ასახული არც სიტყვებში და არც ხმაში. არსებითად, ეს ის ინფორმაციაა, რომელიც მოსაუბრის მიერ არის ნაგუ-

„ წარმატებულ კომუნიკაციას მნიშვნელოვანი ძალისხმევა და ისეთი უნარები სჭირდება, როგორიცაა ტაქტი, მოსაუბრის პატივისცემა, თავაზიანობა, კეთილგანწყობა, ენთუზიაზმი და მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის გაგება. “

ლისხმევი. მეტავერბალურ ინფორმაციას ხშირად „წინადადებებს შორის“ მოცემულ ინფორმაციას უწოდებენ, ვინაიდან ის მსმენელისაგან მოითხოვს იმის გაგებას, რაც ცხადად არ არის მოწოდებული. მეტავერბალური კომპონენტის გამოყენებისთვის საჭიროა, რომ მოსაუბრესაც და მსმენელსაც ერთნაირად ესმოდეთ, რა იგულისხმება ცხადად მოწოდებული შინაარსის მიღმა. ხშირად კომუნიკაცია მახინჯდება სწორედ იმიტომ, რომ მსმენელს არასწორად ესმის, თუ რა იგულისხმება კონკრეტული შინაარსის მიღმა, ან მოსაუბრე ვერ აცნობიერებს, რომ მის მიერ მიწოდებული შინაარსი შეიძლება არასასურველ, არასწორ მეტავერბალურ ინფორმაციასაც შეიცავდეს.

ინფორმაციის გადაცემა სიტყვების გარეშეც შეიძლება და ამას **არავერბალური კომუნიკაცია** ეწოდება. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის 80% არავერბალური გზით გადაეცემა, ამიტომ გასაგებია, თუ რატომ ანიჭებენ განათლების სპეციალისტები არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს ასეთ დიდ მნიშვნელობას.



კომუნიკაციის ვერბალურ ნაწილთან ერთად, მასწავლებელი მნიშვნელოვან ინფორმაციას გასცემს გამომეტყველებით, პოზით, ჟესტიკულაციითა და გარეგნობით. ასევე, მდიდარი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ მასწავლებლის მოძრაობის, მის მიერ სივრცისა და დროის გამოყენების გაანალიზებით.

საკლასო ოთახში მასწავლებელს ხშირად უწევს სახის გამომეტყველების სწრაფად შეცვლა. თუმცა ზოგჯერ მასწავლებელი განსაზღვრულ გამომეტყველებას განგებ ინარჩუნებს, რათა მოსწავლეებს თავისი ემოციები დაანახოს. მაგალითად, მასწავლებლები მოსწავლეების ცუდი საქციელის გასაკონტროლებლად ხშირად იყენებენ უკმაყოფილო და გაბრაზებული ადამიანის გამომეტყველებას. ისინი ღიმილით კმაყოფილებას გამოხატავენ და მოსწავლეების გამხნევებას ცდილობენ. ზოგადად, მასწავლებლები მოსწავლეებთან კომუნიკაციისას სახის გამომეტყველებას კარგად აკონტროლებენ.

მასწავლებელმა იცის თვალის კონტაქტის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ბევრი მასწავლებელი თვალის კონტაქტს საკლასო ოთახში ურთიერთდამოკიდებულებების გასაკონტროლებლად იყენებს. მაგალითად, როდესაც მასწავლებელს უნდა, რომ მოსწავლემ ილაპარაკოს, ის მასთან პირდაპირ თვალის კონტაქტს იყენებს და პირიქით, როდესაც მზერა მისგან სხვაზე გადააქვს, ნიშნავს, რომ სურს, ახლა სხვამ ისაუბროს. ალბათ ყველას კარგად გვახსოვს, როგორ ვარიდებდით თავს მასწავლებლის მზერას, როდესაც მის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ შეგვეძლო. ხშირად მასწავლებლები პირდაპირ თვალის კონტაქტს მოსწავლეების ემოციებისა და საქციელის ამოსაცნობად იყენებენ – მასწავლებელს ნაკლებად თუ გამოეპარება ის, თუ როდის ტყუის მოსწავლე, როდის არ შეასრულა მან დავალება ხარისხიანად და სხვისგან გადაიწერა. როგორც წესი, ასეთ დროს მოსწავლეები თვალის კონტაქტს თავს არიდებენ. თუმცა ამის განზოგადება და ყველა შემთხვევაზე გავრცელება გამართლებული არ არის, რადგან კლასში შეიძლება მორცხვი ბავშვი იყოს, რომელსაც მასწავლებელთან პირდაპირი თვალის კონტაქტის დამყარება ერიდება.

სხეულის ენა და **ჟესტიკულაცია** ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ჟესტიკულაციამ – თავის, ხელებისა და სხეულის სხვა ნაწილების მოძრაობამ ადამიანის შესახებ მდიდარი ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდოს.

კომუნიკაციისას დიდი ყურადღება ექცევა **ხელების მოძრაობას**. მასწავლებლებისთვის ხშირად დამახასიათებელია მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით დგომა, ან უკან დაწყობილი ხელებით სიარული. პირველი ინტერპრეტირებულია, როგორც რეაქცია საფრთხეზე, ხოლო მეორე ძალაუფლების გამოხატულებად არის მიჩნეული. ჯდომისას გადაჯვარედინებული, ზემოთ აწეული ხელები შფოთვაზე, უარყოფით დამოკიდებულებასა და დაძაბულობაზე მიუთითებს.

მასწავლებლის მიერ **საკლასო ოთახის სივრცის გამოყენება** მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე – საკლასო ოთახში მასწავლებლის მოძრაობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ან პირიქით, ხელი შეუშალოს კომუნიკაციის პროცესს. მაგალითად, იმ მოსწავლისკენ მოძრაობა, რომელიც ლაპარაკობს, შეიძლება აღიქმებოდეს მის მიმართ ინტერესის გამოხატულებად და პირიქით, მისი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა – მის მიმართ ინტერესის ნაკლებობად. კლასში მასწავლებლის მოძრაობამ შეიძლება ხელი შეუწყოს მოსწავლეების ყურადღების მიპყრობას. როდესაც მასწავლებელი ძირითადად „თავისი ადგილიდან" – მასწავლებლის მაგიდის მიმდებარე ტერიტორიიდან არ გადის, ეს შეიძლება გაგებული იყოს, როგორც მოსწავლეებისგან დისტანციის დაცვის სურვილი.

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ **შეხებით** ადამიანი მნიშვნელოვან ინფორმაციას გასცემს. კომუნიკაციის პროცესში შეხებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გრძნობები. საკლასო გარემოში შეხება მასწავლებლების მიერ ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით უმცროს კლასებში. მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს, მოსწავლესთან მიმართებაში შეხების რომელი ფორმა გამოიყენოს.

საკლასო ოთახში მასწავლებლის მიერ **დროის განაწილება** მისი შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და ინტერესების შესახებ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის. როდესაც განსაზღვრულ საკითხს ძალიან მცირე დროს უთმობთ, ან საერთოდ ტოვებთ მას და არ განიხილავთ, ეს მოსწავლეებს იმაზე მიანიშნებს, რომ თქვენ ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ. მოსწავლეებმა შეიძლება ასეთი დამოკიდებულება არაცნობიერად გაითავისონ. **სიჩუმისა** და **პაუზის** სახით დროის მანიპულაცია ხშირად გამოიყენება მასწავლებლების მიერ. ის შეიძლება გამოყენებული იყოს საკითხის მნიშვნელობის ხაზგასასმელად. ზოგიერთი მასწავლებელი მცირე პაუზას იყენებს მანამ, სანამ მნიშვნელოვან მოსაზრებას ან დასკვნას გამოთქვამს. შესაბამისად, მასწავლებლის მიერ გამოყენებულმა პაუზამ შეიძლება მოსწავლეებს მიანიშნოს, რომ მან რაღაც მნიშვნელოვანი უნდა თქვას. ასევე, ხშირად სიჩუმეს მასწავლებლები განსაზღვრული ემოციის სადემონსტრაციოდ იყენებენ (გაბრაზება, აღშფოთება, ინტერესის ნაკლებობა და სხვ). დროის სწორი განაწილება მეტად მნიშვნელოვანია კითხვების დასმისას – ზოგჯერ მასწავლებელი სწორად ვერ საზღვრავს იმ დროს, რაც მოსწავლეებს მის მიერ დასმულ კითხვაზე საპასუხოდ სჭირდებათ; ამიტომ, თუ მის მიერ დასმულ კითხვას პასუხი დაუყოვნებლივ არ მოჰყვა, ის თავად პასუხობს საკუთარ კითხვებს. აუცილებელია, მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს საპასუხოდ საჭირო დრო, რათა ხელი შეუწყოს საკლასო ინტერაქციის გაზრდას. მეტად ინფორმაციულია მასწავლებლის **გარეგნობა და ჩაცმულობა**. ის, თუ როგორ გამოიყურება მასწავლებელი, ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეების მიერ მის აღქმაზე.

გამოცდილი პედაგოგები ყოველთვის მიუთითებენ **მშობლებსა და ოჯახებთან**

ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. თუმცა ეს თავისთავად არ ხდება – წარმატებულ კომუნიკაციას მნიშვნელოვანი ძალისხმევა და ისეთი უნარები სჭირდება, როგორიცაა ტაქტი, მოსაუბრის პატივისცემა, თავაზიანობა, კეთილგანწყობა, ენთუზიაზმი და მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის გაგება. ზოგიერთ მშობელთან ურთიერთობამ თქვენს პროფესიონალიზმსა და მოთმინებასაც კი შეიძლება სერიოზული გამოცდა მოუწყოს. მშობლები მასწავლებლებთან საყვედურებით ხშირად მოდიან. ისინი უკმაყოფილონი არიან შვილების ნიშნებით, ცუდი საქციელით, მავნე ჩვევებით და სხვ.

ეცადეთ, მშობელი უსიამოვნო საუბრით არ გაიცნოთ – მეტად მნიშვნელოვანია, რომ თქვენი პირველი კონტაქტი უსიამოვნო არ იყოს. სჯობს, მშობელი ნეგატიურ სიტუაციას აარიდოთ, მაგრამ ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც ამას თავიდან ვერ აიცილებთ. ასეთი შემთხვევისთვის სათანადოდ უნდა მოემზადოთ. მშობელთან შეხვედრის ეფექტურად წარმართვაში შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ:

მშობელს თბილად შეხვდით

– გაუღიმეთ და ხელი ჩამოართვით; საუბარი მისი შვილის შესახებ პოზიტიური ინფორმაციით დაიწყეთ.

> „საკლასო გარემოში შეხება მასწავლებლების მიერ ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით უმცროს კლასებში. მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს, მოსწავლესთან მიმართებაში შეხების რომელი ფორმა გამოიყენოს."

აგრძნობინეთ ასერტიულობა[1] – მშობელთან საუბრისას ნუ დაჯდებით თქვენს მაგიდასთან. სკამი მასთან ახლოს დაიდგით და აგრძნობინეთ, რომ თავს კომფორტულად და თვითდაჯერებულად გრძნობთ. თუ მშობელი დგომას ამჯობინებს, თქვენც ფეხზე იდექით.

მოუსმინეთ ყურადღებით – მშობელს სიბრაზისა და იმედგაცრუების გამოხატვის საშუალება მიეცით. ნუ შეაწყვეტინებთ, ნუ შეეკამათებით, უბრალოდ, მოუსმინეთ; გამოიყენეთ არავერბალური კომუნიკაცია ემპათიისა და გაგების საჩვენებლად. სანამ უპასუხებთ და თქვენს პოზიციას გამოთქვამთ, დარწმუნდით, რომ პრობლემა მშობლის პოზიციიდან გაიაზრეთ.

შეინარჩუნეთ სიმშვიდე და წონასწორობა – არასდროს უღალატოთ თქვენს პროფესიულ წესიერებას. გაბრაზებული მშობლის სიტყვების საპასუხოდ მშვიდი და გაწონასწორებული რეაქცია სიტუაციის განმუხტვას შეუწყობს ხელს.

აწონ-დაწონეთ სიტყვები – თქვენს კომენტარებში მშობლებმა სარკაზმი და მათი უნარების კრიტიკა არ უნდა იგრძნონ. ეცადეთ, საუბარმა თემას არ გადაუხვიოს და ის შეხვედრის საგანსა და მოსწავლის საჭიროებებზე იყოს კონცენტრირებული. მშობელს უკან დახევის საშულება მიეცით ისე, რომ მან ამის გამო თავი „დამარცხებულად“ არ იგრძნოს.

ერთად იფიქრეთ სიტუაციის გადაწყვეტაზე – წაახალისეთ მშობლის ჩართულობა საკითხის მოგვარებაში – ჰკითხეთ მას რჩევა, გამოთქვით თქვენი მოსაზრებები, რომლებიც მოსწავლის ძლიერ მხარეებზე იქნება ფოკუსირებული.

გააკეთეთ ჩანაწერები – წერილობით დააფიქსირეთ შეხვედრის მონაწილეების პოზიცია და ვალდებულებები – რაზე შეთანხმდით, ვის რა როლი დაეკისრა სიტუაციის გაუმჯობესებაში. შეთანხმება და თანამშრომლობისადმი მზაობა ხელმოწერით დაადასტურეთ.

არავის მისცეთ თქვენი დაჩაგვრისა და შეურაცხყოფის უფლება – ყოველთვის პატივი ეცით მშობელს და მისგან საპასუხო პატივისცემა მოითხოვეთ. თუ მშობელი ეცდება თქვენს სიტყვიერ შეურაცხყოფას ან დაშინებას, უთხარით, რომ არავის აძლევთ ასეთი საუბრის უფლებას და სიამოვნებით გააგრძელებთ საუბარს მხოლოდ მას მერე, რაც მშობელი დამშვიდდება.

მშობელთან შეხვედრის შემდეგ მიზანშეწონილია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

თუ შეხვედრამ წარმატებით არ ჩაიარა, მიმართეთ შესაბამის ზომებს – შექმნილი ვითარების შესახებ საქმის კურსში სკოლის ადმინისტრაცია ჩააყენეთ.

დაიცავით კონფიდენციალურობა – მშობელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თქვენი ნდობა შეიძლება. მშობელთან შეხვედრა განიხილეთ მხოლოდ იმ კოლეგებთან, რომლებიც მოცემული სიტუაციის შესახებ საქმის კურსში არიან – აუხსენით მშობელს, რატომ შეიძლება დაგჭირდეთ ამ თემის სხვა კოლეგებთან განხილვა.

შეხვედრისას მიღებული გადაწყვეტილებები ბოლომდე შეასრულეთ – დაუყოვნებლივ დაიწყეთ მშობელთან შეხვედრისას მიღებული შეთანხმების განხორციელება. თუ შეხვედრისას საკითხი არ ამოიწურა, გააგრძელეთ მასზე მუშაობა. მოსწავლის მიმართ გულწრფელი ინტერესი და მისი დახმარებისთვის მზადყოფნა გამოხატეთ.

მშობელთან კონტაქტი არ გაწყვიტოთ – შეინარჩუნეთ მშობელთან კონტაქტი და სისტემატურად აცნობეთ მას შვილის წარმატებები და მიღწევები. სერიოზული პრობლემების შემთხვევაში, მშობელთან ყოველკვირეული კონტაქტი იქონიეთ.

[1] ასერტიულობა – უნარი გამოხატო და დაიცვა საკუთარი გრძნობები და უფლებები ისე, რომ არ დაარღვიო სხვების უფლებები.

დისკუსია - თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი

სოფიკო ლობჟანიძე

„ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიური მოძრაობის შედეგს საფრთხე დაემუქრება, თუ გაკვეთილის ჩატარების ოსტატობას მეტი ყურადღება არ დაეთმობა თუ ნაკლები ყურადღება დაეთმობა, ან საერთოდ ყურადღების მიღმა დარჩება გაკვეთილი თავისი მეთოდური პრინციპებით“, – წერდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში რეფორმპედაგოგიკის წარმომადგენლები (ვილჰელმ ფლიტნერი, თეოდორ ლიტი).

დღეს საკამათო არ არის ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. კვლევებმა ცხადყო, რომ მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა პედაგოგიურ პრაქტიკაში, ძირითადად, ისევ ერთ, მის მიერ უკვე აპრობირებულ მეთოდს, ეყრდნობა.

რა საჭიროა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება და მათი ხშირად მონაცვლეობა? – ფიქრობენ ისინი. პასუხი მარტივია:

- სწავლა იოლდება, როცა გაკვეთილზე კონცენტრაციისა და განტვირთვის ფაზები ერთმანეთს ენაცვლება. განსხვავებული მეთოდების გამოყენება კი ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს;
- ადამიანებს სწავლის სხვადასხვა სტილი აქვთ, ამიტომ ძალიან ძნელია, მასწავლებელმა ერთი მეთოდით ყველა მოსწავლემდე მიიტანოს ასახსნელი მასალა. მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით კი ეს შესაძლებელია;
- ერთფეროვნება და მონოტონურობა არის მოსაწყენი და იწვევს მოსწავლეთა დემოტივირებას. მეთოდების ცვალებადობას კი ყოველთვის ახალი იმპულსები შემოაქვს;
- მხოლოდ მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდები უწყობს ხელს მოსწავლეთა მჭიდრო ურთიერთობის სტიმულირებას და პასუხისმგებლობის გადანაწილებას მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის.
- ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, თუ როგორ ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას და სწავლის სტიმულს სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების ეფექტურად გამოყენება.

დიდაქტიკის ფუძემდებლის – კომენიუსის (1592-1670) ეპოქიდან მოყოლებული, სწავლების უამრავი მეთოდი შემუშავდა და განვითარდა. ეს დაუსრულებელი პროცესია და დღესაც გრძელდება. არ არის აუცილებელი, მასწავლებელი ყველა მათგანს იცნობდეს და, მითუმეტეს, ყველას იყენებდეს პედაგოგიურ პრაქტიკაში. თუმცა მას უნდა შესწევდეს უნარი, კონკრეტული სიტუაციისთვის შეარჩიოს სწავლების სათანადო მეთოდები, რომლებიც მოსწავლეების მიერ მასალის ოპტიმალურ ათვისებას უზრუნველყოფს.

მრავალფეროვანი მეთოდების მონაცვლეობით გამოყენება სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურს და სახალისოს ხდის როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთათვის.

როგორ უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა სწავლების მეთოდები?

სწავლების მეთოდების გამოყენების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად შეირჩევა ისინი.

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგები – რა უნდა

„სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგები – რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ ამ თემის გავლის შემდეგ. სწავლის შედეგებით განისაზღვრება როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმატიც.“

> მასწავლებელს უნდა შესწევდეს უნარი, კონკრეტული სიტუაციისთვის შეარჩიოს სწავლების სათანადო მეთოდები, რომლებიც მოსწავლეების მიერ მასალის ოპტიმალურ ათვისებას უზრუნველყოფს.

იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ ამ თემის გავლის შემდეგ. სწავლის შედეგებით განისაზღვრება როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმატიც.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლემ არა მარტო იმ კონკრეტული თემის ირგვლივ უნდა მიიღოს ცოდნა, არამედ მას უნდა გამოუმუშავდეს ზოგადი/ტრანსფერული უნარებიც (მაგ. კომუნიკაციის, პრეზენტაციის, თანამშრომლობისა და ა.შ.).

მაშასადამე, მეთოდების შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ:

- ჩვენ მიერ ამორჩეული მეთოდი დაგვეხმარება თუ არა დასახული შედეგის მიღებაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;
- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები, არის თუ არა საკმარისი დრო, მოსწავლეთა არსებული რაოდენობით შესაძლებელია თუ არა მეთოდის ეფექტურად განხორციელება).

სწავლების მეთოდებს, ძირითადად, ორ ნაწილად ყოფენ. მეთოდები, რომლებიც ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებას უწყობს ხელს (მაგ., თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარები) და მეთოდები, რომლებიც კონკრეტული მასალის ათვისებაში ეხმარება მოსწავლეებს. თუმცა ეს დაყოფა

პირობითია, რადგან მათი უმრავლესობა ორივე მიზნის მისაღწევად გამოიყენება.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები

თანამშრომლობითი სწავლება მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისკენ, რომელიც მოითხოვს მონაწილეთა სინქრონულ და ასინქრონულ, კოორდინირებულ და კონსტრუქციულ აქტივობას პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტისა და საერთო მიზნის მისაღწევად.

თანამშრომლობითი სწავლების მრავალი მეთოდია ცნობილი. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ თანამშრომლობითი სწავლების ერთ მეთოდს – დისკუსიას.

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და აპრობირებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათში თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას. დისკუსიის მეშვეობით შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების ურთიერთგაცვლა ჭეშმარიტების დასადგენად და კონსესუსის მისაღწევად.

გაკვეთილზე დისკუსია შეიძლება წარიმართოს: მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, მთელი კლასის მონაწილეობით ან ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს შორის.

დისკუსიის მიზანია:

დაეხმაროს მოსწავლეებს

- საკუთარი აზრის აქტიურად გამოხატვაში;
- კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- სხვათა აზრების გათვალისწინებასა და კონსესუსის უნარის გამომუშავებაში;
- სხვათა მოსაზრებებისა და შეხედულებების საფუძველზე ცოდნის გაღრმავებაში;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებაში.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის ეფექტურად წარმართვისთვის?

- **სადისკუსიო საკითხისა და მიზნის განსაზღვრა:**
  მასწავლებელმა ისეთი თემა უნდა შეარჩიოს სადისკუსიოდ, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს; დისკუსია უნდა იყოს კარგად ორგანიზებული – მისთვის წინასწარ ემზადება როგორც მასწავლებელი, ასევე კლასი. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას სადისკუსიო საკითხის ირგვლივ და

უსახელებს მათ ინფორმაციის წყაროებს, რომლებიც თავად უნდა მოიპოვონ და დაამუშავონ მოსწავლეებმა. დისკუსია შესაძლებელია სპონტანურად მოჰყვეს მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ამა თუ იმ აზრს თუ შეხედულებას. მასწავლებელმა ნათლად უნდა განმარტოს დისკუსიის მიზანი და გააცნოს მოსწავლეებს.

- **წესებისა და პროცედურების დაცვა:** მასწავლებელი განსაზღვრავს დისკუსიის ფორმატს – რა დრო დაეთმობა დისკუსიას, დისკუსიაში მონაწილე თითოეულ მოსწავლეს, სავარაუდოდ, რამდენი წუთი მიეცემა საკუთარი პოზიციის გამოსახატავად. მასწავლებელი უზრუნველყოფს სივრცის ორგანიზებას ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთთან თვალით კონტაქტი. ასეთი განლაგება ამცირებს კომუნიკაციის ბარიერებს მოსწავლეებს შორის; ასევე ერთ სიბრტყეზე წრიულად ყოფნა მათ უქმნის თანაბარი მონაწილეობის განცდას და სურვილს. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად განსაზღვრავენ დისკუსიის წესებს.
- **მაწავლებლის მიერ მოდერაციის (დისკუსიის წამყვანის) უნარ-ჩვევების ფლობა:** მასწავლებელი არ ერევა დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში, მაგრამ მუდმივად აკონტროლებს, რომ მოსწავლეებმა მოუსმინონ ერთმანეთს, არ გადაუხვიონ სადისკუსიო თემას და დაიცვან რეგლამენტი. აძლევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას; იგი ფლობს და იყენებს ეფექტური კომუნიკაციის (როგორც ვერბალურის, ასევე არავერბალურის) სტრატეგიებს; აქტიური მოსმენის პრინციპებისა და კითხვის დასმის ტექნიკებს. დისკუსია უნდა დაიწყოს მოდერატორმა ე.წ. მთავარი კითხვით, რომელიც განსაზღვრავს დისკუსიის არსს, წარმოადგენს სადისკუსიო საკითხს. თუ საჭირო გახდა, მოდერატორმა შეიძლება დასვას დამაზუსტებელი კითხვები. დისკუსიაში ყველა მოსწავლის აქტიურად ჩასაბმელად შესაძლებელია მასწავლებელმა გამოიყენოს შებრუნებული შეკითხვა – მოსწავლის მიერ მასწავლებლისადმი დასმული კითხვა გადაამისამართოს სხვა მოსწავლეებთან.
- **დისკუსიის შეჯამება:** მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა ჩამოთვალოს ძირითადი საკითხები, შეაფასოს პროცესის წარმატებულობა, თუ რა გაკეთდა კარგად და რა საჭიროებს გამოსწორებას. ისევე, როგორც ყველა მეთოდს, დისკუსიასაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. დისკუსია მოსწავლეებს აჩვევს დამოუკიდებელ მუშაობას. ისინი თავად ეძებენ და პოულობენ საჭირო მასალას. დისკუსიის პროცესი უვითარებს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარებს. დისკუსიის დროს განხილული საკითხები დიდხანს რჩება მოსწავლეთა მეხსიერებაში. დისკუსიის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ მონაწილეთა რაოდენობრივი შეზღუდვა: თუ კლასი მრავალრიცხოვანია, მასწავლებელს შეზღუდულ დროში გაუჭირდება ყველა მოსწავლის დისკუსიაში ჩართვა და ყველა სადავო საკითხის ბოლომდე განხილვა. დისკუსიას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა. მაგალითად, **დებატი** წარმოადგენს დისკუსიის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც არის დისპუტი განსხვავებული პოზიციის მქონე ორ მხარეს შორის. დებატების მონაწილეებს არგუმენტები მოჰყავთ განსახილველი საკითხის ან მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ. თუ დისკუსიის საბოლოო მიზანს კონსესუსის მიღწევა წარმოადგენს, დებატების მონაწილეების მიზანია, ბოლომდე დაიცვან საკუთარი პოზიცია და მსმენელი დაარწმუნონ საკუთარ არგუმენტებში. კარგი დებატი გამოირჩევა არა მარტო დამაჯერებელი არგუმენტებით, არამედ საუბრის სტილით, მოსაუბრის რიტორიკული უნარით. დისკუსიისაგან განსხვავებით, დებატებს მოსდევს დამკვირვებლების მხრიდან (რომლებიც შეირჩევა მოსწავლეთა წრიდან) შეფასება ისეთი კრიტერიუმებით, როგორიც არის: შინაარსის სიმარტივე, დამაჯერებლობა, არგუმენტირებულობა, რიტორიკული უნარები და ა.შ. მაშასადამე, ისევე როგორც დისკუსია, დებატიც შეიძლება მივიჩნიოთ სახალისო და სასარგებლო მეთოდად. ისინი ააქტიურებენ თვით ყველაზე პასიურ მოსწავლეებსაც კი, ხალისით რთავენ მათ მუშაობაში და ხელს უწყობენ როგორც კონკრეტული ცოდნის დაუფლებას, ასევე ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებას.

წინამდებარე წერილში შევეხეთ თანამშრომლობითი სწავლების ისეთ ცნობილ მეთოდს, როგორც არის დისკუსია. შევეცადეთ, მოგვეცა პრაქტიკული რეკომენდაციები, როგორ უნდა მომზადდეს და წარიმართოს იგი.

ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში საშუალება გვექნება, თანდათან მოგაწოდოთ პრაქტიკული რეკომენდაციები თქვენთვის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი თანამშრომლობითი სწავლების მეთოდების შესახებ.



ზაქარია გიუნაშვილი

გეომეტრიისა და ალგებრის ინტეგრაცია სასკოლო მათემატიკის კურსში

შესავალი

მათემატიკის სხვადასხვა მიმართულების ინტეგრაცია და მათ შორის კავშირების წარმოჩენა სასკოლო მათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამგვარი ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსწავლის მიერ მათემატიკის, როგორც ერთიანი სისტემის გააზრებას, სხვადასხვა მიმართულების საკითხების უკეთ გაგებას და ავითარებს მის შემოქმედებით უნარ-ჩვევებს.

ამოცანები, რომლებშიც ამ საგნის სხვადასხვა მიმართულებაა ინტეგრირებული, ეხმარება მოსწავლეს იმის გააზრებაში, რომ მათემატიკა ცოდნის დასრულებული სისტემა კი არ არის, არამედ ცოცხალი და განვითარებადი პროცესია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მეცნიერების სხვა დარგებს. ეს ამოცანები ასევე ეხმარება მას იმის გააზრებაში, რომ შეცდომები, ყოყმანი, ინტუიციური არგუმენტები, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები და პრობლემისადმი ალტერნატიული მიდგომები არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ მათემატიკის განუყოფელი ნაწილია.

მოძრაობასთან დაკავშირებული ამოცანები

რეალური კონტექსტის მქონე ამოცანები, რომლებშიც რეალური ვითარების შესაბამისი მათემატიკური მოდელის შექმნას ითხოვენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოგნიტური ფუნქციების განვითარებაში. ამ სახის ამოცანებში, როგორც წესი, ინტეგრირებულია მათემატიკის სხვადასხვა მიმართულება.

ამ სახის ინტეგრირების ერთ-ერთ მაგალითად შესაძლოა განვიხილოთ მოძრაობასთან დაკავშირებული ამოცანები, რომელთა ამოხსნის დროს შეიძლება გამოვიყენოთ მოძრაობის მოდელის გეომეტრიული წარმოდგენა. ასეთი წარმოდგენა ეფუძნება სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს. ამ დროს გავლილი მანძილი წარმოადგენს დამოკიდებულების გრაფიკით და დროის ღერძით შემოსაზღვრული ფიგურის ფართობს. გავლილი მანძილის დაკავშირება ბრტყელი ფიგურის ფართობთან ევკლიდური გეომეტრიის ცნებებისა და დებულებების გამოყენების საშუალებას იძლევა.

ამგვარი მიდგომა ეფუძნება ფიგურების ფართობების ეკვივალენტობასა და ფართობის ინვარიანტობას გადაადგილების დროს. მარტივი გეომეტრიული გარდაქმნები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სიჩქარის გრაფიკის მიმართ, იძლევა მათემატიკურად ეკვივალენტურ ვითარებებს და შესაბამისად – რეალურ ამოცანებს.

როგორც კვლევები აჩვენებს, მათემატიკური ცნებებისა და პროცედურების უკეთ

» ამოცანები, რომლებშიც ამ საგნის სხვადასხვა მიმართულებაა ინტეგრირებული, ეხმარება მოსწავლეს იმის გააზრებაში, რომ მათემატიკა ცოდნის დასრულებული სისტემა კი არ არის, არამედ ცოცხალი და განვითარებადი პროცესია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მეცნიერების სხვა დარგებს. «

გასააზრებლად საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს მათ ვიზუალიზაციას. თითქმის ყველა ქვეყნის მათემატიკის საგნობრივ პროგრამაში ხაზგასმულია ალგებრული, რაოდენობრივი და გრაფიკული მიდგომების დაკავშირების აუცილებლობა.

მოძრაობასთან დაკავშირებულ ამოცანებში, თავდაპირველად, მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ, გამოიკვლიონ, თუ რა კავშირია სიჩქარის გრაფიკით შემოსაზღვრული ფიგურის ფართობსა და გავლილ მანძილს შორის. მას შემდეგ, რაც გავლილი მანძილი გაიაზრება, როგორც ბრტყელი ფიგურის ფართობი, მოსწავლე დამოუკიდებლად მოახერხებს ამ სახის ალგებრული ამოცანების გეომეტრიზაციას და მათ ამოხსნას ევკლიდური გეომეტრიის ცნებებისა და პროცედურების დახმარებით.

მაგალითი: მოძრაობასთან დაკავშირებული ამოცანა

განვიხილოთ მოძრაობასთან დაკავშირებული ამოცანა და მისი ამოხსნა სხვადასხვა ხერხით (განტოლებით, ფუნქციის გამოყენებით და გეომეტრიულად).

ველოსიპედისტი გაემგზავრა A ქალაქიდან B ქალაქში. მისი საშუალო სიჩქარე იყო 24 კმ/სთ. B ქალაქში მისვლის შემდეგ იგი გაჩერების გარეშე დაბრუნდა უკან A ქალაქისაკენ. ამ დროს მისი საშუალო სიჩქარე იყო 18 კმ/სთ. მთლიან გზას მან მოანდომა 7 საათი. რა დრო მოანდომა ველოსიპედისტმა თითოეული მიმართულებით მოძრაობას?

ამოხსნა: ტრადიციული მიდგომა

მოძრაობის სქემა:



მოძრაობის ცხრილი:

	დრო	სიჩქარე	მანძილი
A-დან B-ში	t	24 კმ/სთ	24t
B-დან A-ში	7-t	18 კმ/სთ	18(7-t)

ამ ცხრილის საფუძველზე შეგვიძლია შევადგინოთ განტოლება: 24t=18(7-t), რომლის ამოხსნა მოგვცემს პასუხს t=3.

ფუნქციების გამოყენებით

S – მანძილი A ქალაქიდან; t – დრო. მოძრაობა აღიწერება ასეთი გრაფიკით:



ამ სქემის საფუძველზე შეგვიძლია, შევადგინოთ წინა შემთხვევაში მიღებული განტოლების ეკვივალენტური განტოლება: 24t=-18(t-7), რომლის ალგებრული ამოხსნაც გვაძლევს t_1=3

გეომეტრიული ამოხსნა

ახლა განვიხილოთ ამავე ამოცანის ამოხსნა, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ევკლიდური გეომეტრიის ცნებებს და პროცედურებს.



თუ მოსწავლეს გააზრებული აქვს ის ფაქტი, რომ გავლილი მანძილი სიჩქარის გრაფიკით შემოსაზღვრული ფიგურის ფართობის ტოლია, ამოცანა დაიყვანება S_1 და S_2 ფართობების ტოლობაზე: S_1=S_2.



ნახაზის მოდიფიკაციის შემდეგ ვიღებთ ასეთ ტოლობას: $S_1+d=S_2+d$. როგორც ნახაზიდან ჩანს, $S_2+d=18\cdot7=126$. მეორე მხრივ, $S_1+d=(24+18)\cdot t_1=42\cdot t_1$. საბოლოოდ, ვიღებთ მარტივ განტოლებას: $42\cdot t_1=126$, $t_1=3$.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ფართობის უცვლელობა პარალელური გადატანისა და სიმეტრიების დროს, ამ ამოცანას შეიძლება მოვაყოლოთ რეალურ ვითარებებთან დაკავშირებული ანალოგიური ამოცანები. უფრო მეტიც, შეიძლება მოსწავლემ ააგოს თავდაპირველი გრაფიკის გეომეტრიული გარდაქმნა და ამ გარდაქმნის შედეგად მიღებული გრაფიკის მიხედვით დამოუკიდებლად შეადგინოს ამოცანა. მაგალითად:



მეორე ნახაზის მიხედვით, მოსწავლეებმა შეიძლება შეადგინონ მოძრაობასთან დაკავშირებული ასეთი ამოცანა:

ორმა ველოსიპედისტმა ერთდროულად დაიწყო მოძრაობა ქალაქიდან ქალაქისაკენ. პირველი მოძრაობდა 24კმ/სთ საშუალო სიჩქარით, ხოლო მეორე – 18კმ/სთ საშუალო სიჩქარით. მათ ერთი და იგივე მანძილი გაიარეს. თუ მათ მიერ დახარჯული დროების ჯამი 7 საათის ტოლია, რა დროის განმავლობაში მოძრაობდა თითოეული ველოსიპედისტი?

გეომეტრიული გარდაქმნები

გეომეტრიული გარდაქმნები, რომლებიც უკვე ვახსენეთ, გეომეტრიისა და ალგებრის ინტეგრირების კიდევ ერთი ეფექტური საშუალებაა. გეომეტრიული გარდაქმნები უზრუნველყოფს მოსწავლისათვის კარგად ნაცნობი არითმეტიკული მოქმედებების გავრცობა-გადატანას მისთვის უჩვეულო ობიექტებზე. კერძოდ, თუ ორი გარდაქმნის კომპოზიციას ვუწოდებთ გამრავლებას, ეს მოქმედება განისაზღვრება გარდაქმნების სიმრავლეზე. ეს არის არა არითმეტიკული მოქმედების ხელოვნურად შემოტანა, არამედ თანამედროვე გეომეტრიისათვის კარგად ნაცნობი მიდგომა გეომეტრიული ობიექტებისა და სტრუქტურების შესასწავლად. აღნიშნული მიდგომა მოსწავლეს უვითარებს აბსტრაქციის, სიმბოლიზაციის და ფორმალიზაციის უნარებს, რაც სასკოლო მათემატიკური განათლების უმნიშვნელოვანესი მიზანია.

გამრავლების მოქმედების შემოტანა სასურველია დაიწყოს უმარტივესი შემთხვევების განხილვით. მაგალითად, ღერძული სიმეტრია და ამ სიმეტრიით წარმოქმნილი ჯგუფი – სიმრავლე, რომელიც მიიღება ამ გარდაქმნის თავის თავზე გამრავლებით. ამ საფეხურზე მოსწავლე ამჩნევს მისთვის კარგად ნაცნობი სტრუქტურების და მოქმედებათა თვისებებისაგან განსხვავებული სტრუქტურების და განსხვავებული თვისებების მქონე მოქმედებების არსებობას. შემდეგი საფეხური შეიძლება იყოს $\frac{2\pi}{n}$ სახის კუთხით მობრუნებით წარმოქმნილი ჯგუფი, სადაც n მთელი რიცხვია. მობრუნების სახის ეტაპობრივი ცვლილების შედეგად წამოიჭრება საინტერესო და სასარგებლო ამოცანების მთელი სერია. მაგალითად:

რამდენი განსხვავებული გარდაქმნა მიიღება $2\pi\frac{m}{n}$ კუთხით მობრუნების გარდაქმნის თავის თავთან კომპოზიციებით? მოცემული α კუთხით მობრუნების თავის თავთან რამოდენიმეჯერ კომპოზიციით მიიღება თუ არა იგივური გარდაქმნა?

შემდეგ საფეხურზე შესაძლებელია განვიხილოთ სხვადასხვა სახის გარდაქმნების კომპოზიციები (მაგალითად: ღერძული სიმეტრიის, მობრუნების, პარალელური გადატანის).

გეომეტრიული გარდაქმნების სიმრავლის ალგებრული სტრუქტურის შესწავლა ხელს უწყობს როგორც გეომეტრიის უკეთ გააზრებას, ასევე ალგებრული კომპეტენციების განვითარებას და გარდა ამისა, მოსწავლეს უყალიბებს აბსტრაქციისა და განზოგადების უნარს.

როგორ მოვაწყოთ მარანი

2011 წლის დასაწყისში, ჟურნალ „მასწავლებლის“ №2-ში გამოქვეყნდა ჩემი სტატია – „ღვინის განათლება თანამედროვე საქართველოში“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებულ ღვინის საგანმანათლებლო პრობლემებს ეხებოდა. სტატიაში მიმოხილული იყო ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც მოზარდის ღვინოსთან ურთიერთობას ახლავს თან და ის პერსპექტივები, რომლებიც, საკითხის სწორად აღქმის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაპირობად შეიძლება იქცეს.



მალხაზ ხარბედია

ცხადია, ძალზე სახიფათოა მოზარდის ღვინოსთან დაკავშირება, თუკი ზუსტად არა გვაქვს გაცნობიერებული ის, თუ რისთვის ვაკეთებთ ამას. მხოლოდ ღვინის დაგემოვნება და სუფრის წესების ცოდნა ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ შესძენს მოსწავლეს. სამაგიეროდ, თუკი ყმაწვილი საფუძვლიანად შეისწავლის ღვინის კულტურას, იმრომებს ვენახში, შემდეგ კი – მარანში, იგი შეიძენს ცოდნას, რომელიც შესაძლოა არაერთხელ გამოადგეს. იმედი ვიქონიოთ, რომ „ღვინის აკვნის“ ქვეყანაში მუდამ გულგრილი დამოკიდებულება არ იქნება ღვინის მიმართ და ახლო მომავალში უფრო მეტი ახალგაზრდა გამოჩნდება, რომლებიც საფუძვლიანად დაინტერესდებიან კარგი ქართული ღვინით, გაერკვევიან ჯიშებში და ღვინის დაყენების წესებში.

ჩემი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ არაერთი გამოხმაურება იყო კონკრეტული რჩევების მისაღებად. ძირითადად, ისმოდა კითხვები: როგორ ავაშენოთ (ან უფრო მარტივად, როგორ მოვაწყოთ) მარანი სკოლის ან ქალაქის პირობებში? სად შევიძინოთ ვენახი? თუკი ვენახი არა გვაქვს, ვისგან სჯობს ყურძნის ყიდვა? რომელი ღვინო დავწუროთ? რა მეთოდით სჯობს ღვინის დაყენება? ასეთ კითხვებს ღვინის კლუბშიც ხშირად მოისმენთ. ორ წელიწადზე მეტია, ამ თემებზე გვიწევს მე და ჩემს მეგობრებს საუბარი და ამ მცირე დროის მანძილზე ბევრმა ჩვენგანმა საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დააგროვა საიმისოდ, რომ სხვებსაც გაუზიაროს. მეც ამ მოკრძალებული ცოდნით მინდა, ყველაზე საჭირო რჩევები მივცე დაინტერესებულ ადამიანებს – მათ, ვინც ხარისხიანი ღვინის დაყენებით არიან დაინტერესებულნი.

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კარგი ვენახი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია გამორჩეული ღვინის დაყენება. რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ მარნის მოწყობაზე, საჭირო დანადგარებზე, ჭურჭელზე, პირობებზე და ა.შ., თუკი ვენახიდან საუკეთესო ხარისხის ყურძენი არ მიგვაქვს მარანში, ყველაფერს აზრი დაეკარგება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღვინო მარნიდან კი არ იწყება, არამედ ვენახიდან და სანამ მეღვინეობას შევუდგებოდეთ და პირველ ექსპერიმენტებს ჩავატარებდეთ ამ მიმართულებით, ძალიან მნიშვნელოვანია, კარგი ვენახი შევარჩიოთ.

უმჯობესია, ვენახი საკუთარი გქონდეთ – თქვენს გემოზე მოვლილი, მაგრამ თუკი ამის საშუალება არ არის, არც ყურძნის შეძენა იქნება პრობლემა, მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით ყურძენი რჩება დაუმუშავებელი.

> მხოლოდ ღვინის დაგემოვნება და სუფრის წესების ცოდნა ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ შესძენს მოსწავლეს. სამაგიეროდ, თუკი ყმაწვილი საფუძვლიანად შეისწავლის ღვინის კულტურას, იშრომებს ვენახში, შემდეგ კი – მარანში, იგი შეიძენს ცოდნას, რომელიც შესაძლოა არაერთხელ გამოადგეს.

ამ დროს მთავარია, კარგად ვიცნობდეთ ვენახს, ზუსტად ვიცოდეთ, რა ჯიშის ყურძენია იქ გაშენებული. ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ვენახში რამდენიმე ჯიშია შერეული, მათ შორის მეღვინეობისთვის გამოუსადეგარი ჯიშები. ეს კი, ხშირ შემთხვევაში, აზარალებს ღვინის დამწურავს, რადგანაც არ გამოსდის ისეთი ღვინო, როგორსაც იგი ელოდა. მნიშვნელოვანია, რომ ვენახის პატრონი ჭარბად არ იყენებდეს ჰერბიციდებს და პესტიციდებს. ვენახი არ უნდა იყოს ზედმეტად დატვირთული. დაიმახსოვრეთ: მეტად უხვად მსხმოიარე ვაზიდან არასდროს დადგება საინტერესო და ღრმა ღვინო. სხვათა შორის, ასეთი ღვინო არც შესანახად ვარგა.

ყურძენი კარგად უნდა იყოს დამწიფებული. იგი არ უნდა იყოს დაავადებული, არც დაზიანებული, რადგან მცირე რაოდენობით ზადიან ნედლეულსაც კი შეუძლია დააზარალოს ღვინო, რომლის გადარჩენაც შემდეგ ცალკე თავის ტკივილად იქცევა.

ცხადია, ღვინის დაყენება წარმოუდგენელია მარნის გარეშე. ის შეიძლება ქალაქშიც აშენდეს და ქალაქის ფარგლებს გარეთაც. რა თქმა უნდა, სჯობს, რომელიმე ძველი მარანი აღვადგინოთ ამ მიზნით, მაგ., კახეთში, ქართლში, იმერეთში და ა.შ. დღესდღეობით ხომ ბევრი მიტოვებული მარანია მთელი საქართველოს მასშტაბით. თუმცა ქალაქებშიც შესაძლებელია მარნის კარგად გამართვა – ისეთი მარნის, რომელიც ბოლომდე უპასუხებს ჰიგიენის მოთხოვნებს.

მარანი ისეთ ადგილას უნდა იყოს აშენებული, სადაც შესაბამისი ტემპერატურა იქნება მთელი წლის მანძილზე. ეს ნიშნავს ზამთარში შედარებით თბილ, ზაფხულში კი გრილ გარემოს, ანუ იდეალურ პირობებს ღვინის დასადუღებლად და შემდეგ დასაძველებლად. ამის გამო, მარნებს, ძირითადად, მიწის ქვეშ აკეთებენ ხოლმე, ანდა ნახევრად მიწაში. მარანში არ უნდა ხვდებოდეს დიდი რაოდენობით სინათლე. სრულიად საკმარისია, მას მხოლოდ ერთ მხარეს ჰქონდეს სარკმელი და სასურველია, ეს იყოს ჩრდილოეთის მხარე. გარდა ამისა, მარანში არ უნდა გროვდებოდეს დიდი რაოდენობით ნესტი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მარანი აბსოლუტურად მშრალი უნდა იყოს. სიმშრალე ხშირად ვნებს ღვინოს, განსაკუთრებთ დაძველებისას. თუკი მარნის კედლები სქელია და ნესტი მაინც გროვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მარანში არ არის საკმარისი ვენტილაცია.

მეღვინეობის დასაწყებად ძალიან მნიშვნელოვანია საღვინე ჭურჭელი. ღვინის ჭურჭელი შეიძლება იყოს ქვევრი, მუხის კასრი, უჟანგავი ფოლადის ავზი, მინის ბოცები. არ გირჩევთ პლასტმასის ჭურჭლის ხანგრძლივად გამოყენებას. სიმართლე რომ ითქვას, თითქმის ყველა, ვინც ღვინის დაყენებით სერიოზულად დაინტერესდება ხოლმე, პლასტმასის კასრების გამოყენებას მალევე ანებებს თავს.

ჭურჭლის ტიპზე ბევრადაა დამოკიდებული ის, თუ რა კატეგორიის ღვინოს ვაყენებთ. ზოგს ქვევრში, ტრადიციული ქართული წესით სურს ღვინის დაყენება, სხვები კი მინის ჭურჭელს ან უჟანგავ ფოლადს ანიჭებენ უპირატესობას.

ქვევრის შემთხვევაში, მართალია, გაცილებით მეტი შრომაა საჭირო მოვლის, რეცხვის, შენახვის, ერთი სიტყვით, ჰიგიენის თვალსაზრისით, სამაგიეროდ, დუღილისას და პირველადი დავარგებისას ქვევრს ძნელად თუ შეედრება რომელიმე ჭურჭელი. შეიძლება ითქვას, რომ ქვევრში იდეალურად მიმდინარეობს დუღილის პროცესი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეორადი დუღილის პროცესი – ეს ის პერიოდია, როდესაც ძირითადი დუღილი უკვე დასრულებულია და ე.წ. ვაშლმჟავა რძემჟავად უნდა გადაიქცეს, რაც უმთავრესი წინაპირობაა ხარისხიანი, გაწონასწორებული ღვინის მისაღებად. სწორედ ამ პროცესებს აკონტროლებს საუკეთესოდ ქვევრი. თუკი მიწის ზედაპირზე დადგმულ ჭურჭელს, მინისას თუ უჟანგავი ფოლადისას, ყოველთვის სჭირდება ტემპერატურის

კონტროლი (მეორადი, ანუ მალოლაქტიკური დუღილისას მარანში მუდმივი ტემპერატურა 16-20 გრადუსი უნდა იყოს), ქვევრი თავად ახერხებს ამ ტემპერატურული ბალანსის მოწესრიგებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მარანში რამდენიმე ქვევრია, რომლებშიც პარალელურად დუღს ღვინო.

ცოტა მეტი უნდა ითქვას ტრადიციული ქართული წესით, ქვევრში ღვინის დაყენებაზე. მართალია, ქვევრში ღვინოს საქართველოს ყველა კუთხეში აყენებენ, მაგრამ ამათგან მაინც გამოირჩევა კახური ტექნოლოგია, რაც გულისხმობს კარგად დამწიფებული ყურძნის ჭაჭასთან, წიპწასთან და კლერტთან ერთად ჩაწურვას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყურძენთან ერთად კლერტიც მწიფდეს, რათა უხეში გემო არ შესძინოს ღვინოს. დღესდღეობით, ძირითადად, 2 ან 4 კვირის განმავლობაში ტოვებენ ღვინოს ჭაჭა-კლერტთან, შემდეგ კი მოხსნიან ხოლმე – ოქტომბერშივე, ან ნოემბერში. არადა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღვინო ჭაჭაზე თვეების განმავლობაში დარჩეს. ტრადიციულად, ღვინოს მარტში ხსნიან ხოლმე ჭაჭიდან.

ეს რაც შეეხება თეთრყურძნიან ჯიშებს – რქაწითელს, მწვანე კახურს და სხვა ტრადიციულ ჯიშებს. წითელი ჯიშების, მაგალითად, საფერავის შემთხვევაში, ქვევრში, ჭაჭასთან ერთად, როგორც წესი, მხოლოდ რამდენიმე კვირის განმავლობაში ტოვებენ ხოლმე ღვინოს, ისიც კლერტის გარეშე. თუმცა არსებობს მოსაზრებები, რომლების თანახმადაც, გამართლებულია საფერავის ჭაჭაზე და კლერტზე შედარებით ხანგრძლივი დავარგებაც, რაც მეტ ხასიათს და ინდივიდუალობას სძენს ღვინოს.

გაზაფხულის დადგომასთან და ქვევრის ღვინის გადაღებასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად გვქონდეს გათვლილი ჭურჭლის რაოდენობაც. აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მარანში ჭურჭელი უნდა იყოს 2/3-ით მეტი, ვიდრე ღვინო გვაქვს ჩაწურული, ვინაიდან ღვინის გადაღება-გადავსების დროს აუცილებლად დაგვჭირდება სხვადახვა ზომის ჭურჭელი, რათა კარგად გადანაწილდეს ყველა ტიპის ღვინო – თავი ღვინო, ლექი და სხვ.

ქვევრის ღვინის შემთხვევაში, შესაძლებელია, ჭაჭიდან მოხსნილი ღვინო ახალ ქვევრში გადავიტანოთ და იქ შევინახოთ შემოდგომამდე, მანამ, სანამ ღვინოს ბოცებში ან ბოთლებში ჩამოვასხამდეთ. ბოცებში ღვინის გადატანა გაზაფხულზევეა შესაძლებელი. საბოლოოდ კი, რა თქმა უნდა, სჯობს, ღვინო ბოთლებში დავაბინავოთ, დავხუფოთ კორპით და დაწვენილ მდგომარეობაში შევინახოთ მარნის ყველაზე გრილ ადგილას. ასე ღვინო შესანიშნავად ინახება და საუკეთესო თვისებებს ინარჩუნებს.

ჰიგიენა ზემოთაც ვახსენე და აქაც ვიტყვი, რომ ამ საკითხს განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, მნიშვნელობა არა აქვს, ღვინოს ქვევრში დავაყენებთ თუ სხვა ჭურჭელში. მარანში ყველაფერი იდეალურად სუფთა უნდა იყოს. მარანში არ უნდა ინახებოდეს მძაფრი სუნის მქონე ნივთიერებები. გამორიცხეთ მეღვინეობა გარაჟში – იქ, სადაც საბურავები, ბენზინი, ზეთები და სხვა ქიმიური ნივთიერებებია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჭურჭელი და დამხმარე ხელსაწყოები მუდმივად სუფთად იყოს შენახული. ღვინის ყოველი გადაღების შემდეგ კარგად გარეცხეთ

„ სკოლაში მიღებული ეს ცოდნა, თუნდაც უმცირეს გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეცვლის ახალგაზრდების დამოკიდებულებას თავის ქვეყანასთან, ზოგადად, სამყაროსთან და რაც მთავარია, მათი ცოდნა ბევრისთვის შეიძლება სანიმუშო და მისაბაძიც გახდეს. “

მილი და სხვა ხელსაწყოები, რომლებიც გადაღებისას გამოიყენეთ.

ღვინის გადაღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა და ყოველთვის დროულად უნდა ხდებოდეს. ღვინის ლექზე განსაკუთრებით დიდხანს დატოვება არ არის რეკომენდებული, თუმცა ხშირი გადაღებაც აზიანებს ღვინოს, რადგან ჰაერთან შეხების შედეგად ის იჟანგება, იცვლის ფერს, სურნელს და კარგავს პირვანდელ სიხალასეს.

სეზონის მიხედვით, ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად, იცვლება ღვინის მოცულობაც. ზაფხულში ღვინო ფართოვდება, იგი შესაძლებელია გადმოვიდეს კიდეც ჭურჭლიდან და თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ, ეს გადმოსული ღვინო აძმარდება და სხვა ჯანმრთელ ღვინოსაც გადასდებს დაავადებას. ზამთარში ღვინის მოცულობა მცირდება და ჭურჭელში არსებული ღვინო იკლებს. ასეთ შემთხვევაში, მუდმივად უნდა გადავავსოთ ხოლმე ჭურჭელი, რათა ღვინოს პრკე არ განუვითარდეს და არ გაფუჭდეს.

კიდევ მრავალი საკითხი არსებობს, რომლებიც დამწყებმა მეღვინეებმა უნდა გაითვალისწინონ. ერთ წერილში ამაზე დეტალურად საუბარი თითქმის წარმოუდგენელია, ამიტომ, გთავაზობთ, დარეგისტრირდეთ ღვინის კლუბის ფორუმზე: forum.vinoge.com და იქ დასვათ თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვა; ანდა სულაც მობრძანდეთ ღვინის კლუბის ლექციებზე და იქ ვისაუბროთ ამ და სხვა საკითხებზე.

დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ახალი მცირე მარანი ჩნდება. მათ, ვინც რამდენიმე წლის წინ მხოლოდ თავისთვის აყენებდნენ ღვინოს, ბოლო დროს ის ბაზარზეც გამოიტანეს. ამ სფეროში ბოლო წლების მანძილზე ბევრმა ადამიანმა სცადა ბედი და ზოგიერთმა პირველ წარმატებასაც მიაღწია. ნაწილი დაინტერესებულია ამ თემით და ცოდნას აგროვებს. ამ ცოდნას, პირველ რიგში, სწორედ პრაქტიკული გამოცდილება აყალიბებს და რაც უფრო ადრე მიიღებს ადამიანი ამ გამოცდილებას, მით უკეთესია. სკოლაში მიღებული ეს ცოდნა, თუნდაც უმცირეს გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეცვლის ახალგაზრდების დამოკიდებულებას თავის ქვეყანასთან, ზოგადად, სამყაროსთან და რაც მთავარია, მათი ცოდნა ბევრისთვის შეიძლება სანიმუშო და მისაბაძიც გახდეს.

რჩევები კონფერენციის ორგანიზებისთვის

საგანმანათლებლო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა მასწავლებელს პროფესიულ ზრდაში ეხმარება. მას საშუალება ეძლევა, უფრო მეტი გაიგოს სხვათა გამოცდილებების, მიღწევების, იდეებისა და კვლევების შესახებ. ამ ტიპის ღონისძიებებზე, ძირითადად, სიახლეების შესახებ საუბრობენ ხოლმე. სწორედ ეს აძლევს საშუალებას მასწავლებელს, გაეცნოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროგრამებსა და კვლევებს; ამავდროულად, მას შეუძლია საკუთარი მიგნებები, ინოვაციური იდეები თუ კვლევები გააცნოს კოლეგებს და მოისმინოს მათი მოსაზრებები თუ შეფასებები, რაც განხორციელებული სამუშაოს კარგი ინდიკატორია.

მანანა რატიანი

შესავალი

სანამ განსაზღვრავთ, თუ რა ტიპის სასკოლო ღონისძიებას აწყობთ, საჭიროა ერთმანეთისგან ასხვავებდეთ კონფერენციას, სემინარსა თუ ვორკშოფს. მივყვეთ დეფინიციებს: კონფერენცია არის ორგანიზებული შეხვედრა კონსულტაციის, დისკუსიისა თუ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, როდესაც საკითხი/თემა წინასწარაა შეთანხმებული; მისი ძირითადი ნაწილი მოხსენებების ფორმატში მიმდინარეობს. სემინარი მცირე ჯგუფში (ერთი პროფესიის, ინტერესის, ასაკის, პრობლემის წინაშე მდგარი ხალხის) ნებისმიერი წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა შეიძლება იყოს იდეების გასაზიარებლად. რაც შეეხება სამუშაო შეხვედრას (ვორკშოფს), ის შეიძლება იყოს კონფერენციისა და სემინარის ნაწილი, ან დამოუკიდებელი შეხვედრა, რომელშიც მცირე ჯგუფი მონაწილეობს. ვორკშოფი აუცილებლად გულისხმობს პრობლემის დასმასა და გადაჭრას.

ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ კონფერენციის მომზადებისა და ჩატარების ეტაპებზე, თუმცა ეს რეკომენდაციები შესაძლებელია თავისუფლად გამოიყენოთ სემინარისა თუ ვორკშოფის ორგანიზებისთვისაც. **კონფერენციების ჩატარება სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ ვეცდებით გარკვეული რჩევები მოგცეთ, თუ როგორ უნდა მოაწყოთ კონფერენცია, რა ეტაპებია განსახორციელებელი ამისათვის.**

კონფერენციისთვის მზადება და მისი ჩატარება მრავალსაფეხურიანი პროცესია.

რატომ ვაწყობთ კონფერენციას

სანამ გადავიდოდეთ რეკომენდაციებზე, საჭიროა კონფერენციის მნიშვნელობაზე შევაჩეროთ ყურადღება. კონფერენცია იძლევა შესაძლებლობას:

- შეხვდე ინტერესის მიხედვით ერთი და იმავე საკითხზე/თემაზე მომუშავე მასწავლებლებს/სკოლის ადმინისტრაციას/მოსწავლეებს/მშობლებს და სხვა თემატურ ჯგუფს;
- გაეცნო სხვადასხვა მოსაზრებასა და შეხედულებას და გაიზიარო ისინი;
- გააცნო შენი კვლევა, პროექტი საზოგადოებას და მიიღო გამოხმაურებები;
- ხელი შეუწყო შენი სკოლის პოპულარიზაციას;
- ჩააბა სხვა აქტიური მასწავლებლები თუ მოსწავლეები საორგანიზაციო საკითხებში;
- დაამყარო თემატური და პროფესიული კავშირები, შექმნა ერთგვარი ქსელი.

მიზნებისა და საჭიროებების განსაზღვრა

კონფერენციის ჩატარებამდე მნიშვნელოვანია, წინასწარ განსაზღვროთ შემდეგი პუნქტები და პასუხი გასცეთ შემდეგ კითხვებს: ვინ? რატომ? რას? როდის? სად?

- ვინ აწყობს კონფერენციას (მაგალითად, კათედრა, წრე, კლასი);
- რა მასშტაბის არის კონფერენცია (მაგალითად, კათედრის, კლასის, სასკოლო, ქალაქის, რაიონის მასშტაბის);
- რა მიზნით აწყობს კონფერენციას (კონფერენციის ჩატარების მიზანი შეიძლება სხვადასხვა იყოს: მაგალითად, მოსწავლეების ინტერესის გაზრდა საგნის მიმართ, მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რაიმე პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რაიმე მოვლენის ან სიტუაციის შეფასება, კლასის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გაცნობა და სხვ.);
- რა უნდა იყოს კონფერენციის თემა (შერჩეული თემა უნდა იყოს კონკრეტული, აქტუალური, საინტერესო, როგორც მომხსენებლისათვის, ისე მსმენელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფერენცია უინტერესოდ ჩაივლის. უნდა ჩანდეს, რომ მომხსენებელი საუბრობს იმ საკითხებზე, რომლებიც იცის და მხოლოდ სხვადასხვა წიგნიდან ამოკრებილ ფრაზებს არ იმეორებს. საკონფერენციო თემების სპექტრი მრავალფეროვანია);

საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა და მისი ფუნქციების განსაზღვრა

იმისათვის, რომ კონფერენციის მოწყობის იდეა გადაიზარდოს კონკრეტულ ქმედებაში, საჭიროა, შეკრიბოთ სამუშაო ჯგუფი. გააცანით თქვენი იდეა კათედრას, სკოლის ადმინისტრაციას და შემოიკრიბეთ გარშემო თანამოაზრეები.

საორგანიზაციო ჯგუფმა (კათედრის აქტიური წევრები, სამეურვეო საბჭოს ან დირექციის წარმომადგენლები, მოსწავლეები) უნდა განსაზღვროს:

- კონფერენციის სათაური და თემა;
- კონფერენციის მიზნები;
- პროგრამა;
- ბიუჯეტი.

ამავე ჯგუფმა უნდა:

- მოიძიოს თანხები;
- აწარმოოს კონფერენციის მონაწილეთა თუ დამსწრეთა რეგისტრაცია;
- შეაფასოს კონფერენცია წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

საორგანიზაციო ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ იქნება საკონფერენციო სხდომების თავმჯდომარე. სხდომის თავმჯდომარეს ევალება კონფერენციის წაყვანა (კონფერენციის გახსნა/დახურვა, მონაწილეების წარდგენა, დისკუსიის წარმართვა, დარბაზიდან შემოსული კითხვების წაკითხვა, შენიშვნების ჩაწერა, დროის ლიმიტის რეგულირება და სხვ.). სხდომის თავმჯდომარეს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მასზეა დამოკიდებული, რამდენად გამართულად ჩაივლის კონფერენცია.

საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს შორის უნდა განაწილდეს ფუნქციები:

- ვინ შეიმუშავებს კონკრეტულ მიზნებს;
- ვინ იქნება პასუხისმგებელი დოკუმენტაციის შენახვაზე (დღის წესრიგი, მონაწილეთა სია, ნაშრომების შერჩევის კრიტერიუმები...);
- ვის ექნება კავშირი მონაწილეებთან ან დამსწრეებთან, მოწვეულ სტუმრებთან თუ სხდომის წამყვანებთან – იქნება ეს მიმდინარე საკითხების გასაცნობად თუ ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად;
- ვინ განაგებს ფინანსებს;
- ვინ გაუწევს კონფერენციას ტექნიკურ მომსახურებას – იქნება ეს კონფერენციის დღეს თუ მანამდე (მაგალითად, ვებ-გვერდის შექმნა, სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის მუდმივად ატვირთვა-განახლება);
- საორგანიზაციო ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს:
- როგორი უნდა იყოს კონფერენციის პროგრამა (აქ უნდა დაზუსტდეს, რა სახით ჩაივლის კონფერენცია: იქნება მხოლოდ მოხსენებების მოსმენა, თუ გათვალისწინებულია განხილვა-დისკუსიები, გამოფენის მოწყობა, ფილმის ჩვენება და სხვ.);
- რა თემას/საკითხს, ან თემების ერთობლიობას ეძღვნება კონფერენცია;
- რა მასშტაბისაა ღონისძიება – სასკოლო თუ უფრო ფართო;

- ვინ უნდა იყვნენ მომხსენებლები (მაგალითად, მოსწავლეები, მასწავლებლები, მოწვეული მეცნიერები და სხვ.);
- ვინ შეიძლება იყვნენ კონფერენციის მსმენელები (მაგალითად, სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, გამომცემლობები, სხვა სკოლის მოსწავლეები/მასწავლებლები და სხვ.);
- რა ხანგრძლივობის იქნება კონფერენცია;
- სად ჩატარდება კონფერენცია;
- როდის ჩატარდება კონფერენცია;
- იქნებიან თუ არა ჩამოსული მომხსენებლები და დამსწრეები და ვინ იქნება სასტუმროში მათი განთავსებით დაკავებული;
- საჭირო არის თუ არა მოსწავლეთა ჩართვა ღონისძიების მომსახურებაში.

ბიუჯეტის შედგენა

ნებისმიერი ღონისძიების ჩატარება დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან (იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონფერენცია ტარდება სკოლის ბაზაზე, სკოლას გარკვეული დანახარჯის გაწევა მოუწევს). დანახარჯები გულისხმობს ენერგო-რესურსების დამატებით ხარჯვას, მომსახურე პერსონალის დამატებით დატვირთვას (თუმცა ამ შემთხვევაში, შეიძლება მაღალი კლასის მოსწავლეების აქტიურად ჩართვა), საკანცელარიო ინვენტარის შეძენას. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი საკითხი წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული სკოლის ადმინისტრაციასთან.

შესაძლებელია, კონფერენციის სამუშაო ჯგუფმა მოიპოვოს თანხები სპონსორების ან დონორი ორგანიზაციებისგან. სასურველია, რომ ბიუჯეტი დეტალურად იყოს გაწერილი.

მომხსენებელთა შერჩევა

შემოსულ თეზისებს თუ მოხსენებებს განიხილავს პროფესიონალებით დაკომპლექტებული კომისია (შეიძლება ისინი საორგანიზაციო ჯგუფის წევრები იყვნენ).

როგორ შევარჩიოთ მომხსენებლები? პირველ რიგში, უნდა განაცხადოთ, რომ იგეგმება კონფერენცია. ეს ინფორმაცია უნდა იყოს ღია, ხელმისაწვდომი ყველა მონაწილისათვის. განაცხადში უნდა იყოს მოცემული შემდეგი ინფორმაცია:

- კონფერენციის სათაური;
- კონფერენციის მიზანი;
- საკითხები, რომლებზეც უნდა ისაუბროს მომხსენებელმა;
- თითოეული მომხსენებლისთვის განსაზღვრული დრო;
- კონფერენციის ჩატარების თარიღები;
- რა მოცულობის აბსტრაქტი უნდა წარმოადგინოს და რა კრიტერიუმებით შეფასდება;
- როდის შეიტყობს პასუხს.

თუკი კონფერენცია მოსწავლეებისთვის ტარდება, მონაწილეობა მხოლოდ მათ სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული. არ შეიძლება მათი იძულება. თუ მოსწავლეს პირველად უხდება საკონფერენციო მოხსენების მომზადება, მასწავლებელმა წინასწარ უნდა მისცეს რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მომზადდეს საპრეზენტაციო გამოსვლა.

მზადება/დღის წესრიგის განსაზღვრა

როდესაც საორგანიზაციო ჯგუფი სახეზეა და ადმინისტრაციაც საქმის კურსშია ჩაყენებული, საჭიროა გეგმის გაწერა. უნდა განისაზღვროს კონფერენციის დღე/დღეები (აუცილებელია, ვნახოთ, ამ დღეს სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება ხომ არ ტარდება, რათა გამოვრიცხოთ პოტენციური აუდიტორიის მოუცლელობა). ასევე უნდა განისაზღვროს, თუ სად მოეწყობა კონფერენცია, არის თუ არა სხვადასხვა პარალელური ღონისძიებისათვის (გამოფენა, სემინარები, მრგვალი მაგიდა...) საჭირო სივრცე, რა წყაროებით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია.

სულ მცირე, 2 თვით ადრე მაინც უნდა გავრცელდეს ინფორმაცია, გაცხადდეს კონფერენციის თემა და მოხსენებების შერჩევის კრიტერიუმები (შეიძლება პირველი ეტაპისთვის მხოლოდ აბსტრაქტის მოთხოვნა), ასევე ის ვადები, როდესაც შერჩეული მომხსენებლები მიიღებენ მონაწილეობის შესახებ დასტურს (თუ შერჩევა თეზისის საფუძველზე მოხდა, ეს 3 კვირით ადრე მაინც უნდა გახდეს ცნობილი მონაწილეთათვის, რათა მათ მოასწრონ მოხსენების მომზადება). უნდა გაცხადდეს ისიც, თუ ვის მიერ არის ორგანიზებული ღონისძიება.

დღის წესრიგი/პროგრამა მანამდე იწერება, სანამ მის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება,

თუმცა შესაძლოა მასში ცვლილებები მონაწილეების შერჩევის შემდეგ შევიდეს. პროგრამა იწყება რეგისტრაციით. შემდეგ უნდა იყოს დრო კონფერენციის გახსნისათვის, როდესაც ორგანიზატორი, საორგანიზაციო ჯგუფის თავმჯდომარე მიმართავს დამსწრეებს და შეახსენებს კონფერენციის აქტუალობასა და მიზნებს.

საჭიროა შუალედები, როდესაც მსმენელები და მომხსენებლები უშუალოდ გაეცნობიან ერთმანეთს და გაუზიარებენ მოსაზრებებს. კარგია, თუკი ყავის დასალევად ნახევარი საათი გამოიყოფა, სადილისათვის კი – 1 საათი.

მოხსენებების ხანგრძლივობა წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. გარდა ამისა, 5 წუთი ემატება თითოეულ მათგანს, რათა მომხსენებლებმა აუდიტორიის შეკითხვებს პასუხი გასცენ. შესაძლებელია სესიის ბოლოს ყველა მომხსენებელმა ერთად პანელი გამართოს, სადაც განიხილება ყველა საკითხი.

პროგრამა დეტალურად უნდა ასახავდეს კონფერენციის მიმდინარეობის ეტაპებს.

კონფერენციის თემა

კონფერენციის ჩატარების თარიღი: დღე/თვე/წელი

10.00-10.30 მონაწილეთა რეგისტრაცია
10.30-10.45 კონფერენციის გახსნა

I სესია (სათაური)

სხდომის თავმჯდომარე – სახელი და გვარი

10.45-11.05 მოხსენების სათაური, მომხსენებელი
11.05-11.25 მოხსენების სათაური, მომხსენებელი
11.25-11.45 მოხსენების სათაური, მომხსენებელი
11.45-12.15 დისკუსია მოსმენილ თემებთან დაკავშირებით
12.15-12.45 **შესვენება**

II სესია (სათაური)

სხდომის თავმჯდომარე – სახელი და გვარი

12.45-13.05 მოხსენების სათაური, მომხსენებელი
13.25-13.45 მოხსენების სათაური, მომხსენებელი
13.45-14.05 მოხსენების სათაური, მომხსენებელი
14.05-14.30 პანელი – დისკუსია მოსმენილ თემებთან დაკავშირებით
14.30-15.30 **სადილი**
15.30-17.30 **პარალელური სესიები (სესიების თემები)**
17.30-18.00 **კონფერენციის შეჯამება**

ტექნიკური სამუშაოები შეფერხებით რომ არ წარიმართოს, მოსთხოვეთ მომხსენებლებს, წინასწარ გამოგზავნონ მოხსენებები საპრეზენტაციო ფორმატში (Power Point).

გადაამოწმეთ რამდენიმე დღით ადრე, არის თუ არა დაჯავშნული ნომრები ჩამოსული სტუმრებისათვის (ასეთების არსებობის შემთხვევაში), მოგვარებულია თუ არა დარბაზისა თუ კვების საკითხები, გამართულად მუშაობს თუ არა ტექნიკა. მოამზადეთ რეგისტრაციის ფურცელი.

კონფერენციის დღეს საორგანიზაციო ჯგუფი უნდა მივიდეს ადრე და კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმოს ტექნიკის მუშაობა, მოამზადოს მაგიდა რეგისტრაციისათვის, მოაგვაროს სხვა პრობლემები. კარგია, თუ მოსწავლეები იქნებიან ჩართულები და დაეხმარებიან დამსწრეებს, მაგალითად, დარბაზის პოვნაში (თუ კონფერენცია სკოლის მასშტაბით არ ტარდება).

კონფერენციის შეფასება

კონფერენციის დასრულების შემდეგ უნდა შეფასდეს:

- რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზანი;
- რამდენად შეესაბამებოდა მოხსენებები კონფერენციის მოთხოვნებს და რამდენად სრულფასოვნად შეძლეს მონაწილეებმა საკუთარი მოსაზრებების გადმოცემა;
- შესაძლებლობის შემთხვევაში, დაბეჭდეთ კონფერენციის მასალები ან განათავსეთ სკოლის ვებ-გვერდზე. კონფერენციის მასალები უნდა მოიცავდეს კონფერენციის პროგრამას, მოხსენებებს, რეკომენდაციებს, გადაწყვეტილებებს, მოხსენებების თეზისებს.

განმარტების მიხედვით, კონფერენცია გულისხმობს შეხვედრას, რომელზეც განიხილება საკითხები, გამოითქმება მოსაზრებები, შეფასდება პოზიციები. შესაბამისად, კონფერენცია კონკურსს არ გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მას არ ჰყავს გამარჯვებული. თუ მასში მოსწავლეები მონაწილეობენ, შემაჯამებელ ეტაპზე შესაძლებელია მათ გადაეცეთ სიგელები ან წამახალისებელი პრიზები კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

სასურველია, კონფერენციის მოხსენებები, სტატისტიკური მონაცემები შეინახოთ. ეს მასალა მომავალი კონფერენციების დაგეგმვისას დაგეხმარებათ. ასევე კარგი იქნება მასალის ვებ-გვერდზე განთავსება, რათა იდეების გაზიარება უფრო ადვილად მოხდეს.

ჩემი სამშობლო არის იქ, სადაც ვცხოვრობ, ანუ საქართველო

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის სოფლების არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლას ითვალისწინებს და ამასთანავე, ბაკალავრებისა და დოქტორანტების დასაქმებას და ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში ჩართვას გულისხმობს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით 2011-12 სასწავლო წლებში ბაკალავრის ხარისხის მქონე ასეულობით სპეციალისტი გაგზავნა. თითოეულ მათგანს, სურვილის შემთხვევაში, მაგისტრატურაში სწავლის ხარჯებს სახელმწიფო დაუფინანსებს.

ბელა ჩეკურიშვილი

„დღეს „ზ“ ასოს შევისწავლით“, – ამბობს სოფელ ბოლნისის სომხური სკოლის მასწავლებელი ნიკოლოზ ბერიძე და მეორეკლასელებს დაფაზე ჯერ სასკოლო რვეულის სქემით მოგრძო უჯრებს უხაზავს, შემდეგ კი ასო-ბგერა ზ-ს უწერს.

მოსწავლეები იმავეს მოსწავლის რვეულებში წერენ, შემდეგ კი კლასიკურ, ხაზიან რვეულებში აგრძელებენ, რათა ყველა მეთოდით მიეჩვიონ წერას.

სოფელ ბოლნისის სომხურმა მოსახლეობამ ქართული ენა ასე თუ ისე იცის და ბავშვებს ანბანის სწავლა არ უჭირთ. მიუხედავად ამისა, დაბალ კლასებში ქართულის მასწავლებელს დაწყებითი კლასის მასწავლებლებიც ეხმარებიან. ანბანისა თუ ახალი სიტყვების ასახსნელად მასწავლებელი ყველა ხერხს იყენებს:

„ადამიანის სხეულის ნაწილები გახსოვთ? აბა, მაჩვენე თავი, აბა – ხელი, ცხვირი. რამდენი ცხვირი გაქვს? რამდენი ყური? აბა, თითები დაითვალეთ“. მეორეკლასელები ათამდე ითვლიან. „როგორ არის სომხურად ათი“? – კითხვას სვამს მასწავლებელი. „ტას“, – ხალისიანად პასუხობენ ბავშვები.

ნიკოლოზ ბერიძე სოფელ ბოლნისის სომხურ სკოლაში I-VIII კლასებს ასწავლის. აქ მე-6 კლასს მეორე ქართულის მასწავლებელი ჰყავს – იზა გვირჯიშვილი, პროექტიდან „ქართული, როგორც მეორე ენა“.

როგორც ნიკა გვიხსნის, სწავლების მეთოდი კლასების მიხედვით განსხვავდება, თუმცა პრინციპი საერთოა. დაბალ კლასებში ლექსებს სწავლობენ, თუმცა სიტყვათა მარაგის ნაკლებობის გამო მოსწავლეებს მათი დამახსოვრება უჭირთ.

ნიკოლოზ ბერიძე: „მე-2 კლასში ჩვენი მიზანი წლის ბოლოსთვის წერა-კითხვის ცოდნაა. პირველ კლასში ამისათვის „ნეტბუკების“ თამაშებს ვიყენებთ, ყოველ გაკვეთილზე 10 წუთს ვუთმობთ. თვალსაჩინოებისათვის ვიყენებთ სურათებს, პატარა ბურთს – ამით ბევრი უცხო სიტყვა ისწავლეს, მათთან ერთად კი მეც ვსწავლობ სომხურს. მოვიფიქრეთ თამაში – ინტერვიუს ჩაწერა და გამოთქმები: „შენ რა გქვია?“, „ვინ ხარ?“, „სად სწავლობ?“, „სად ცხოვრობ?“ – ასე ვასწავლე. წლის ბოლოსთვის საკუთარი თავის წარდგენა და სოციალური კომუნიკაციები უნდა შეეძლოთ, ასევე, მარტივი ნივთების აღწერა, შინაური ცხოველები, სასკოლო ნივთები და ა.შ.

მე-3 კლასელებთან საგნების ინტეგრაციასაც ვახერხებ. მათემატიკასაც ვრთავ ხოლმე სასწავლო პროცესში – მიმატება-გამოკლება, დათვლა. 50-მდე დათვლა იციან.



> ” ამ სკოლაში პირველი ქართულის მასწავლებელი ვარ. პედაგოგობა ძალიან მომწონს, სტიმულს მოსწავლეები მაძლევენ, მათგან ქართული სიტყვა რომ მესმის, ძალიან სასიამოვნოა. ვგრძნობ, რომ გავაგრძელებ პედაგოგიურ მოღვაწეობას. “

დიალოგებსა და როლურ თამაშებს კარგად ვიყენებ ახალი ლექსიკის შესწავლისას. ვთამაშობთ სხვადასხვა სიტუაციას – ასე უამრავ სიტყვას სწავლობენ ხალისით. შეჯიბრებების დროს ისწავლეს სიტყვები: „ჩქარა“, „ყოჩაღ“, „წინ“.

მე-4 კლასში ჯგუფური სამუშაო მივეცი – არეულად მოცემული წინადადებებით უნდა დაეწყოთ უკვე ნასწავლი ტექსტი. ასევე ვაკეთებთ გამოტოვებული სიტყვების ჩასმას წინადადებებში და ამას ჯგუფებს შორის შეჯიბრის სახეს ვაძლევთ. სიტყვების და რიცხვების შესასწავლად გამოვიყენეთ თამაში „მიფრინავენ წეროები“.

კლასების მიხედვით ძალიან განსხვავდება ქართული ენის ცოდნის დონე. მე-4 კლასში ქართული მეტმა იცის, ვიდრე მე-5-ში. მე-7 და მე-8 კლასებში გვაქვს ძალიან საინტერესო გაკვეთილები. სახელმძღვანელო „თავთავი“ ამაში ძალიან გვეხმარება, განსაკუთრებით, დიალოგებს ვიყენებთ. ვსხდებით წრეზე, რაც ძალიან დადებით რეაქციას იწვევს ბავშვებში. შევისწავლეთ სულხან-საბას არაკი „უტკბილესი და უმწარესი“, რომელიც მათ, თავისი ინიციატივით, სპექტაკლად გაითამაშეს. სასწავლო კურსში 6-დონიანი წიგნის პირველი დონის შეტანა 1-დან მე-6 კლასამდე შეგვიძლია. თუმცა 1-2 კლასების გარდა ის არ დამჭირვებია. მე-5 კლასში „თავთავის“ 1 დონე შევიტანე, მე-7-8 კლასებში – მეორე. მე-7-8 კლასებს 6 გაკვეთილის შემდეგ ვტოვებ ხოლმე. ამ მეცადინეობას „ქართული ენის კლუბი“ დავარქვით.

ბავშვებისგან დიდ ინტერესს ვგრძნობ. მშობლები ამბობენ, სკოლიდან რომ მოდიან, პირველ რიგში, ქართულს სწავლობენო. წარმატებისთვის მთავარი კეთილგანწყობის მოპოვებაა. თუ ამას ვერ შეძლებ, არაფერი გამოვა.

ვცხოვრობ ბოლნისში, ამ სოფლის გამგებლის მარინა ანანიანის ოჯახში. ამ ოჯახმა კარგად იცის ქართული. უკვე ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ვარ. ასე მგონია, ჩემი ნათესავები არიან. ჩემი ცხოვრების 90-%-ს აქ ვატარებ.

სოფელში რომ ჩამოვედი, მეორე დღესვე ყველა მიცნობდა. ასეთ ადგილებში ინფორმაცია მალე ვრცელდება. თემის დამოკიდებულება ჩემს მიმართ ძალიან თბილია. პირველად როცა ჩამოვედი, მოსწავლეებს ვეკითხებოდი: „სად აპირებთ სწავლის გაგრძელებას?“ მპასუხობდნენ: „ერევანში წავალთ“. ახლა უკვე ამბობენ, რომ თბილისის უნივერსიტეტში უნდათ სწავლის გაგრძელება. ამ სკოლიდანაც არიან უკვე თბილისში სასწავლებლად წასულები.

ვფიქრობ, ისეთი ნაბიჯები, როგორიცაა ქართველი მასწავლებლების ეთნიკურ უმცირესობათა სკოლებში შესვლა, ცვლილებებს მოიტანს. თუნდაც ის, რომ ბავშვები ცდილობენ, ქართულ ენაზე მელაპარაკონ, იწვალონ, მაგრამ ქართულად მითხრან, შედეგს გამოიღებს. მე მათი ღიმილიანი სახე მხვდება ყოველდღე. მათ ასწავლიან – ჩემი სამშობლო არის იქ, სადაც ვცხოვრობ, ანუ საქართველო“.

თეონა სამხარაძე სოფელ ქვემო ბოლნისის მე-2 საჯარო სკოლაში I-VI კლასელებს ასწავლის. სკოლა აზერბაიჯანულია. თითოეულ კლასში 25-26 მოსწავლეა. ქართულის მასწავლებელს, გარდა სასწავლო პროცესისა, გაკვეთილების შემდეგ სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაც უწევს. სკოლაში ქართული ენის ცოდნის დონე ძალიან დაბალია, თუმცა თეონა თვლის, რომ პროგრამა და სახელმძღვანელოები იმდენად ეფექტურია, ამ რამდენიმე თვეში რისი მიღწევაც შეიძლებოდა, მიღწეულია. რაც მთავარია, მოსწავლეებს ინტერესი აქვთ და აუცილებელი ტექსტების გარდა, ქართულ ლექსებსაც სწავლობენ.

თეონა სამხარაძე: „1-4 კლასებში ანბანით დავიწყეთ. დაწყებითებში ანბანი ნასწავლი ჰქონდათ, მაგრამ განმტკიცება სჭრიდებოდათ. ერთ-ერთი სიტყვა, რომლის

„იმდენად დიდი სითბო და ყურადღება ვიგრძენი ხალხისგან, ბავშვებისგან, რომ მომეცა სტიმული, მეტი ვისწავლო, მეტი გავაკეთო. ვიცოდი, ნულიდან უნდა დამეწყო სწავლება და ისიც ვიცოდი, რომ სიტყვები „არა“ და „ვერა“ უნდა გამომერიცხა, რათა შედეგისთვის მიმეღწია. პროგრამა იმდენად საინტერესოა, იმდენად სწორად შეირჩა მასწავლებელთა კადრები, რომ შედეგებს მივაღწევთ.“

წარმოთქმაც ძალიან გაუჭირდათ, იყო „მასწავლებელი“. მათ ასევე ისწავლეს „მე შენ მიყვარხარ“ და კლასში შესვლისას „დილა მშვიდობისასთან“ ერთად „მე შენ მიყვარხარო“, მეუბნებიან.

ყველაფერი ბუნებრივად ხდება. პირველკლასელებმა დაიწყეს სამი ენა – ქართული, აზერბაიჯანული და ინგლისური. მათ „ბუკებმა“ და სახელმძღვანელოებმა ძალიან გაუადვილეს საქმე, მოსასმენ და სათამაშო პროგრამებს ხალისით უსმენენ. უფროსკლასელებისათვის ცოტა რთულია. ეს ეტაპი არ გაუვლიათ. ვცდილობ, მათ მარტივი დიალოგებით, თვალსაჩინოებებით, თამაშთამაშით ვასწავლო ენა. მაღალ კლასებში მათ სთხოვდნენ გაკვეთილის დაზუთხვას ისე, რომ სიტყვები არ იცოდნენ. სწორედ ამის შეცვლას ვცდილობ ახლა.

საკმაოდ დატვირთული რეჟიმი გვაქვს. კლასების მიხედვით ბავშვები გაკვეთილების მერე რჩებიან ქართული ენის კურსზე. ვაპირებთ სხვადასხვა სკოლასთან დამეგობრებას, ბიბლიოთეკის მოწყობას, აქციას – წიგნი საჩუქრად ჩემს მეგობარს, რაც გულისხმობს ჩვენი ბიბლიოთეკის გამდიდრებას ქართული წიგნებით. ძალიან მოსწონთ სიმღერა „ლალე“ და გაკვეთილზე მთხოვენ, პირველ რიგში, ეს ვამღერო. დერეფნებშიც ეს სიმღერა ისმის. მასწავლებლები გაკვირვებულები არიან.

ამ სკოლაში პირველი ქართულის მასწავლებელი ვარ. პედაგოგობა ძალიან მომწონს, სტიმულს მოსწავლეები მაძლევენ, მათგან ქართული სიტყვა რომ მესმის, ძალიან სასიამოვნოა. ვგრძნობ, რომ გავაგრძელებ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

აქ გეიუშოვების ოჯახში ვცხოვრობ, სამ თაობასთან ერთად – ბებია-ბაბუა, დედმამა და ორ პატარა ბიჭი. ამათგან უმცროსი პირველ კლასშია. მე მას ქართულს ვასწავლი, ძალიან კარგად ითვისებს. იცის უამრავი ლექსი, სიმღერა, ანბანი. ასევე ოჯახის წევრებსაც ვამეცადინებ ქართულ ენაში, ესეც ჩვენი პროექტის შემადგენელი ნაწილია. როდესაც მოვდიოდი, ცოტა მეშინოდა, მაგრამ იმდენად დიდი სითბო და ყურადღება ვიგრძენი ხალხისგან, ბავშვებისგან, რომ მომეცა სტიმული, მეტი ვისწავლო, მეტი გავაკეთო. ვიცოდი, ნულიდან უნდა დამეწყო სწავლება და ისიც ვიცოდი, რომ სიტყვები „არა“ და „ვერა“ უნდა გამომერიცხა, რათა შედეგისთვის მიმეღწია. პროგრამა იმდენად საინტერესოა, იმდენად სწორად შეირჩა მასწავლებელთა კადრები, რომ შედეგებს მივაღწევთ“.

ნიკაც და თეონაც ერთი წლის შემდეგ მაგისტრატურაში დაბრუნებას აპირებენ. თეონამ ბრიტანეთმცოდნეობაზე ჩაბარა გამოცდები და გაისად სწავლას შეუდგება. ნიკამ თსუ-ს ტურიზმის, კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის ფაკულტეტი დაამთავრა. მისი საყვარელი საგანი გეოგრაფიაა და თუ შესაძლებელი იქნება, გეოგრაფიის მასწავლებლადაც სიამოვნებით იმუშავებს სკოლაში, მაგისტრატურას კი ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით გააგრძელებს. ის მიხვდა, რომ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან აინტერესებს.

პედაგოგის საქმიანობა იოლი არ არის, თუმცა ახალგაზრდა მასწავლებლები ამბობენ, რომ ეს პრაქტიკა თუნდაც იმიტომ ღირდა, რომ ის ადამიანები გაეცნოთ, ვისთანაც ახლა მუშაობენ და ცხოვრობენ.



ლევან ახვლედიანი

დიდი განმანათლებლები
იბნ ხალდუნი

ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა ისლამურ თეოლოგიაში. ყურანის სურებში ხაზგასმულია განსაკუთრებული კავშირი ადამიანის ქმედებებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის. ამგვარი შეხედულებების საფუძველზე, ადამიანთა სოციალური ქცევა მუსლიმი ინტელექტუალების შესწავლის ობიექტი გახდა.

ერთ-ერთი მოაზროვნე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ადამიანთმცოდნეობისა და საზოგადებათმცოდნეობის შესწავლის საქმეში, გახლავთ შუა საუკუნეების ისტორიკოსი, სოციოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე, თეოლოგი და სამართალმცოდნე აბუ ზაიდ აბდ არ-რაჰმან იბნ მუჰამად იბნ ხალდუნი.



იბნ ხალდუნი დაიბადა 1332 წელს თუნისში. მან შესანიშნავი განათლება მიიღო ყურანმცოდნეობასა და შარიათში. სწავლის დასრულების შემდეგ იბნ ხალდუნი მსახურობდა ფესის და გრანადის სულთნების კარზე. კაიროში ის შარიათს ასწავლიდა მუსლიმურ სამყაროში ყველაზე ცნობილ თეოლოგიურ სასწავლებელში – ალ-აზჰარში, ხოლო შემდეგ ქვეყნის უმაღლესი ყადი (არაბ. მოსამართლე) გახდა. იბნ ხალდუნი მონაწილეობას იღებდა ელჩობაში (1400 წ.), რომელიც თემურ ლენგის კარზე შედგა. მან საკუთარი განათლებითა და ინტელექტით მოხიბლა მსოფლიოს მბრძანებელი, რომელმაც დიდი პატივით გამოისტუმრა.

აქტიური პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შემდეგ იბნ ხალდუნი იწყებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობას. ნაშრომები, რომელიც მან შექმნა, ძირითადად, მუსლიმურ თეოლოგიასა და ფიკჰს (არაბ. სამართალმცოდნეობა) ეხება. თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი ნაშრომი „წიგნი მაგალითებისა არაბთა, სპარსელთა, ბერბერთა და მათი თანამედროვეების... შესახებ“. იბნ ხალდუნის კვლევის

მეთოდს შეიძლება რაციონალისტური ვუწოდოთ. მისი აზრით, მხოლოდ გონება წარმოადგენს ჭეშმარიტების შეფასების ყველაზე ზუსტ კრიტერიუმს.

ნაშრომი სამი ნაწილისგან შედგება:

1. შესავალი (არაბ. მუკადდიმა);
2. მუსლიმური აღმოსავლეთის (არაბ. მაშრიყი) ისტორია;
3. მუსლიმური დასავლეთის (არაბ. მაღრიბი) ისტორია.

სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წიგნის შესავალი – მუკადდიმა. ეს ნაშრომი დიდი ხნის მანძილზე დავიწყებული იყო. ის XIX საუკუნეში ხელახლა აღმოაჩინეს, როდესაც აღმოსავლეთმცოდნეებმა ევროპულ ენებზე თარგმნეს. მეცნიერთა აზრით, იბნ ხალდუნი თამამად შეიძლება ჩავთვალოთ თანამედროვე სოციოლოგიის მამამთავრად.

მუკადდიმაში გაანალიზებულია სოციუმში ინდივიდების თანაცხოვრების საკითხი. ავტორი მიიჩნევს, რომ ადამიანს ცალკე ცხოვრება არ შეუძლია. ის ბუნებასა და ცხოველთა სამყაროსთან ბრძოლაში აუცილებლად დამარცხდება. კაცთა მოდგმის გადარჩენის ერთადერთი გზა მისი საზოგადობრივი მოწყობაა. ერთ-ერთი ცნება, რომელსაც იბნ ხალდუნი ამ იდეას უკავშირებს, არის „ურთიერთდამოკიდებულება“. ამ ტერმინში ის გულისხმობს შემდეგს: იმ ადამიანებს, რომლებიც ერთიან სოციალურ გარემოში ცხოვრობენ, ურთიერთობის ბუნებრივი სურვილი აქვთ. ასეთი სურვილის გარეშე ნებისმიერი საზოგადოება განწირულია დასაღუპავად. თანამედროვე სოციოლოგიაში იბნ ხალდუნის „ურთიერთდამოკიდებულება“ შეიძლება სოციალურ სოლიდარობასთან გავაიგივოთ.

საზოგადოების რაობაზე მსჯელობისას იბნ ხალდუნი ასხვავებს ორი ტიპის სოციუმს: ერთი წარმოადგენს ღია სივრცის სოციუმს, ხოლო მეორე – დახურული სივრცისას.

ღია სივრცეში ცხოვრობენ ნაკლებად ცივილიზებული ხალხები, რომლებიც, ძირითადად, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. ამ ხალხების მუშაობა აუცილებლობით არის განპირობებული, რადგანაც მათი საქმიანობის მიზანს სარჩოს მოპოვება

> სოციუმის უსაფრთხობისათვის აუცილებელი ხდება ისეთი ძალის არსებობა, რომელიც ხელს შეუშლის დესტრუქციასა და ანარქიას. ავტორის აზრით, ამგვარ ძალას ხელისუფლება წარმოადგენს.

წარმოადგენს. საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისათვის მათ აუცილებლად სჭირდებათ ღია სივრცე. ამგვარი საზოგადოებები აწარმოებენ იმდენ პროდუქტს, რამდენიც აუცილებელია ელემენტარული ცხოვრებისეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

იბნ ხალდუნის აზრით, ზედმეტი პროდუქტის დაგროვების შემთხვევაში, საზოგადოებას მეტი მოთხოვნილებები უჩნდება. ეს კი თავისთავად იწვევს მრავალი იმგვარი დარგის განვითარებას, რაც ღია სივრცის საზოგადოებებისთვის აბსოლუტურად უცხოა (მაგ., არქიტექტურის, ხელოვნების, მოდური ტანსაცმლის, ფუფუნების საგნების წარმოების განვითარებას). ამ დარგების განვითარება, ძირითადად, ქალაქშია შესაძლებელი. ამიტომ, ავტორი ცივილიზაციის მაღალ საფეხურს ქალაქურ სოციუმს უკავშირებს. სწორედ ქალაქური ტიპის საზოგადოებებს უწოდებს იბნ ხალდუნი დახურული სივრცის საზოგადოებებს. ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საზოგადოების პროგრესი ღიადან დახურული სივრცისკენაა მიმართული და ავტორი საზოგადოების განვითარებას ურბანიზმისკენ სწრაფვას უკავშირებს.

საზოგადოების ტიპების განსაზღვრის შემდეგ იბნ ხალდუნი ავითარებს იდეას იმის შესახებ, რომ პრიმიტიული საზოგადოებები ბევრად შეკრულნი და კონსოლიდირებულნი არიან, ვიდრე განვითარებული საზოგადოებები. ამის მიზეზი ისაა, რომ არაცივილიზებულ სოციუმებში გვაროვნული ურთიერთობები დომინირებს, რომლებიც სისხლით ნათესაობასა და მკაცრ იერარქიულ პრიციპებზეა დაფუძნებული. ამგვარი ურთიერთობები ხელს უშლის გვარის ცალკეულ წევრებს საკუთარი ეგოისტური ამბიციების დაკმაყოფილებაში.

რაც შეეხება ცივილიზებულ სამყაროს, განსხვავებით ღია სივრცის სოციუმებისგან, აქ ადამიანებს ნაკლები პასუხისმგებლობა აქვთ ერთმანეთის მიმართ. ურბანისტული საზოგადოებებისთვის მეტი თავისუფლება და ინდივიდუალიზმია დამახასიათებელი. ამგვარ საზოგადოებებში კულმინაციას აღწევს ადამიანთა თანდაყოლილი აგრესიულობა და ბრძოლა პირველობისათვის. სოციუმის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ხდება ისეთი

„იმ ადამიანებს, რომლებიც ერთიან სოციალურ გარემოში ცხოვრობენ, ურთიერთობის ბუნებრივი სურვილი აქვთ. ასეთი სურვილის გარეშე ნებისმიერი საზოგადოება განწირულია დასაღუპავად. თანამედროვე სოციოლოგიაში იბნ ხალდუნის „ურთიერთდამოკიდებულება“ შეიძლება სოციალურ სოლიდარობასთან გავაიგივოთ.“

ძალის არსებობა, რომელიც ხელს შეუშლის დესტრუქციასა და ანარქიას. ავტორის აზრით, ამგვარ ძალას ხელისუფლება წარმოადგენს.

მუკადდიმაში დიდი ადგილი ეთმობა სახელმწიფოსა და ცივილიზაციის არსის განსაზღვრას. განსაკუთრებით საყურადღებოა იბნ ხალდუნის თეორია სახელმწიფოს შესახებ. მისი აზრით, ისევე, როგორც ადამიანს, სახელმწიფოსაც განვითარების გარკვეული ფაზები აქვს:

„პირველი – ფაზა გამარჯვებისა და მიზნის მიღწევისა. წინააღმდეგობა დაძლეულია, ქვეყანა დაპყრობილია... ამ ეტაპზე ადამიანები თანაბრად მოიპოვებენ სახელსა და სიმდიდრეს. ერთპიროვნულად არავინ არაფერს ფლობს.

მეორე – ფაზა ქვეყნის მცხოვრებთა დამორჩილებისა და სამფლობელოს ერთპიროვნულად ხელში ჩაგდებისა. ამ ეტაპზე ხელმწიფე ქირაობს ქვეშევრდომებს, იღებს მათ მფარველობაში, რათა ფრთები შეუკვეცოს თავისი გვარის წარმომადგენლებს.

მესამე – ფაზა დასვენებისა და სიმშვიდისა, როდესაც იმკიან ძალაუფლების ნაყოფს, რათა დაიკმაყოფილონ სიმდიდრისა და სახელის მოხვეჭის ადამიანური მოთხოვნილებები. ის (მმართველი) მთელ თავის ძალისხმევას ახმარს გადასახადების აკრეფას. ცდილობს დააბალანსოს შემოსავალი და გასავალი, ააშენოს ბრწყინვალე შენობები, გაიყვანოს არხები.

მეოთხე ფაზა – მმართველი ნაკლებად მომთხოვნია. ის კმაყოფილდება იმით, რაც მისმა წინამორბედებმა შექმნეს. ქვეყნის გამგებელი არ ართულებს ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან და თავის მოსისხლე მტრებთან. მას მიაჩნია, რომ ერთადერთ სწორ გზაზე დგას.

მეხუთე – ფაზა ხარჯვისა და ქონების განიავებისა. წინამორბედების მიერ დაგროვილ სიმდიდრეს ხელმწიფე ფანტავს გაუთავებელ გართობებსა და დროსტარებაში. მისი მიზანია დაახლოებული ადამიანების გულის მოგება და მათი დასაჩუქრება. ის ადამიანები, რომლებიც გამოცდილნი არიან ქვეყნის საქმეების წარმართვაში, ნელ-ნელა შორდებიან სამეფო კარს. ასეთ მდგომარეობაში ქვეყანა სუსტდება. ის განუკურნებელი სენით ავადდება, რომლისგან გამოჯანმრთელება შეუძლებელი ხდება. სახელმწიფო ნადგურდება“.

თუ კარგად დავუკვირდებით იბნ ხალუნის ფაზებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მმართველი ელიტის სტრუქტურული ანალიზისა.

სტატიაში გვინდა შევეხოთ იბნ ხალდუნის იმ თეორიასაც, რომელიც თანამედროვე ისტორიაში გეოგრაფიული დეტერმინიზმის სახელითაა ცნობილი. მუკადდიმაში ავტორი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ კლიმატს და გეოგრაფიულ გარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებისთვის.

იბნ ხალდუნის აზრით, დედამიწაზე არსებობს კლიმატის სამი ზონა: ცივი, რომელიც ჩრდილოეთითაა, ცხელი, რომელიც ეკვატორის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს და ზომიერი, რომელიც ცივსა და ცხელ კლიმატურ სარტყლებს შორისაა მოთავსებული.

იბნ ხალდუნის აზრით, საზოგადოების განვითარებისთვის საუკეთესო პირობები ზომიერ სარტყელშია. იქ ტემპერატურა ზომიერია, მიწა – ნაყოფიერი, თუმცა შრომას მოითხოვს, რაც ხელს უწყობს ინტელექტის განვითარებას. ამ სარტყელში ადამიანები ყველაზე მეტად ეწაფებიან გონებრივ შრომას.

ეს თეორია არ არის ორიგინალური. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ავითარებდნენ ამგვარ მოსაზრებებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა არისტოტელე. ის, რომ იბნ ხალდუნი არისტოტელეს არაბული თარგმანებით სარგებლობდა, მის ავტობიოგრაფიაში წერია.

გადმოცემის მიხედვით, მუკადდიმას ავტორი 1406 წელს კაიროში გარდაიცვალა. მისი ხუთსაუკუნოვანი დავიწყების მიზეზი შეიძლება ვეძიოთ იმ სიტუაციაში, რომელშიც XV საუკუნისთვის ახლო აღმოსავლეთი აღმოჩნდა. ეს იყო ეპოქა, როდესაც მუსლიმური კულტურა დაღმასვლას განიცდიდა, როდესაც წარსულის უდიდესი კულტურის ცენტრებს ცენტრალური აზიიდან წამოსული მომთაბარე ხალხები დაეპატრონენ. აღმოსავლეთის ინტელექტუალური მემკვიდრეობა დროებით მივიწყებას მიეცა.



მასწავლებლის სახლი

თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1

ცნობილი გერმანელი ბოტანიკოსი კარლ ჰებელი ერთხელ მეგობარ მხატვარს სახელოსნოში ეწვია. მხატვარმა მას აჩვენა თავისი ნამუშევარი „ცოდვით დაცემა“, რომელიც იმხანად დაასრულა. ჰებელმა ყურადღებით შეათვალიერა ნახატი და უთხრა:

– შეცდომაა დაშვებული, გასწორება მოგიწევს.

– მაინც რა შეცდომა აღმოაჩინე ადამის და ევას პორტრეტში? – გაიოცა მხატვარმა.

– ევასა და ადამს კი არა, ვაშლის შესახებ ვამბობ: ვაშლის ეს ჯიში მხოლოდ 80 წლის წინათ აღმოაჩინეს.